

186
1969



186



საქართველოს სსრ მთავრობის
დარგენილიაბათა კრებული

№ 4

66

თბილისი—აგვისტო

1969 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1969 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულების დამატების შესახებ.
60. კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ.
61. საპროექტო-საბარჯთალრიცხო საქმის გაუმჯობესების შესახებ.
62. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
63. სკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

64. სასოფლო კინოდანადგარების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ.



65. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 5 ნოემბრის № 563 დადგენილების მოქმედების 1969 წელს და შემდგომ წლებში გავრცელების თაობაზე.
66. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის გარდამავალი წითელი დროშის და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 29 დეკემბრის № 765 დადგენილების დამატების შესახებ.
68. დაბა სურამსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის აკრძალვის შესახებ.
69. წიგნის საექსპორტო ორგანიზაციის „საქწიგნის“ სისტემის მიერ იჯარით აღებული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ჭირის განაკვეთების შემცირების შესახებ.
70. ორივე ზელის არქონე ინვალიდებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოთ მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ.
71. საქართველოს სსრ იმ მაღალმოთიან რაიონებისა და დასახლებული პუნქტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსთვისაც დაწესებულია მშენებლობაში ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები.
72. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის იმ 5-პროცენტთან ანარციების ხარჯზე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობის შესახებ, რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა.
73. რესპუბლიკის სატერიტორიო საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების შოფრებით დაკომპლექტების ზომების შესახებ.
74. მგზავრობა და ავტოტურისტთა მომსახურებისათვის რესპუბლიკის იმ ობიექტების მშენებლობის მოწესრიგების შესახებ, რომლებიც განლაგებული იქნებიან რესპუბლიკის საავტომობილო მაგისტრალების გასწვრივ.
75. ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომების მიცემის და ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკებისათვის უმაღლესი და პირველი კლასის ოსტატის წოდებათა მინიჭების წესისა და პირობების დებულებათა დამტკიცების შესახებ.
76. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სახელწოდების შეცვლის შესახებ.
77. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
78. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

79. მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების საკომისიო ვაჭრობის მოწყობის შესახებ.
80. შესაბამისი ქალაქების ფარგლებში საქალაქო საბჭოების დებუტატების ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით უფასო მგზავრობის შესახებ.
81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 თებერვლის № 73 დადგენილების მე-6 პუნქტის მოქმედების საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქელექტრორემშენმონტაჟის“ და „საქსანტექრემშენმონტაჟის“ სპეციალიზებულ სამმართველოებზე გავრცელების შესახებ.
82. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე.
83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 აპრილის № 184 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
84. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 661 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
85. საზარალო და მცირერენტაბელური ხილბოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების დიფერენცირებული წანამატებისა და მალარენტაბელური ხილბოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების ჩამოკრების შემოღების შესახებ.
86. საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ხეტყის პროდუქციისა და ფანერის საპრეისკურანტო საცალო ფასების დამატების დაწესების შესახებ.
87. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილების „დ“ პუნქტის დამატების თაობაზე.
88. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დამტკიცების შესახებ.
89. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
90. „ქართული ღვინოების ასორტიმენტისა და მათი სახელწოდების დაზუსტების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 იანვრის № 9 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
91. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს კვ სენატური კომისიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

59 ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დეპუტატების დამატების შესახებ

ითვალისწინებენ რა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ინტერესებს, მის მნიშვნელობასა და როლს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდაში, აგრეთვე იმას, რომ საჭიროა უფრო ფართოდ იქნან წახალისებული ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები, რომლებიც ნაწარმოებებს ჰქმნიან ბავშვებისათვის, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სსრ არსებული სახელმწიფო პრემიების დამატებით ერთი პრემია საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებისათვის და ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების შესახებ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 29 იანვრის № 61 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭება იწარმოებს ორ წელიწადში ერთხელ 7 პრემიის რაოდენობით — თითო პრემია ლიტერატურის, სახვითი, მუსიკალური, თეატრალური ხელოვნების, საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების, კინემატოგრაფიისა და არქიტექტურის დარგში 2,5 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული“.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
3. მუხაშანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
3. ჩოგოვაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ივლისი, № 403.

60 კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, 1971 წლიდან დაწყებული:

ა) განსაზღვრონ სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტების შემუშავებისას კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, რომელიც ითვალისწინებს დაფინანსების ყველა წყაროს (კოლმეურნეობათა სახსრების ჩათვლით) და დაბალანსებულია მატერიალურ, შრომითს და საფინანსო რესურსებთან და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეებთან;

ბ) შეიმუშაონ საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსები, მოწყობილობის ბალანსები ნატურალური და ლირებულბრივი გამოხატულებით, მასალათა ბალანსები კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის, შეადგინონ სახელმწიფო და საკოლმეურნეობათა შორის საშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გაანგარიშებანი რესპუბლიკის, ოლქის, ქ. თბილისის და იმ რაიონების მიხედვით, სადაც თავმოყრილია მშენებლობა, და გამოიყენონ ისინი კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და დაზუსტების დროს;

გ) ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემუშავებისას ვაითვალისწინონ განაწილების ბალანსებითა და გეგმებით კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მატერიალური რესურსები ცალკე სტრიქონად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა იმის ხარჯზე, რომ მოხდეს კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების კონცენტრაცია უწინარეს ყოვლისა წინათ დაწყებული იმ მშენებლობების დასამთავრებლად, რომლებსაც აქვთ ტექნიკური მზადყოფნის დიდი პროცენტი და დიდი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის, აგრეთვე მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების შემცირების ხარჯზე, იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში დაიყვანონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა ნორმატივებით დაწესებულ ოდენობამდე;

დაამთავრონ 1971 წელს ისეთ წესზე გადასვლა მშენებლობაში, როდესაც შემკვეთსა და მოიჯარეს შორის ანგარიშსწორება მოხდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ყველა ობიექტისათვის, აგრეთვე საწარმოო დანიშნულების იმ ობიექტებისათვის, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლირებულება 100 ათას მანეთამდეა და რომელთა მშენებლობა სავსებით დამთავრებულია, ან ამ ობიექტების სამუშაოთა ეტაპებისათვის საშუალოდ გადასახდელთა გაუღებლად;

— უზრუნველყონ, რომ შემდგომ გაფართოვდეს მშენებლობაში პრაქტიკა ანგარიშსწორებისა საშუალოდ გადასახდელთა გაუღებლად საწარმოო დანიშ-



ნულებს, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის დანარჩენ ობიექტებზე იმ ანგარიშით, რომ დამთავრდეს ძირითადად ანგარიშსწორების ამ ფორმაზე გადასვლა 1972 წელს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაითვალისწინონ 1971-1975 წლების გეგმის პროექტით მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას არამდნეული და საკედლე მასალების, იატაკებისათვის საჭირო ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების, ფოლადის, რკინაბეტონისა და ხის კონსტრუქციების, მალაზარისხოვანი საღებავების, ფოლადის ნაკეთობების, ეფექტიანი ბგერათსაიზოლაციო, თერმოსაიზოლაციო და მოსაპირკეთებელი მასალების დამამზადებელი ბაზები.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, 1970 წლიდან დაწყებული, წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, შესაბამისი მასალები, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გადასაცვანად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს 1969 წლის 1 ოქტომბრამდე დაამთავროს საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების განვითარებისა და განლაგების სქემების შემუშავება 1980 წლამდე პერიოდისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1969 წლის დეკემბერში წარმოუდგინოს აღნიშნული სქემები განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გააცნონ თვითიველ შემსრულებელს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

7. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებს, უწყებებს, სამშენებლო სამმართველო-

ეზმ, ტრესტებსა და საპროექტო ინსტიტუტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს კ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
3. მთავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე
3. ჩოგოვაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ივლისი, № 404.

სკკ სენგალური კომიზავი დ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 389

1969 წლის 28 მაისი

მოსკოვი, კრემლი

კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ

სკკ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ კაპიტალურ მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სკკ XX II ყრილობის მიერ დასახული მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაში.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება კაპიტალურ სამუშაოთა უდიდესი პროგრამა. სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე ყოველწლიურად იხარჯება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 20 პროცენტი. 1968 წელს კაპიტალური დაბანდებანი შეადგენდა 61,5 მილიარდ მანეთს, რაც 5,6-ჯერ აღემატება 1950 წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

1950-დან 1958 წლამდე აშენდა 12,5 ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, ბევრი სატრანსპორტო მაგისტრალი, სამელიორაციო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, მათ შორის დასავლეთ ციმბირისა და ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნები, მსოფლიოში უდიდესი ბრატსკისა და კრასნოიარსკის პიდროელექტროსადგურები, ნავთობსადენი „მეგობრობა“, გაზსადენები ბუხარა-ურალი და შუა აზია-ცენტრი, მსხვილი საირიგაციო სისტემები შუა აზიასა და ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ამ წლებში აგებული და რეკონსტრუირებული საწარმოები გვაძლევენ თუჯის, ფოლადის, ნაგლისის, ტრაქტორების მთელი მოცულობის სამ მეოთხედზე მეტს და მინერალური სასუქების 90-მდე პროცენტს; პრაქტიკულად ხელახლა მოეწყო ქიმიური ბოჭკოების, ელექტრონული ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოება. ამ პერიოდში ძირითადი ფონდები სახალხო მეურ-

ნობაში გაიზარდა 4,6-ჯერ, ხოლო მრეწველობაში—6,4-ჯერ. საბინაოს ფონდი ქალაქებსა და მუშათა დაბებში გადიდდა 2,8-ჯერ.

შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია, რომლის საფუძველსაც შეადგენენ დიდი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილი არიან მაღალი მწარმოებლობის მანქანებითა და მექანიზმებით და ჰყავთ მშენებელთა და შემონტაჟეთა კვალიფიციური კადრები.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის თანამედროვე ეტაპზე კაპიტალური მშენებლობის ესოდენ უდიდესი გაქანების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ყველა ღონისძიებით ამადლებას, მათი ანაზღაურების ვადების შემცირებას, კაპიტალურ დაბანდებათა თვითეულ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უმეტესი მატების უზრუნველყოფას. ამისათვის საჭიროა კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის დაგეგმვის ამყამად მოქმედი ფორმები და მეთოდები მთლიანად შევუსაბამოთ ქვეყნის განუწყვეტლივ მზარდი ეკონომიკის მოთხოვნილებებს და აღმოვეფხვრათ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი კაპიტალური დაბანდებების მოცულობათა ჯეროვანი დაკავშირება ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეებთან, არის სახსრების დაქსაქსვა, რის შედეგად ერთსა და იმავე დროს შენდება გაცილებით მეტი ობიექტი, ვიდრე საშუალებას იძლევა არსებული რესურსები.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ურიგდებიან კაპიტალური მშენებლობის გეგმებში ისეთი ობიექტების შეტანას, რომელთა სახალხო-სამეურნეო მიზანშეწონილება არ არის დასაბუთებული საჭირო ტექნიკურ-ეკონომიური განვარიშებებით. ხშირად გადაწყვეტილებებს ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ იღებენ მხოლოდ უწყებრივ და კუთხურ მოსაზრებათა საფუძველზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო იმის ნაცვლად, რომ მკაცრი კონტროლი გაუწიოს სიმძლავრეთა ამოქმედების იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც დადგენილია სახალხო-სამეურნეო გეგმით, ურიგდება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ძალებისა და რესურსების გადატანას მეორეხარისხოვანი ობიექტების მშენებლობაზე, რომლებიც ხშირად გათვალისწინებული არ არის გეგმით და უზრუნველყოფილი არ არის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და ფულადი სახსრებით.

შესუსტდა სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხისა და მათი შესრულებისათვის. საპროექტო დოკუმენტაცია დადგენილ ვადებთან შედარებით დიდი დაგვიანებით მუშავდება, არის პროექტების ხშირი გადაკეთება მშენებლობის მსვლელობაში, რაც იწვევს უნაყოფო ხარჯებს, ზრდის მშენებლობის ვადებს და აძვირებს მას. საპროექტო ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში სწორად არ განსაზღვრავენ დაპროექტებული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, რის შედეგად დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები არ ასახავენ მშენებლობის ნამდვილ ღირებუ-

ლებას და ზშირად ხდება მათი გადასინჯვა, რაც იწვევს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის დეზორგანიზაციას.

დაკნინებულია ხარჯთაღრიცხვის როლი როგორც ძირითადი დოკუმენტისა, რომელიც განსაზღვრავს მშენებლობის ღირებულებას და მტკიცე ფასს განაგარიშებისათვის მოიჯარესა და შემკვეთს შორის შესრულებული სამუშაოებისათვის.

დიდი ნაკლოვანებებია სამშენებლო წარმოების ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში. ბევრ მშენებლობაზე მანქანები და მექანიზმები გამოყენებულია არადაამაკმაყოფილებლად, გამოყენებულია დიდძალი ხელის შრომა და არის სამუშაო დროის მნიშვნელოვანი დანაკარგები. დიდი შეფერხებებით ხდება მშენებლობის უზრუნველყოფა მასალებით, ამავე დროს კი არსებული მასალები იხარჯება ძალზე უყაირათოდ.

ბევრი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია სისტემატურად ვერ ასრულებს ობიექტების მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების საგეგმო დავალებებს. აგებული ობიექტების სექსპლოატაციოდ გადაცემა ზშირად ხდება დიდი ნაკლოვანებებით, ხოლო შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ბევრ შემთხვევაში დაბალი რჩება.

მთელ რიგ რაიონებში სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ბაზებისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების განვითარება ჩამორჩება მშენებლობის მოთხოვნილებებს. ამავე დროს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები წლითიწლობით აუთვისებელია და სიმძლავრეთა ამუშავების დავალებანი ვერ სრულდება.

სამეურნეო ანგარიშს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში და მათ სახელშეკრულებო ურთიერთობას შემკვეთებთან მნიშვნელოვანწილად ფორმალური ხასიათი აქვს.

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის შემდგომ გაუმჯობესებას და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესების შესახებ

1. დადგინდეს, რომ კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო დაგეგმვის ძირითადი ფორმაა ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც დადგენილი წესით ამუშავებენ და ამტკიცებენ ცალკეული წლებისათვის სსრ კავშირის თითოეული სამინისტრო და უწყება და მოკავშირე რესპუბლიკა წლების მიხედვით.

სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამტკიცებულ კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიან გეგმებში, დაწყებული 1971—1975 წლების გეგმით, თითოეული მშენებლობისათვის უნდა დაწესდეს დავალებანი სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ასამოქმე-



დებლად, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა მშენებლობის მთელი ვადისათვის წლების მიხედვით, მშენებლობის ხანგაძლიერების ნორმების შესაბამისად, მათ შორის აგრეთვე იმ მშენებლობათა მიხედვით, რომელთა დამთავრების ვადები სცილდება ხუთწლედის ფარგლებს.

კაპიტალურ დაბანდებათა და სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალბათა ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ამუშავებს და ამტკიცებს საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმებს წლების მიხედვით, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით. ეს გეგმები უნდა მიეცეს თითოეულ მშენებლობასა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციას და მათთვის სამუშაო გეგმებს წარმოადგენენ.

კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დავალბათა დაკონკრეტება და დაზუსტება ხდება წლიურ გეგმებში ეკონომიკის განვითარების მიმდინარეობისა და რესურსებში ცვლილებების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა აცნობოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს კაპიტალურ დაბანდებათა დაზუსტებული მოცულობანი არა უგვიანეს იმ წლის მაისისა, რომელიც წინ უძღვის დასაგეგმავ წელს.

იმ ახალი ობიექტების მშენებლობის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ხუთწლიანი გეგმით, შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ, როგორც გამონაკლისი წლიურ გეგმებთან ერთად, იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოიშვება ამა თუ იმ ახალი წარმოების შექმნის საჭიროება, აღმოჩენილი იქნება ბუნებრივი რესურსების ახალი საბადოები ან გაიზრდება ნედლეულის რესურსები გადასამუშავებლად, ძირეულად შეიცვლება წარმოების ტექნოლოგია, მოპოვებულ იქნება ახალი დიდი მიღწევები მეცნიერებასა და ტექნიკაში, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ამასთან ახალი ობიექტების მშენებლობის წინადადებებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებანი და წინადადებანი ამ ობიექტების მშენებლობის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის წყაროების შესახებ და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა მოზადების შესახებ.

დაწესდეს, რომ, 1970 წლიდან მოყოლებული, საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დავალბანი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ისე იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებენ.

იმისათვის, რომ ამაღლდეს მგეგმავი ორგანოების, შემკვეთი და მოიჯარე სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობა გეგმების სტაბილურობისათვის, დადგინდეს, რომ მშენებლობებისა და ობიექტების კაპიტალურ დაბან-



დებათა და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამტკიცებულ წლიურ გეგმებში ცვლილებანი სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ შეიტანონ, 1970 წლიდან მოყოლებული, მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე და მხოლოდ წინა წლის გეგმის შესრულების შედეგებთან დაკავშირებით.

მშენებლობებისა და ობიექტებისათვის დადგენილი საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობის განაწილებას კვარტალების მიხედვით ახორციელებენ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები შემკვეთებთან შეთანხმებით სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

2. იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად შეუთანხმონ კაპიტალური მშენებლობის გეგმა სახალხო-სამეურნეო გეგმის სხვა ნაწილებს და ჯეროვანდ უზრუნველყონ მშენებარე ობიექტები მოწყობილობით, საშენი მასალებით, მექანიზმებით, მუშახელითა და ფინანსური სახსრებით, დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მოყოლებული 1971 წლიდან:

ა) განსაზღვრონ სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტების შემუშავების დროს კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა დაფინანსების ყველა წყაროს (მათ შორის კოლმეურნეობების სახსრების) გათვალისწინებით, დაბალანსებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მატერიალურ, შრომითს და ფინანსურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან;

ბ) შეიმუშაონ საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსები, მოწყობილობის ბალანსები ნატურალური და ლირებულებითი გამოხატულებით, კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მასალების ბალანსები, შეადგინონ მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და იმ რაიონების სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეების ხარჯთაღრიცხვები, რომლებშიც თავმოყრილია მშენებლობა, და გამოიყენონ ისინი კაპიტალური მშენებლობის გეგმების დამუშავებისა და დაზუსტებისას.

3. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ 1971 წლიდან საწარმოო დანიშნულების ახლად დაწყებული მშენებლობანი გადავიყვანოთ დაგეგმვის ისეთ ახალ წესზე, როცა მშენებლობათა სატიტულო ნუსხები, რომლებიც შემუშავებულ იქნება პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე, რომლებშიც წლების მიხედვით იქნება განაწილებული სიმძლავრეების, ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დავალებანი მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად, უნდა წარმოადგენდნენ უცვლელ საგეგმო დოკუმენტებს მშენებლობის მთელი პერიოდისათვის. ამ სატიტულო ნუსხების საფუძველზე დაიდება საიჯარო ხელშეკრულებები, გამოიყოფა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდები, ხორციელდება განუწყვეტელი დაფინანსება და გაიცემა ბანკის კრედიტები.

1971 წლამდე დაწყებული მშენებლობანი, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის, დაგეგმვის აღნიშნულ წესზე

უნდა გადავიყვანოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადებებით, რომლებიც წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისი წლების გეგმების პროექტებთან ერთად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მშენებაკმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1970 წლის პირველ კვარტალში დებულება აღნიშნულ მშენებლობათა დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ.

მშენებლობათა სატიტულო ნუსხების პროექტებს ამუშავებენ და ზემდგომ ორგანიზაციებს წარუდგენენ შემკვეთი ორგანიზაციები გენერალურ მოიჯარებთან შეთანხმებით.

4. კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხაზით დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის მაჩვენებელი.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაამუშაონ და განახორციელონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობათა მნიშვნელოვანი შემცირების საჭირო ღონისძიებანი იმ გზით, რომ კაპიტალურ დაბანდებასა და მატერიალურ რესურსებს თავი მოუყარონ უწინარეს ყოვლისა ადრე დაწყებულ მშენებლობათა დასამთავრებლად, რომელსაც აქვს ტექნიკური მზადყოფნის დიდი პროცენტი და დიდი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის, აგრეთვე მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების შემცირების ხარჯზე, რათა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა უახლოეს 3-4 წელიწადში დაიყვანონ ნორმატივებით დადგენილ ოდენობამდე.

სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაამთავროს მარაგნამეტის ნორმატივების დამუშავება მშენებლობაში მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, აგრეთვე მშენებლობის სახეობათა მიხედვით და დაამტკიცოს ისინი 1969 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

5. დადგინდეს, რომ მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა ძირითადი უცვლელი დოკუმენტია მშენებლობის მთელ პერიოდში, რომლის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა, მშენებლობის დაფინანსება და ანგარიშსწორება მოიჯარესა და შემკვეთს შორის შესრულებული სამუშაოებისათვის.

ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს საფუძველი მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცებისათვის და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და შემკვეთების საქმიანობის შეფასებისათვის.



მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები დამტკიცებამდე წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული საიჯარო ორგანიზაციებთან და ამ უკანასკნელებმა იგი უნდა მიიღონ მშენებლობის დაწყებამდე. როცა ამ ხარჯთაღრიცხვებს მიიღებენ საიჯარო ორგანიზაციები, ობიექტების მშენებლობის დამტკიცებული ღირებულება საბოლოოა. იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა (მათ შორის გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და დანახარჯების რეზერვი) ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მიღწეული ეკონომია, რომლებსაც საიჯარო ორგანიზაციები ასრულებენ, პროექტის შესაბამისად მშენებლობის დამთავრებისა და შემკვეთის მიერ მზა ობიექტის მიღების შემდეგ ამ ორგანიზაციებს რჩებათ.

6. საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და შემკვეთებს შორის საგეგმო დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, აგრეთვე ნაქისრ ვალდებულებათა დროული და სრული შესრულებისათვის ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული გადიდდეს მნიშვნელობა იჯარის გენერალური ხელშეკრულებისა, როგორც ძირითადი დოკუმენტისა, რომელიც არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას შემკვეთსა და საიჯარო ორგანიზაციას შორის.

იჯარის გენერალური ხელშეკრულება იდება მშენებლობის მთელი პერიოდისათვის. სამუშაოთა მოცულობანი და მშენებარე ობიექტების, კომპლექსებისა და მთლიანად საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები იჯარის გენერალურ ხელშეკრულებებში უნდა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ სატიტულო ნუსხებს.

7. განხორციელდეს უახლოეს წლებში კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ძირეული გარდაქმნა იმ ვხით, რომ მშენებლობანი მასალებით მომარაგდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების მეშვეობით სამშენებლო ორგანიზაციათა შეკვეთების მიხედვით მათი იმ მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

ამასთან თითოეული ობიექტის მშენებლობაზე მასალების გამოყენებისათვის კონტროლის ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ხარჯვა ხარჯთაღრიცხვის ზუსტი შესაბამისობით.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად 1970 წლიდან ცდის სახით ფონდირებული და დაგეგმილი მასალებით მომარაგების აღნიშნულ წესზე გადაიყვანოს სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „გლავცენტროტიაცსტროის“, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „ტატსტროის“, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „გლავვოლგოვიატსკსტროის“, ბელორუსიის სსრ სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, ლატვიის სსრ მშენებლობის სამინისტროს და ლატვიის სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებთან ერთად, ამ ორგანიზაციებისათვის დადგენილ სამუშაოების მოცულობათა მიხედვით, განისაზღ-



ვროს მოქმედი ნორმატივების შესაბამისად აღნიშნულ ორგანიზაციათა მოთხოვნილება მასალებზე და გადასცეს სსრ კავშირის სახმომარაგებას ამ მასალების ფონდები სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისათვის ფონდების შემცირების ხარჯზე.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ 1971 წლის პირველ ნახევარში განაზოგადოს ეს გამოცდილება და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად შეიტანოს წინადადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შეკვეთილი საშენი მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფის პრაქტიკის შემდგომი გაფართოების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით დაამუშაონ და ორი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი დებულებისა საშენი მასალებით, ნაკეთობებითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის წესის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღონ მოიჯარეების (სუბმოიჯარეების) და შემკვეთების მოვალეობათა უფრო ზუსტი განსაზღვრა.

სსრ კავშირის სახმშენმა დაამუშაოს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა მონაწილეობით და ორი თვის ვადაში დამტკიცოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ნუსხა ლითონკონსტრუქციებისა, რომელთა ღირებულება შეტანილი იქნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობებში, ხოლო მათი დამზადება უზრუნველყოფილ იქნება მატერიალური რესურსებით, რომლებიც გამოეყოფა კაპიტალური მშენებლობისათვის სამინისტროებს (უწყებებს) — სამუშაოთა შემსრულებლებს.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს მოწყობილობის ღირებულების ანაზღაურების საკითხი, გაითვალისწინოს რა მისი მწარმოებლურობა, სიმძლავრეები და არა ტონა წონა, და შეიტანოს სათანადო წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ექვსი თვის ვადაში.

8. დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს საშენი ლითონკონსტრუქციების, ასაწყობი რკინაბეტონის, სადურგლო ნაწარმის, ლინოლეუმის, არამადნეული და საკედლე მასალების წარმოების გეგმები და კრებსითი ბალანსები.

კაპიტალური მშენებლობისათვის მასალების განაწილების ბალანსებისა და გეგმების დამუშავება და დამტკიცება, რომელთა განაწილების ბალანსებსა და გეგმებს არ ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებას.

რკინაბეტონისა და სადურგლო ნაწარმის განაწილებას აწარმოებენ სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან ამ ნაწარმის დამამზადებელი საწარმოები, ხოლო არამადნეული და საკედლე მასალების განაწილება ხდება მოქმედი წესის შესაბამისად.

მატერიალური რესურსების მოთხოვნილების განსაზღვრა და მათი გამოყოფა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისათვის, რაც გათვალისწინებულია გეგმაში, წარმოებს ერთიანი ნორმებით მშენებლობის დაფინანსების წყაროების მიუხედავად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ხუთწლიანი და წლიური გეგმების დამუშავების დროს გაითვალისწინონ განაწილების ბალანსებსა და გეგმებში ცალკე სტრიქონად მატერიალური რესურსები კაპიტალური მშენებლობისათვის.

9. დაევალოს მანქანათსამშენებელ სამინისტროებს:

ა) განსაზღვრონ მთავარი ქარხნები, რომლებსაც 1971 წლიდან უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ კომპლექტურად აწოდებდნენ მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ტექნოლოგიურ ხაზებს, დანადგარებსა და აგრეგატებს სამინისტროების, უწყებებისა და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებული საკმათავარკომპლექტების განაცხადებით.

შემკვეთმა სამინისტროებმა სსრ კავშირის მანქანათსამშენებელ სამინისტროებსა და სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ 1970 წელს აღნიშნული მოწყობილობის კომპლექტურ მიწოდებათა გეგმები 1971—1975 წლებისათვის;

ბ) დაამუშაონ და დაამტკიცონ 1969 წელს მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ამ მოწყობილობის შემოწმება, გამოცდა და ბოლომდე დამუშავება უნდა ხდებოდეს, როგორც წესი, დამამზადებელ ქარხნებში.

დაწესდეს, რომ მთავარი მიმწოდებელი ქარხნები უზრუნველყოფენ მკვიდრ მიწოდებული მოწყობილობის შეფმონტაჟს და შემკვეთებთან და საპროექტო ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებელნი არიან მისი საპროექტო სმძღავრემდე აყვანისათვის.

10. სსრ კავშირის სახმომარაგებამ:

შესაბამის შემკვეთ სამინისტროებთან და მიმწოდებელ სამინისტროებთან შეთანხმებით და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით განახორციელოს ორი-სამი წლის განმავლობაში მშენებარე და სარეკონსტრუქციო სამრეწველო საწარმოების გადასვლა იმ მოწყობილობით დაკომპლექტებაზე, რომელსაც ისინი მიიღებენ სსრ კავშირის სახმომარაგების საკმათავარკომპლექტებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად წარუდგინოს 1969 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მშენებლობებისათვის მოწყობილობის, ხელსაწყოების, კაბელისა და სხვა ხავეთობათა კომპლექტური მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულე-

ბათა დარღვევისათვის სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებული საკმაო-ვარკომპლექტების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

11. იმისათვის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები დროულად მოემზადონ ხუთწლიანი გეგმებით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის დავალებათა შესრულებისათვის და ამ ორგანიზაციათა მობილურობის ასამაღლებლად:

ა) დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებს სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა სიმძლავრეების განვითარების დავალებანი, ამასთან გაითვალისწინონ საწარმოო ძალების დასახული განვითარება და ქვეყნის ეკონომიური რაიონების მიხედვით მათი განლაგება და იმის საპირობა, რომ რაციონალურად გამოიყენონ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზების განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები;

ბ) სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებმა შეიმუშაონ 1969 წელს ღონისძიებანი, რათა შექმნან, სადაც ეს ეკონომიურად დასაბუთებულია, მოძრავი სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილი იქნება სამშენებლო ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით, ასაწყობი და მოძრავი საცხოვრებელი სადგომებით და უნარი ექნებათ მოკლე ვადებში განახორციელონ მშენებლობა საწარმოო ბაზებს დაცილებულ რაიონებში, აღნიშნული მშენებლობისათვის მუდმივი ბაზების შექმნაზე დროსა და სახსრების დაუხარჯავად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა განიხილონ აღნიშნული ღონისძიებანი და იმ საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტას მოითხოვენ, წარუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

12. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1971—1975 წლების გეგმაში გაითვალისწინონ მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ამასთან მხედველობაში იქონიონ არამადნეული და საკედლე მასალების, ეფექტიანი მასალებისა და საიატაკე კონსტრუქციების, ფოლადის, რკინაბეტონისა და ხის კონსტრუქციების და ალუმინის შენადნობთა კონსტრუქციების, მაღალხარისხოვანი სადურგლო ნაწარმის, ეფექტიანი ბგერასაიზოლაციო და თერმოსაიზოლაციო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოების მსხვილი რაიონული ბაზების შექმნა.

13. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1969 წელს უზრუნველყონ სსრ კავშირის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემის, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების განვითარებისა და განლაგების სქემებისა და საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემების დამუშავების დამთავრება ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1980 წლამდე პერიოდისათვის.



სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ აღნიშნული სქემები და გაითვალისწინონ ისინი 1971—1975 და მომდევნო წლებში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის შემუშავების დროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ სამი თვის ვადაში დაამტკიცონ კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრის ტიპობრივი მეთოდოლოგია.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრის ტიპობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1969 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შესაბამისი დარგობრივი ინსტრუქციები ამ საკითხზე.

II. სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისა და მშენებლობაში კრედიტის როლის ამაღლების შესახებ

14. დაწყებული 1970 წლიდან განხორციელდეს სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გადაყვანა, რომლებზეც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის გაუმჯობესებისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებისა ამ საკითხზე, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშაობის თავისებურებანი.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ იქნენ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების (რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების) და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების) გადაწყვეტილებით. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გადაყვანა მოხდეს თანდათანობით, გულდასმით მათი მომზადების შემდეგ, თუ ასრულებენ თვითღირებულების შემცირების დავალებებს და დაგროვების გეგმას და აქვთ პირობები, რომლებიც ახალ სისტემაზე გადასვლის წელს უზრუნველყოფენ სამუშაოთა თვითღირებულების დამატებით შემცირებას ისეთი ოდენობით, რომელიც სჭირდება ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნას, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზარალის მიუყენებლად.

დაწესდეს, რომ სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციებმა, რომლებიც სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადადიან, ანგარიში უნდა გაუსწორონ შემკვეთებს მთლიანად დამ-



თავრებული ობიექტების ან სამუშაოთა ეტაპებისათვის, შუალედურ გადასახდელოთა გაუღებლად.

15. დადგინდეს, რომ სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გადაყვანის დროს:

ა) ზემდგომი ორგანიზაციები სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს უმტკიცებენ გეგმის შემდეგ მაჩვენებლებს:

სამშენებლო წარმოებაში:

სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედება მშენებლობათა დამტკიცებული პროექტებისა და სატიტულო ნუსხების შესაბამისად;

ობიექტებისა თუ სამუშაოთა ეტაპების მიხედვით იმ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი, რომლებიც დაგეგმილ წელს მთავრდება და უნდა გადაეცეს შემკვეთს მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით.

გარდა ამისა, მატერიალური რესურსების, ხელფასის ფონდისა და საბრუნავი სახსრების მოთხოვნილების განსაზღვრისათვის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს ზემდგომი ორგანიზაციები უმტკიცებენ როგორც საიჯარო სამუშაოების საერთო და საკუთარი ძალებით შესრულებულ მოცულობათა საანგარიშო მაჩვენებლებს შემკვეთებზე საერთო მოცულობის განაწილებით:

შრომში — ხელფასის საერთო ფონდი (წლიური);

ფინანსებში — მოგება, ბიუჯეტში გადასახდელები და ბიუჯეტიდან ასიგნებანი;

საკუთარ კაპიტალურ მშენებლობაში:

საწარმოო სიმძლავრეების, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედება ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა;

ახალი ტექნიკის დანერგვაში — სამშენებლო წარმოების განვითარებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დავალებანი;

მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში — მასალების, მანქანების, მექანიზმებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდების მოცულობა;

ბ) ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნა დადგენილი ნორმატივებით წარმოების მოგების ხარჯზე მიღებული მოგების მასიდან სახსრების პირდაპირი გადარიცხვის გზით შემკვეთებისათვის მზა ობიექტების ან ეტაპებად სამუშაოების ჩაბარების კვალობაზე.

ნორმატივები გათვალისწინებულია სტაბილური მთელი რიგი წლებისათვის და მათი დიფერენციაცია ხდება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ჯგუფების მიხედვით;

გ) მატერიალური წახალისების ფონდში შედის შემკვეთებისაგან მიღებული სახსრები მუშაკთა დასაჯილდოებლად საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ვადაზე და ვადამდე ამოქმედებისათვის, აგრეთვე პრემიების თანხა, რომლებიც ეძლევა მუშებს ხელფასის ფონდიდან;

დ) წარმოების განვითარების ფონდი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზა-

ციათა თანხმობით შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ცენტრალიზებულ იქნეს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების ან მათთან გათანაბრებული ორგანიზაციების მიერ;

ე) სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტები და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციები (თუ მათ შემადგენლობაში შემავალი ყველა ორგანიზაცია და საწარმო გადაყვანილია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე) ქმნიან მატერიალური წახალისების ფონდს ტრესტის ყველა საქვეუწყებო ორგანიზაციისა და საწარმოს ამ ფონდის თანხის ათ პროცენტამდე ოდენობით. აღნიშნულ ფონდში ანარიცხების კონკრეტულ ოდენობას და მისი გამოყენების წესს განსაზღვრავს ტრესტის ან მათთან გათანაბრებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებთან, აგრეთვე პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

ვ) როცა შემკვეთები სამუშაოებს ჩააბარებენ დადგენილ ვადებში ან ვადამდე ეტაპებად, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშაკების წასახალისებლად შეიძლება დაიხარჯოს არა უმეტეს 70 პროცენტი სახსრებისა, რომლებიც ამასთან ჩაირიცხა მატერიალური წახალისების ფონდში მოგებიდან. აღნიშნული სახსრების დანარჩენი ნაწილის გამოყენება შეიძლება ობიექტის (საწარმოს სიმძლავრის) მთლიანად ჩაბარების შემდეგ;

ზ) მატერიალური წახალისების ფონდიდან გაცემული პრემიები და ჯილდოები (მათ შორის პრემიები ობიექტების ამოქმედებისათვის) გათვალისწინებული იქნება მომუშავეის საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს.

სოციალური დაზღვევის შესატანები მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემიებისა და ჯილდოებისათვის მიეკუთვნება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებას;

თ) ზემდგომ ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ შექმნან რეზერვი საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტისათვის, ამ ანარიცხების საერთო მოცულობის 20 პროცენტამდე ოდენობით იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში გამოსაყენებლად, რომლებშიც საკუთარი სახსრები კაპიტალური რემონტის განსაზოციელებლად არ კმარა.

16. სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა ეკისრება სსრ კავშირის სახელმწიფო საეგგმო კომიტეტთან არსებულ სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანის საუწყებათშორისო კომისიას. შეყვანილ იქნეს კომისიის შემადგენლობაში სსრ კავშირის სახმშენის წარმომადგენელი.

დაევალოს აღნიშნულ კომისიას ამ დადგენილებების საფუძველზე დაამუშაოს და სამი თვის ვადაში დაამტკიცოს შესაბამისი მეთოდური მითითებანი.

17. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საეგგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაამუშაონ და სამი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე ტე-

რიტორიული მთავარი სამმართველოებისა და მშენებლობის სამმართველოების, საწმენებლო-სამონტაჟო გაერთიანებების, კომბინატებისა და ტრესტების სამშენებლო წარმოების გადაყვანის წესის შესახებ.

18. ობიექტების მშენებლობის უსწრაფესად დამთავრებით სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების და შემკვეთი ორგანიზაციების (მენაშენეების) მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისა და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაიზარდოს პრემიების ოდენობა საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ვადაზე ამოქმედებისათვის საშუალოდ სახალხო მეურნეობაში ამოქმედებულ ობიექტებზე შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 2,2 პროცენტამდე.

აღნიშნული პრემიები გაიცეს, თუ ამოქმედებულ ობიექტზე (საწარმოო სიმძლავრეზე) შესრულებულია სამუშაოები სრული მოცულობით პროექტისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში და მისი დაცვისას.

მშენებლობის ხანგრძლიობის დადგენილ ნორმებთან შედარებით საწარმოო სიმძლავრეთა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების ვადების შემცირების დროს სულ ცოტა 30 პროცენტით პრემიები იზრდება 50 პროცენტით. ვადების 20 პროცენტის შემცირების დროს პრემიები იზრდება 25 პროცენტით და ვადების 10 პროცენტით შემცირების დროს პრემიები იზრდება 10 პროცენტით.

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ:

ა) შეიტანონ დებულებაში საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტთა ამოქმედებისათვის მუშაკთა პრემირების შესახებ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ დადგენილებიდან, ამასთან გაითვალისწინონ იმ სახსრების წილის გადიდება, რომლებიც ხმარდება მუშების პრემირებას, აგრეთვე დაადგინონ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის მიხედვით მუშების პრემიების დიფერენცირებული ოდენობანი შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური და დროებრივ-პრემიალური სისტემების დროს და დანამატები ბრიგადირებს ბრიგადების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად მოახდინოს სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების მიხედვით საწარმოო სიმძლავრეთა ობიექტების ამოქმედებისათვის პრემიების ოდენობის დიფერენციაცია;

გ) დაამუშაონ სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების მონაწილეობით და სამი თვის ვადაში დაამტკიცონ ტიპობრივი დებულება იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაკთა პრემირების შესახებ, რომლებიც გადაჰყავთ სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

20. იმ მუშაკთა წახალისების მიზნით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გასაშვები ობიექტების მშენებლობაზე, უფლება მიეცეთ სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამი-

ნისტროს, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ენერჯეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს შექმნან მინისტრის განკარგულებაში ფონდი იმ მუშაკთა ხელფასის ფონდის 0,05 პროცენტამდე ოდენობით, რომლებიც დასაქმებული არიან მშენებლობაში ამ სამინისტროების ხაზით, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 7 პუნქტით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრები აღნიშნული მიზნისათვის.

21. საჭიროდ იქნეს მიჩნეული კრედიტის როლის ამაღლება კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებასა და სამშენებლო წარმოების სტიმულირებაში.

სსრ კავშირის მშენებანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა უნდა უზრუნველყონ კრედიტის ყველაზე მიზანშეწონილი გამოყენება ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მშენებლობის ვადების შემცირებას, სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმების, მოგების გეგმების შესრულებას, მშენებლობის თვითღირებულების შემცირებასა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

22. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

1971 წელს დამთავრონ მშენებლობაში შემცვეთსა და მოიჯარეს შორის იმ ანგარიშსწორების ახალ წესზე გადასვლა, რომელიც ეხება ობიექტებს, რომელთა მშენებლობა მთლიანად დამთავრებულია, ან სამუშაოთა ეტაპებს შორის შუალედურ გადასახდელთა გაულებლად მთელი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და საწარმოო დანიშნულების ობიექტების მიხედვით, როცა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 100 ათას მანეთს აღწევს.

უზრუნველყოფილ იქნეს შუალედურ გადასახდელთა გაულებლად მშენებლობაში ანგარიშსწორების პრაქტიკის შემდგომი გაფართოება საწარმოო დანიშნულების, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის დანარჩენ ობიექტებზე, რათა ძირითადად 1972 წელს დამთავრდეს ანგარიშსწორების ამ ფორმაზე გადასვლა.

სსრ კავშირის სახმშენმა დამუშაოს სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით და სამი თვის ვადაში დაამტკიცოს მითითებანი ობიექტების მშენებლობაზე პროექტებში სამუშაოთა ეტაპების განსაზღვრის წესის შესახებ.

23. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის მშენებანკსა და სსრ კავშირის სახბანკს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა (შემცვეთებისა და მოიჯარეების) და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტ-

ტრთა საბჭოების მონაწილეობით განიხილონ საკითხი, თუ საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა გადაიყვანონ ანგარიშსწორებაზე ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობა მთლიანად დამთავრებულია, ან საშუალებო ვადასახდელთა გაუღებლად სამუშაოთა ეტაპებისათვის, რა წესით და პირობებით უნდა მიეცეთ საბრუნავი სახსრები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაუმთავრებელი წარმოების საგეგმო დანახარჯების დასაფარავად ან საბანკო კრედიტი ამ მიზნებისათვის და სამი თვის ვადაში წარუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

24. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ 1971 წლიდან განხორციელდეს მთელი რიგი დარგების რამდენიმე საწარმოს ან ობიექტის მშენებლობა იმ კრედიტით, რომელსაც სსრ კავშირის მშენბანკი აძლევს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებარე საწარმოს ან ობიექტის იმ სრული ღირებულების ოდენობით, რაც განსაზღვრულია გენერალური მოიჯარის მიერ მიღებული ხარჯთაღრიცხვით.

დაწესდეს, რომ აშენებული და მზა პროდუქციის გამოსაშვებად ან მომსახურების გასაწევად მომზადებული საწარმოებისა თუ ობიექტებისათვის ანგარიშსწორება შემკვეთსა და მოიჯარეს შორის ხდება შემკვეთის მიერ მათი მიღების შემდეგ. მიღებულ კრედიტებს მოიჯარე ფარავს შემკვეთთან ანგარიშსწორების დამთავრების შემდეგ. ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით მიღებული მთელი ეკონომია (განსხვავება მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიურ ღირებულებას შორის) რჩება საიჯარო ორგანიზაციის განკარგულებაში.

ნორმატივებით დადგენილ ვადებთან შედარებით საწარმოს თუ ობიექტის ვადამდე ამოქმედების დროს საიჯარო ორგანიზაციის განკარგულებაში გადადის აგრეთვე საწარმოს გეგმიანი მოგების ნაწილი იმ პერიოდისათვის, რომლითაც შემცირდა მშენებლობის ვადა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის მშენბანკმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით განსაზღვრონ კონკრეტული საწარმოები თუ ობიექტები, რომლებიც უნდა აშენდეს აღნიშნული წესით, და დაამუშაონ ძირითადი დებულებანი ამ მშენებლობის განხორციელების, დაკრედიტების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ეკონომიისა და მოგების გამოყენების წესის შესახებ.

25. სსრ კავშირის მშენბანკმა სსრ კავშირის სამინისტროებთან ერთად განხორციელოს ცალკეულ მშენებლობებზე, დაწყებული 1970 წლიდან, შემკვეთსა და მიმწოდებელს შორის ანგარიშსწორების ცდა მიმწოდებელი ქარხნების მიერ მთლიანად დაკომპლექტებული და დამონტაჟებული მოწყობილობის ასანახლაურებლად.

იმ შემთხვევებში, როცა ეს გამოწვეულია საწარმოო მიზანშეწონილობით, ამ მოწყობილობის მონტაჟი წარმოებს სპეციალიზებული საიჯარო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამასთან ანგარიშსწორებას მოიჯარებთან აწარმოებენ მიმწოდებელი ქარხნები.

26. დადგინდეს, რომ 1970 წლიდან საწარმოო დანიშნულების ახლად დაწყებულ მშენებლობათა დაფინანსება და 1971 წლიდან ახლად დაწყებული ობიექტების დაფინანსება გარდამავალ მშენებლობებზე შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, როცა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობანი მშენებლობის წლების მიხედვით გათვალისწინებულია სატიტულო ნუსხებში მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენილი ნორმების და მშენებლობაში მარაგნამეტის ნორმატივების შესაბამისად. სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახბანკს დაევალოთ დააფინანსონ ეს მშენებლობანი და ობიექტები აღნიშნულ პირობათა ზუსტად დაცვით.

27. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცეთ უფლება საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმები გაუდიდონ მშენებლობებსა და ობიექტებს, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს, იმ მშენებლობებისა და ობიექტების დაფინანსების გეგმების შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ, კაპიტალური დაბანდებაების წლიურ მოცულობათა და სიმძლავრეების, ობიექტებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დეველბათა შეუმცირებლად, თუ დაცულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 და № 643 დადგენილებებით გათვალისწინებული პირობები.

28. თუ შემკვეთებს დროებით არა აქვთ სახსრები, სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს ევალებათ სესხის თანხებით გაუნაღდონ მოიჯარე ორგანიზაციებს შესრულებული სამუშაოების ანგარიშები, რომლებიც აქცეპტებულია შემკვეთის მიერ და მიღებულია ბანკების დაწესებულებების მიერ, ამასთან სესხის დავალიანების თანხები დააწერონ შემკვეთებს, რომლებმაც ეს დავალიანება უნდა დაფარონ 45 დღეში.

სესხის სარგებლობისათვის შემკვეთებს გადახდებთ საფასური 5 პროცენტი წლიურის ოდენობით. აღნიშნული პროცენტების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები მოქმედ საწარმოებსა და ორგანიზაციებში განეკუთვნება ძირითადი საქმიანობის შედეგებს, ახლად მშენებარე საწარმოებში კი ზდება სამინისტროს, უწყების რეზერვის ხარჯზე, ფინანსური დახმარების გასაწევად.

ამ პუნქტში აღნიშნული სესხის დაფარვა წარმოებს იმ რიგით, რომელიც დადგენილია მატერიალურ ფასეულობათა და მომსახურების გადასახდებებისათვის.

29. ნება მიეცეთ სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახბანკს სამშენებლო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს, თუ მათ არ ჰყოფნით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, მისცენ კრედიტები საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის, თუ მშენებლობის დაწყებისათვის ექნებათ მშენებლობისათვის საჭირო სახსრების სულ ცოტა 50 პროცენტი. ეს კრედიტი უნდა დაფარონ ორ წლამდე ვადაში იმ სახსრების



ხარჯზე, რომლებიც სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში შემოდის.

აღნიშნული კრედიტით სარგებლობისათვის დაწესდეს შემდეგი პროცენტული განაკვეთები: პირველ წელს — 1 პროცენტი, მეორე წელს — 2 პროცენტი და ვადაგასულ სესხებზე — 6 პროცენტი წლიურად.

სკკბ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოთა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელებაზე ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ტემპის დაჩქარება და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, და მოითხოვენ, რომ საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედება უზრუნველყონ დაწესებულ ვადებში უმცირესი დანახარჯებითა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხით.

იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მშენებლობისა და სამრეწველო საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ, საძიებო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა კოლექტივების მთელი მრავალმილიონიანი არმიის მეცადინეობასა და შეთანხმებულ მუშაობაზე. სკკბ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმუნას გამოთქვამენ, რომ პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები დარაზმავენ სამშენებლო ორგანიზაციათა, სამრეწველო საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციათა კოლექტივებს იმისათვის, რომ უმოკლეს დროში აღმოფხვრან კაპიტალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი, და საჭირო ღონისძიებებს განხორციელებენ სამშენებლო წარმოების ტექნიკური და ეკონომიური დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სკკბ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.



61 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილებიდან „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, მათს საპროექტო ინსტიტუტებს: „საქქალაქმშენსახპროექტს“, „საქსოფლმშენსახპროექტს“, „საქწყალკანალპროექტს“ და „თბილქალაქპროექტს“, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორები ან ბიუროები აქვთ:

საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაპროექტების დროს: მაქსიმალურად გაითვალისწინონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და ამ საფუძველზე მიაღწიონ იმას, რომ ეს საწარმოები იყვნენ ტექნიკურად მოწინავენი, უზრუნველყოფდნენ შრომისნაყოფიერების, თვითღირებულების, პროდუქციის ხარისხის მაღალ მაჩვენებლებს და შრომის პირობების მიხედვით აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნებს;

გამოიყენონ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში ნედლეულისა და პროდუქციის სატრანსპორტო ნაკადების ყველაზე ეკონომიური სქემები, რაციონალურად გამოიყენონ გასანაშენიანებელი ტერიტორია და საწარმოო ფართობები, გააუმჯობესონ შენობათა და ნაგებობათა პროექტების სამშენებლო ნაწილის და არქიტექტურული გაფორმების ხარისხი, გაითვალისწინონ მოხერხებული საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობა;

შექმნან საპროექტო ორგანიზაციებში ისეთი პირობები, რომლის დროსაც დამპროექტებლებს ექნებათ ფართო შესაძლებლობა გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა ყველაზე პროგრესულ და ეკონომიურ გადაწყვეტათა ამორჩევაში;

გააძლიერონ ხარჯთაღრიცხვის როლი და უზრუნველყონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორად დადგენა, ამასთან გაითვალისწინონ, რომ სწორად შედგენილი და მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიღებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და შემკვეთებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებისათვის.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გადაწყვიტონ, საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით, პროექტების ერთ ან ორ სტადიად შემუშავების საკითხები, ხოლო იმ ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობა განზრახულია განხორციელდეს ტიპობრივი პროექტებით და განმეორებით გამოსაყენებელი ინდივიდუალური პროექტებით, აგრეთვე ტე-

ქნიკურად არართული ობიექტებისათვის, დაპროექტება განხორციელდეს ერთ სტადიად.

3. დაწესდეს, რომ საქარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს დაამტკიცებენ და ხელახლა დაამტკიცებენ:

იმ მშენებლობებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5-დან 2,5 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, ხოლო იმ მშენებლობებისათვის, რომელთა ღირებულება 1,5 მილიონ მანეთზე ნაკლებია, — მათ მიერ დადგენილი წესით;

იმ ობიექტებისათვის, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სახსრების ხარჯზე შენდება და რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1 მილიონ მანეთამდეა, — ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, ხოლო იმ ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1-დან 1,5 მილიონ მანეთამდეა, — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

4. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა არ დაუშვან ობიექტების მშენებლობა მოქველებული პროექტებით და უზრუნველყონ საჭირო ცვლილებათა დროზე შეტანა პროექტებში.

აღნიშნული პირობების დაცვის დროს პროექტების ხელახლად დამტკიცება აწარმოონ იმ წესით, რაც დადგენილია ახალი პროექტების დასამტკიცებლად. თუ აღნიშნული პირობები დაცული არ არის, ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტების და საპროექტო დავალებათა ხელახლა დამტკიცება მოხდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

5. უფლება მიენიჭოთ:

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაავალონ საჭიროების შემთხვევაში ქვესაუწყებო საპროექტო ორგანიზაციებს შეასრულონ შემკვეთებთან სახელმწიფოებრივ საწყისებზე მშენებლობისადმი ტექნიკურ ზედამხედველობასთან დაკავშირებული სამუშაოები იმ შემთხვევებში, როდესაც მიზანშეწონილი არ არის მშენებარე საქარმოს (ნაგებობის) დირექციის შემადგენლობაში მშენებლობისადმი ტე-

ქნიკური ზედამხედველობის აპარატის შექმნა. აღნიშნულ შემთხვევებში ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები აანაზღაურონ იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია კრებისითი ხარჯთაღრიცხვებით მშენებარე საწარმოს (ნაგებობის) დირექციის შესანახად და გადასცენ ამ საპროექტო ორგანიზაციებს ხელფასის საჭირო ფონდები.

საქართველოს სსრ სახმშენმა ნება დართოს საპროექტო ორგანიზაციებს შერტანონ შენობათა და ნაგებობათა ტიპობრივ პროექტებში ცვლილებანი, რომლებიც გამოწვეულია უფრო პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მოცულობითი-საგეგმო და კონსტრუქციულ გადაწყვეტათა გამოყენებით (ტიპობრივი უნიფიცირებული კონსტრუქციების გამოყენებით — შესაბამის მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციასთან შეთანხმებით) და რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის ობიექტების ღირებულების შემცირებას და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

6. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო კომიტეტებს გააცნონ საპროექტო ორგანიზაციების ყველა მუშაკს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილება „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“.

7. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილება „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ დაეზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი

3. მუხანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე

ბ. ჩოგოვაძე.

სსკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 390

1969 წლის 28 მაისი

მოსკოვი, კრემლი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ

სსკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ საპროექტო ორგანიზაციათა მუშაეების შრომას, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ კაპიტალური მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

საბჭოთა სპეციალისტების პროექტებით აშენდა მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურები, მძლავრი ნავთობსადენები, გაზსადენები, მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის და მრეწველობის სხვა დარგების ბევრი საწარმო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე დიდადშეარმოებლური მოწყობილობით და უშვებენ მაღალი ხარისხის პროდუქციას.

ამასთან სსკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საპროექტო ორგანიზაციების მუშაობას დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ბევრ საპროექტო ინსტიტუტში საკმაოდ არ ითვალისწინებენ პროექტების შემუშავებისას მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ყოველთვის არ იჩენენ შემოქმედებითს მიდგომას საპროექტო გადაწყვეტის ამორჩევისას, უშვებენ შაბლონს სამშენებლო კონსტრუქციებისა და არქიტექტურული ფორმების გამოყენებაში. პროექტებში არაიშვიათად შეაქვთ ნაკლებად ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები, მოძველებული მოწყობილობა, პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონე როგორც ძირითად წარმოებაში, ისე დამხმარე სამუშაოებზედაც. ითვალისწინებენ ისეთი საყოფაცხოვრებო დარგების შექმნას საწარმოებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს.

ასეთი პროექტებით აშენებული სამრეწველო საწარმოები ჩამორჩენილია. ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები და საცხოვრებელი სახლები — მოუხერხებელია. მათი არქიტექტურული სახე ერთფეროვანი და არამომზიდველია.

დიდი სამრეწველო საწარმოებისა და კომპლექსების პროექტების შემუშავებისას ხშირად არ ითვალისწინებენ გასანაშენიანებელ ტერიტორიაზე ობიექტების რაციონალურად განლაგების, ყველაზე ეკონომიური მოცულობითი საგემო და კონსტრუქციული გადაწყვეტის აუცილებლობას. მშენებლობის

დროს ეს იწვევს დამატებით ხარჯებს კომუნიკაციებისათვის და ართულებს აშენებული საწარმოების ექსპლუატაციას.

პროექტების შემუშავებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხარჯთაღრიცხვას. უშვებენ შეცდომებს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრაში, ხოლო ზოგჯერ ხელოვნურადაც კი ამცირებენ ხარჯთაღრიცხვებს, რაც ყალბ წარმოდგენას ჰქმნის დასახული მშენებლობის ეფექტიანობაზე და ართულებს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

დინტერესებულ დაწესებულებებთან პროექტების სავალდებულო შეთანხმების შექმნილი პრაქტიკა (მაშინაც კი, როცა პროექტები შემუშავებულია მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად) იწვევს დაპროექტების ვადების გაჭიანურებას და ამცირებს საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მათ მიერ მიღებული საპროექტო გადაწყვეტისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი მოიპოვება პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზაში. ბევრ შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება ფორმალურად და არსებითად დადებითს გავლენას არ ახდენს პროექტების ხარისხზე.

ანიჭებენ რა დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მათ საპროექტო ორგანიზაციებს:

მოაწყონ დაპროექტება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე, რათა მშენებარე და სარეკონსტრუქციო საწარმოები მათი ამოქმედების დროისათვის იყვნენ ტექნიკურად მოწინავენი და ჰქონდეთ შრომის ნაყოფიერების, წარმოების თვითღირებულებისა და პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლები, ხოლო შრომის პირობების მიხედვით კი შესაბამებოდნენ თანამედროვე მოთხოვნებს;

უზრუნველყონ პროექტებით ნედლეულისა და პროდუქციის სატრანსპორტო ნაკადების ყველაზე ეკონომიური სქემების გამოყენება, გასანაშენიანებელი ტერიტორიისა და საწარმოო ფართობების რაციონალურად გამოყენება, პროექტების სამშენებლო ნაწილის ხარისხისა და შენობათა და ნაგებობათა არქიტექტურული გაფორმების გაუმჯობესება, მოხერხებული საყოფაცხოვრებო სათაგნების მოწყობა.

ამისათვის საჭიროა შეიქმნას საპროექტო ორგანიზაციებში მუშაობის ისეთი პირობები, რომ დამპროექტებლებს ფართო შესაძლებლობა ჰქონდეთ შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინონ დაპროექტების დროს რაც შეიძლება უფრო პროგრესული ეკონომიური გადაწყვეტის არჩევაში.

საჭიროა გავზარდოთ ხარჯთაღრიცხვის როლი და უზრუნველვყოთ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორად განსაზღვრა. სწორად შედგენილი და მოაჯარე სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიღებული ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და შემკვეთებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების ძირითადი დოკუმენტი.

2. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1969-1970 წლებში შესაბამისი დარგების საწარმოთა დაპროექტების ძირითადი ტექნიკური მიმართულებანი, ამასთან გაითვალისწინონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების უახლესი პერსპექტივები და ამ ტექნიკურ მიმართულებათა შესაბამისად, კაბიტალური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე, შეადგინონ ახალი, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შექმნისათვის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა კომპლექსური თემატური გეგმები.

3. დაევალოთ მანქანათმშენებლობის სამინისტროებს:

ამ დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნული გეგმების საფუძველზე, მოწყობილობის შემკვეთ სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ ტექნოლოგიური და მაკომპლექტებელი მოწყობილობის კონსტრუირების, დამზადებისა და მიწოდების ხუთწლიანი გეგმები, რომლებშიაც გაითვალისწინონ მოწყობილობის შემკვეთთა მიერ ამ მოწყობილობის კონსტრუირების ტექნიკურ დავალებათა მიცემის ვადები, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციებისათვის კაბიტალური მშენებლობის ობიექტების დასაპროექტებლად საჭირო მოწყობილობის ამოსავალი მონაცემების მიცემის ვადები;

სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია საპროექტო ორგანიზაციებს ახალი ტექნოლოგიური და დამზარებ მოწყობილობის დაპროექტებისა და მისი წარმოების ორგანიზაციის ვადების შესახებ, რათა საპროექტო ორგანიზაციებს შეეძლოთ ახალი მოწყობილობის გამოყენების გათვალისწინება საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში;

დროულად უზრუნველყონ იმ ახალი მოწყობილობის შემუშავება, რომელსაც საპროექტო ორგანიზაციები ითვალისწინებენ საწარმოთა მშენებლობის პროექტებით, და მისი წარმოების ორგანიზაცია, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ საჭიროა უზრუნველყონ მშენებარე ობიექტები ექსპლუატაციაში საიმედო მოწყობილობით.

4. დაწესდეს, რომ 1971 წლიდან დაწყებული, დაპროექტებისა და მშენებლობის საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს ეკონომიური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის შესაბამისი დარგების განვითარებისა და განლაგების სქემების და საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების გათვალისწინებით, ხოლო მსხვილი და რთული საწარმოებისა და ნაგებობების მიხედვით — აგრეთვე იმ ტექნიკურ-ეკონომიურ დსაბუთებათა საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ საწარმოთა და ნაგებობათა დაპროექტებისა და მშენებლობის ეკონომიურ მიზანშეწონილობას და სამეურნეო საჭიროებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმშენთაშეთანხმებით 1969 წელს შეიმუშაოს და დაამტკიცოს მითითებანი ტექნიკურ-ეკონომიურ დსაბუთებათა შემადგენლობის, მათი შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით



განსაზღვროს ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებათა შედგენის სამუშაოების დაფინანსების წყაროები.

5. საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტება შეიძლება განხორციელდეს ორ სტადიად — ტექნიკური პროექტი და სამუშაო ნახაზები ან ერთ სტადიად — ტექნიკურ-სამუშაო პროექტი (ტექნიკური პროექტი სამუშაო ნახაზებთან ერთად).

გადაწყვეტილებას პროექტების ერთ ან ორ სტადიად შემუშავების შესახებ მიიღებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები (ან მათ მიერ დადგენილი წესით), ამასთან იმ ობიექტების მიხედვით, რომელთა მშენებლობა უნდა განხორციელდეს ტიპობრივი პროექტებითა და განმეორებით გამოყენებული ეკონომიური ინდივიდუალური პროექტებით, აგრეთვე ტექნიკურად აბრატული ობიექტების მიხედვით, დაპროექტება უნდა ხორციელდებოდეს ერთ სტადიად.

იმ დიდი საწარმოების (ნაგებობების) დაპროექტება, რომელთა მშენებლობა განსაზღვრულია რიგების მიხედვით, უნდა დაიწყოს იმით, რომ შემუშავდეს საწარმოს (ნაგებობის) გენერალური გეგმის სქემა მისი სრული განვითარებისათვის, აგრეთვე შემუშავდეს ძირითადი საპროექტო გადაწყვეტა, რაც საჭიროა მთელი მშენებლობის ღირებულების დასადგენად (გამსხვილებული მაჩვენებლებით). ეს საპროექტო დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს მშენებლობის პირველი რიგისათვის ტექნიკური პროექტის შემადგენელ ნაწილს. მშენებლობის შემდგომი რიგებისათვის უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ტექნიკური პროექტები დადგენილი წესითა და მოცულობით.

მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დასადგენად ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტის სტადიაზე ღებვა კრებისით ხარჯთაღრიცხვა. ცალკეული ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა სახეების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრება პრეისკურანტებით, ტიპობრივი და განმეორებით გამოყენებული ეკონომიური ინდივიდუალური პროექტების ხარჯთაღრიცხვებით, რომლებიც შეფარდებულია მშენებლობის ადგილობრივ პირობებთან, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში — სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით.

უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის მინისტრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განსაკუთრებულ შემთხვევაში ნება დართონ, მას შემდეგ, რაც დადგენილი წესით მიღებული იქნება გადაწყვეტილება საწარმოთა მშენებლობის შესახებ და შედგება ამ საწარმოთა გენერალური გეგმები, — შეიმუშაონ ტექნიკური პროექტების დამტკიცებამდე გარესამოედნო ნაგებობებისა და კომუნიკაციების, საწარმოო ბაზის ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ნიშნულების ობიექტების სამუშაო ნახაზები და ხარჯთაღრიცხვები მოიჯარე ორგანიზაციებისათვის და შეასრულონ მათ მიხედვით მოსამზადებელი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული მოცულობით.

6. საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის კრებსითი ხარჯთა-
აღრიცხვები უნდა შეიცავდეს რეზერვს გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათ-
ვის და ხარჯებს შემდეგი ოდენობით (მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირე-
ბულების პროცენტულად):

ტექნიკური პროექტის კრებსითს ხარჯთაღრიცხვაში (ორ სტადიად დაპრო-
ექტებისას) — 10 პროცენტს;

ტექნიკურ-სამუშაო პროექტის კრებსითს ხარჯთაღრიცხვაში (ერთ სტადიად
დაპროექტებისას) — 5 პროცენტს.

აღნიშნული რეზერვი შეიძლება დაიხარჯოს მშენებარე საწარმოს ღირექ-
ციის ნებართვით.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს:

ა) შეადგინოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავში-
რე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და 3 თვის ვადაში
დამტკიცოს მშენებლობის პრეისკურანტების შემუშავებისა და დამტკიცების
გეგმა და მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ამ პრეისკურან-
ტების შემუშავებას. გაითვალისწინოს გეგმით მშენებლობის პრეისკურანტების
შემუშავება:

მასობრივი განაშენიანების საცხოვრებელი სახლებისა — საერთო ფართო-
ბის 1 კვ. მეტრისათვის;

სასკოლო შენობებისა, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისა, საავად-
მყოფოებისა, პოლიკლინიკებისა, კინოთეატრებისა, კლუბებისა და კულტურულ-
საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტებისა — ერთი ადგილისათვის;

ცალკეული საწარმოო დამხმარე შენობებისა და ნაგებობებისა — სიმძლავ-
რის ერთეულისათვის;

სატრანსპორტო, ენერგეტიკული, წყალთა მეურნეობის ობიექტებისა და სხვა
სახის მშენებლობისა — სიმძლავრის ერთეულისათვის ან განზომილების გამს-
ხვილებული ერთეულისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ობიექტებისა — მთლიანად ობიექტო-
სათვის ან განზომილების გამსხვილებული ერთეულისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების
მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ ამ გეგმის შესაბამისად პრეისკურანტე-
ბის შემუშავება და მათი დამტკიცება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კო-
მიტეტთან შეთანხმებით, რათა საექსპლოატაციოდ გადაეცეს ობიექტები 1970
წლიდან;

ბ) უზრუნველყოს 1969-1970 წლებში შესაბამისი სამინისტროებისა და
უწყებების მონაწილეობით ტიპობრივი სამშენებლო კონსტრუქციების, დეტა-
ლების, კვანძებისა და სამაგრების სამუშაო ნახაზების საჭირო რაოდენობის კა-
ტალოგებისა და ალბომების შემუშავება და გამოცემა იმ ანგარიშით, რომ სა-
მუშაო ნახაზების შედგენა შეესაბამებოდეს ძირითადად სამონტაჟო გეგმებსა
და თვალსაზრისს აღნიშნულ ალბომებზე მითითებით.

8. ნება დაერთოს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაადგინონ ცდის სახით წესი, რომლის მიხედვითაც სამუშაო ნახაზებს ზოგიერთი მშენებლობისათვის შეიმუშავენ საპროექტო ორგანიზაციები საფასურის გადახდით მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შეკვეთით. მოიჯარე ორგანიზაციების მიერ სამუშაო ნახაზების მოცულობის შემცირებისაგან მიღებული ეკონომია რჩება ამ ორგანიზაციების განკარგულებაში და მისი ნაწილი გამოიყენება ამ ორგანიზაციების იმ მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას საპროექტო დოკუმენტაციის ნაკლები მოცულობით.

9. დაწესდეს, რომ საპროექტო და საძიებო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებას 1971 წლის 1 იანვრიდან აწარმოებენ შემკვეთები, როგორც წესი მთლიანად ობიექტების დამთავრებული პროექტებისა და ძიებებისათვის ან საპროექტო და საძიებო სამუშაოთა ეტაპებისათვის.

საპროექტო და საძიებო სამუშაოთა ეტაპებს, აგრეთვე შემკვეთისათვის დამთავრებული საპროექტო დოკუმენტაციის მიცემის ვადებს დაწესებენ შემკვეთი და საპროექტო (საძიებო) ორგანიზაციები ხელშეკრულების დადების დროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა შეიმუშაონ სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და 3 თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება, თუ რა წესით და რა პირობებში უნდა მიეცეთ აღნიშნულ ორგანიზაციებს საბრუნავი სახსრები დაუმთავრებელ საპროექტო და საძიებო სამუშაოთა გეგმიანი ხარჯების დასაფარავად ან მიეცეთ მათ ამ მიზნისათვის ბანკის კრედიტი.

10. ნება დაერთოს საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დახარჯონ სახსრები მუშაკთა დასაჯილდოებლად იმ თანხების გადამეტებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნით ხარჯთაღრიცხვებში, ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე ისე, რომ ამ წყაროებით დაჯილდოების ხარჯების საერთო ოდენობა არ აღემატებოდეს აღნიშნულ ორგანიზაციათა მუშაკების ხელფასის წლიური ფონდის 10 პროცენტს.

გაიღიდეს იმ სახსრების ოდენობა, რაც საპროექტო ორგანიზაციებს ერგებათ სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაში ასამუშავებელი მშენებლობებისათვის დახმარების გასაწევად, იმ პრემიების საერთო თანხის 5 პროცენტამდე, რომლებიც გათვალისწინებულია მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის (ისე, რომ არ შემცირდეს შემკვეთებისათვის დაწესებული პრემიების ოდენობა).



11. დაწესდეს, რომ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა სამშენებლო დაპროექტებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ნორმები და წესები, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ, შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახმშენთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედ ნორმებსა და წესებში, რომლებიც შეეხება საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტებას და მშენებლობას, ადგილი აქვს დაუსაბუთებელ და გადიდებულ მოთხოვნებს, რაც იწვევს მშენებლობის ღირებულების და მათი ექსპლუატაციის ხარჯების გადიდებას, დაევალოთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო სამთო-ტექნიკურ ზედამხედველობას, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, ვაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასინჯონ 1969-1970 წლებში ეს ნორმები და წესები და დაამტკიცონ ისინი სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

12. დაწესდეს, რომ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტები და სამუშაო ნახაზები, რომლებიც შემუშავებულია მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად (რაც უნდა დადასტუროს პროექტის მთავარმა ინჟინერმა შესაბამისი ჩანაწერით პროექტის მასალებში), არ უნდა შეუთანხმდეს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტების დროს წამოიჭრება მოქმედი ნორმებისა და წესების მოთხოვნებისაგან ნაწილობრივი გადახრის აუცილებლობა, ეს გადახრა წინასწარ უნდა შეათანხმონ საპროექტო ორგანიზაციებმა შესაბამის ორგანოებთან იმ წესით, რაც დადგენილია სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რომლებმაც ნორმები და წესები დაამტკიცეს. სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებთან უნდა იქნას შეთანხმებული აგრეთვე მათი საქმიანობის შესახები საპროექტო გადაწყვეტანი, რომლებისთვისაც არ არის დამტკიცებული ნორმები და წესები.

13. დაწესდეს, რომ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს იმ მშენებლობათა მიხედვით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია, დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები (მათ სისტემაში შემავალი ყველა მშენებლობის მიხედვით) და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ყველაზე დიდი საწარმოებისა და ნაგებობების ტექნიკურ პროექტებს დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახმშენთან ერთად ყოველწლიურად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნულ მშენებლობათა ნუსხა.

იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებიც უნდა აშენდეს კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ხარჯზე, დამტკიცდება იმ წესით, რასაც დაადგენენ შესაბამისი ცენტრალური კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა არ დაუშვან ობიექტების მშენებლობა მოძველებული პროექტებით და უზრუნველყონ მათში საჭირო ცვლილებათა შეტანა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. ამ პირობების დაცვით პროექტების ხელახლა დამტკიცება წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია ახლად შემუშავებული პროექტების დასამტკიცებლად.

თუ აღნიშნული პირობები დაცული არ არის, ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს და საპროექტო დავალებებს ხელახლა დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ტექნიკურ პროექტებს ხელახლა დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმშენში წინასწარი განხილვით.

2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა პროექტების დამტკიცების და ხელახლა დამტკიცების წესს დაადგენენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

14. დაწესდეს, რომ 1971 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის დაგეგმვა უნდა წარმოებდეს კაპიტალურ დაბანდებათა მათთვის დამტკიცებული მოცულობის პროცენტულად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა და დააწესოს მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით დიფერენცირებული დანახარჯები საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის, თვითელი დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით.

15. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საჭიროების შემთხვევაში:

ა) ნება დართონ საპროექტო ორგანიზაციებს განახორციელონ საინჟინერო ძიებანი იმ საპროექტო სამუშაოებთან კომპლექსურად, რომლებსაც ისინი ასრულებენ მოქმედ საწარმოთა და ნაგებობათა გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის, შენობათა და ნაგებობათა ტიპობრივი პროექტების მშენებლობის ნაკვე-

თებზე მორგებისათვის, აგრეთვე აწარმოონ საძიებო სამუშაოები, რომლებიც საჭიროა სამუშაო ნახაზების შემუშავებისას არსებული საძიებო მასალების დასახუსტებლად;

ბ) დაავალონ ქვესაუწყებო საპროექტო ორგანიზაციებს შეასრულონ შემკვეთებთან სახელშეკრულებო საწყისებზე მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები, როდესაც მშენებარე საწარმოს (ნაგებობის) დირექციის შემადგენლობაში მიზანშეწონილი არ არის მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის აპარატის შექმნა. აღნიშნულ შემთხვევებში ტექნიკური ზედამხედველობის სამუშაოები აანაზღაურონ იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია კრებისთი ხარჯთაღრიცხვებით მშენებარე საწარმოს (ნაგებობის) დირექციის შესანახად, და გადასცენ ამ საპროექტო ორგანიზაციებს ხელფასის საჭირო ფონდები;

გ) დაავალონ სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებს რთული ტექნოლოგიური პროცესებისა და სამშენებლო კონსტრუქციების მქონე საწარმოთა და ნაგებობათა ტექნიკური პროექტების ან პროექტების ცალკეული ნაწილების რამდენიმე ვარიანტის ერთდროულად შემუშავება, რათა აირჩიონ ოპტიმალური საპროექტო გადაწყვეტანი და აანაზღაურონ ეს სამუშაოები კაპიტალური მშენებლობის იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია საპროექტო სამუშაოთა გეგმებით;

დ) ნება დართონ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებს, ჯგუფებს, განყოფილებებს, რომლებიც შექმნილია საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ძირითადი საქმიანობის გეგმებით, შეიმუშაონ საამქროების, უბნების რეკონსტრუქციის, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისა და საინჟინერო ქსელებისა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე შეასრულონ საპროექტო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია არართული შენობებისა და ნაგებობების ტიპობრივი პროექტების მშენებლობის მოედნებთან მორგებასთან, ისე, რომ აუცილებლად იქნას დაცული დაპროექტებისა და მშენებლობის მოქმედი ნორმები და წესები.

ე) ნება დართონ საპროექტო ორგანიზაციებს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მათთვის დადგენილი გეგმისა და ხელშეკრულებებით ნაყისრ ვალდებულებათა გადამეტებით (ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მათ შესრულებას), მიიღონ სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა, აგრეთვე კოოპერაციულ ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა შეკვეთები კაპიტალური მშენებლობის საპროექტო და საძიებო სამუშაოთა შესრულებაზე იმ პირობით, რომ სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საპროექტო ორგანიზაციებს გადასცემენ შესაბამის ხელფასის ფონდს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთას მიიღებენ კოოპერაციული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისაგან — იმ პირობით, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საპროექტო ორგანიზაციებს გადასცემენ შესაბამის ხელფასის ფონდს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად;

გ) დაამტკიცონ მთავარი საპროექტო ორგანიზაციები სახალხო მეურნეობის, მრეწველობის შესაბამისი დარგებისა და მშენებლობის სახეობათა მიხედვით, რაც უნდა აცნობონ სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ზ) ქვესაუწყებო მთავარ საპროექტო ორგანიზაციებში საპროექტო სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრისას გაითვალისწინონ ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია კონსულტაციების ჩატარებასთან და სხვა საპროექტო ორგანიზაციებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევასთან, მათთან სახელმწიფო საწყისებზე, — იმ სამუშაოთა საერთო მოცულობის ერთი პროცენტის ოდენობით, რომლებსაც უშუალოდ ასრულებს მთავარი საპროექტო ორგანიზაცია;

თ) ნება დართონ საპროექტო ორგანიზაციებს შეიტანონ შენობათა და ნაგებობათა ტიპობრივ პროექტებში ცვლილებანი უფრო პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების, მოცულობით-საგეგმო და საკონსტრუქტორო გადაწყვეტათა გამოსაყენებლად (ტიპობრივი უნიფიცირებული კონსტრუქციების გამოყენებით და შესაბამის მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციასთან შეთანხმებით), რათა უზრუნველყონ მშენებლობის ობიექტების ღირებულების შემცირება და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

16. აღინიშნოს, რომ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა დაპროექტების დროს საკმაო ანალიზს არ უკეთებენ ამა თუ იმ კონსტრუქციების (ასაწყობი რკინაბეტონის, ლითონისა და სხვა) გამოყენების ეკონომიურ ეფექტიანობას, რის შედეგადაც მშენებლობის დროს ხშირად იყენებენ მოცემული ობიექტისათვის არაეკონომიურ კონსტრუქციებს.

დაწესდეს, რომ შენობებისა და ნაგებობების მშენებლობაში რკინაბეტონის, ლითონის ან სხვა სამშენებლო კონსტრუქციების გამოყენების საკითხი უნდა გადაჭრან საპროექტო ორგანიზაციებმა, ამასთან გაითვალისწინონ, თუ რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტიანი იქნება მათი გამოყენება, აგრეთვე აქვთ თუ არა შესაბამისი საწარმოო ბაზები და მატერიალური რესურსები მოიჯარე სამინისტროსა და შემკვეთ სამინისტროს.

17. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაადიდონ 5 პროცენტამდე რესპუბლიკისათვის დამტკიცებული მოცულობა საპროექტო-სამშენებლო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა, რომლებსაც საპროექტო ორგანიზაციები ასრულებენ შემკვეთებთან სახელმწიფო საწყისებზე, ამასთან შესაბამისად გაადიდონ ხელფასის ფონდი ამ სამუშაოთა შესასრულებლად მთლიანად რესპუბლიკაში ხელფასის ფონდის ფარგლებში, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

18. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს შეიმუშაოს სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და 1969 წელს დაამტკიცოს:

ა) დებულება გენერალურ დამპროექტებელ საპროექტო ორგანიზაციების შესახებ. გაითვალისწინოს ამ დებულებით მათი უფლებების გაფართოება იმ სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რომლებიც ეწვეიან პროექტების ცალკეული ნაწილების შემუშავებას, აგრეთვე გენერალური დამპროექტებლების პასუხისმგებლობის გაძლიერება პროექტებისა და ხარ-

ქთალრიცხვების კომპლექსური შემუშავებისათვის დაწესებულ ვადებში და მაღალი ხარისხით, აგრეთვე სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პროექტების შესაბამისი ნაწილების დოკუმენტაციის მაღალ-ხარისხიანად დამუშავებისათვის დაწესებულ ვადებში;

ბ) დებულება პროექტის მთავარი ინჟინრის, მთავარი არქიტექტორის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს ამ დებულებით მთავარი ინჟინრის, პროექტის მთავარი არქიტექტორის უფლებების გაფართოება და პასუხისმგებლობის გაძლიერება, როგორც პროექტის ორგანიზატორისა და ტექნიკური ხელმძღვანელისა და პროექტების, მშენებლობისა და საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების მთელი პერიოდის მანძილზე, რომელიც პასუხისმგებელია პროექტების ხარისხისა და მშენებარე საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისა და საპროექტო-სახარჯთალრიცვო დოკუმენტაციის შემუშავების დაწესებული ვადების დაცვისათვის.

19. გავრცელდეს სახელმწიფო საპროექტო, საძიებო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებზე, რომლებიც ასრულებენ კაპიტალური მშენებლობის სამუშაოებს, სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და იურიდიულ პირებად ითვლებიან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, საპროექტო, საძიებო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მიმართ აღნიშნული დებულების გამოყენების თავისებურებათა გათვალისწინებით, დაამტკიცონ 1969 წელს დებულება იმ სახელმწიფო საპროექტო, საძიებო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს კაპიტალური მშენებლობისათვის.

20. მიზანშეწონილად ჩაითვალოს იმ საპროექტო, საძიებო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციების გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს კაპიტალური მშენებლობისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს შეიმუშაონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და 3 თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული ორგანიზაციების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის ძირითადი დებულებანი და მაჩვენებლები, აგრეთვე წინადადებანი ახალ სისტემაზე მათი გადაყვანის წესისა და ვადების შესახებ.

21. იმ მიზნით, რომ შეიქმნას საპროექტო ორგანიზაციების დაინტერესება მათთვის დაწესებულ საპროექტო სამუშაოთა მოცულობის შესრულებით მუ-

შაკთა ნაკლები რაოდენობით, ნება დაერთოს სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრს, სსრ კავშირის ფერად მეტალურგიის მინისტრს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრს, გაზის მრეწველობის მინისტრს, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს შემოიღონ ცდის სახით სსრ კავშირის სახმშენის, თვითეული ამ სა-მინისტროს, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ერთ-ორ საპროექტო ორგანიზაციაში მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები, რომელთა თანახმად საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიის წარდგენით დაუწესებს (საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში) თანამდებობრივ განაკვეთებს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს მათი კვალიფიკაციის, საწარმოო გამოცდილებისა და შესასრულებელი სამუშაოს მნიშვნელობის გათვალისწინებით, — სქემით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთების მიუხედავად, მაგრამ არა უმეტეს დანართში აღნიშნული ოდენობისა.

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განაზოგადონ სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის აღნიშნული სამინისტროების, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის მონაწილეობით იმ საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რომლებშიც შემოღებულია მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, და 1970 წლის III კვარტალში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება და წინადადებანი.

22. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენარეგებს და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებს გაითვალისწინონ გეგმებით სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებული ნომენკლატურისა და რაოდენობის მაღალხარისხოვანი მოწყობილობის, ინვენტარისა და მასალების წარმოება, რომლებიც სჭირდებათ საპროექტო, საძიებო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს.

23. დაწესდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 60 პრემია, რაც მიეცემათ საუკეთესო პროექტების შემუშავებისა და ამ პროექტებით საწარმოების (საწარმოთა ჯგუფების), შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის და ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანების იმ პროექტების უშუალო მონაწილე მუშაკთა კოლექტივებს, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება დაიმსახურეს, შესაბამებიან თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველყოფენ შრომისა და წარმოების მაღალეფექტიან ორგანიზაციას, აქედან 15 პრემია — ოც-ოცი ათასი მანეთი, 20 პრემია — ათ-ათი ათასი მანეთი და 20 პრემია — ხუთ-ხუთი ათასი მანეთი.

აღნიშნულ პრემიებს მიანიჭებენ ერთობლივად სსრ კავშირის სახმშენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

ყოველწლიურად, 1971 წლიდან დაწყებული, მშენებლის დღისათვის და გაიცემა შესაბამისი ობიექტების მშენებლობის ან დაპროექტების ხარჯთაღრიცხვების სახსრების ანგარიშში.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცონ 1969 წელს დებულება აღნიშნული პრემიების მინიჭების წესის შესახებ.

24. მიღებულ იქნას პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

დაევალოს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და სსრ კავშირის სახმშენს სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით 2 თვის ვადაში შეიმუშაონ აღნიშნულ ორგანიზაციათა კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

25. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი ინსტრუქციებსა და დებულებებში კაპიტალური მშენებლობისათვის დაპროექტებისა და საძიებო სამუშაოთა შესრულების საკითხებზე, აგრეთვე გადასინჯოს საპროექტო მასალების შემადგენლობა და მოცულობა იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად შეამციროს ისინი როგორც ტექნიკური პროექტების, ისე სამუშაო ნახაზების შემუშავების დროს.

სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ, გაზის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საზღვაო ფლოტის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი ინსტრუქციებსა და დებულებებში დაპროექტებისა და ძიებათა საკითხებზე, ამასთან გაითვალისწინონ მშენებლობის დარგებისა და სახეობათა სპეციფიკა, ძიების, დაპროექტებისა და მშენებლობის დებულებები და ინსტრუქციები, რომლებსაც სსრ კავშირის სახმშენი ამტკიცებს.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.



სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 28 მაისის № 390
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

**საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა თანამდებობებისა, რომლებისთვისაც
თანამდებობრივ განაკვეთებს დააწესებენ საპროექტო ორგანიზაციების
ხელმძღვანელები**

თანამდებობათა დასახელება	საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების ზღვრული ოდენობა იმ თანამდებობრივი განაკვეთის პროცენტულად, რაც დაწესებულია ლირექტორისათვის განაკვეთების მოქმედი სქემის შესაბამისად.
ღირექტორის მოადგილე, პროექტის მთავარი ინჟინერი (მთავარი არქიტექტორი) და სხვა მთავარი სპეციალისტები, საწარმოო და ტექნიკური განყოფილების უფროსი, სახელისნოს ხელმძღვანელი	95
საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე	90
საგეგმო, საგეგმო-საწარმოო, საწარმოო-სადისპეტჩერო განყოფილების უფროსი, საძიებო ექსპედიციის უფროსი და მთავარი ინჟინერი	80
ჭკუფების, ბრიგადების ხელმძღვანელები, საძიებო პარტიის უფროსი	70
უფროსი ინჟინერი, უფროსი ეკონომისტი, უფროსი გეოლოგი, რაზმის უფროსი	60
ინჟინერი, ეკონომისტი, არქიტექტორი, მეხარჯთაღრიცხვე, გეოლოგი, უფროსი ტოპოგრაფი	50
უფროსი ტექნიკოსი, ტოპოგრაფი	45
ტექნიკოსი	40

შენიშვნები:

1. აღნიშნულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების ოდენობა არ შეიძლება იყოს იმ განაკვეთებზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია სქემით შესაბამისი თანამდებობებისათვის.
2. იმ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი აღნიშნულ ნუსხაში, დაწესდება თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცებული სქემის შესაბამისად.

62 საპარტველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სპაროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტებს:

აღმოფხვრან საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულია სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებაში.

შემიშვან არქიტექტურის, სართულიანობისა და განფენილობის მხრივ სხვადასხვაგვარი სახლების ტიპური პროექტები და გამოიყენონ ისინი ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროს; უზრუნველყონ შენობათა ფასადების მოპირკეთება ხანგამძლე და ლამაზი მასალებით (წინაპირა აგურით, დეკორაციული ბეტონებით, მინისა და კერამიკული ფილებით, ალუმინით, ფერადი მინით, ბუნებრივი ქვით, ფერადი ცემენტით, მედეგი საღებავებით);

იმისათვის, რომ მიეცეს ქალაქებს ისეთი სახე და კოლორიტი, რაც თანამედროვე ქალაქმშენებლობის მოთხოვნებს შეესაბამება, შექმნან ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს საერთო-საქალაქო ცენტრების არქიტექტურული ანსამბლები და განახორციელონ მათი განაშენიანება საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სავაჭრო შენობების კომპლექსებით, როგორც ტიპობრივი პროექტების, ისე ეკონომიური ინდივიდუალური პროექტებითაც (ტიპობრივი უნიფიცირებული კონსტრუქციების გამოყენებით).

2. საქართველოს სსრ სახმშენმა და რესპუბლიკის სპაროექტო ორგანიზაციებმა საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპური პროექტების შემუშავებისას უზრუნველყონ:

ზომის მხრივ სხვადასხვაგვარი, მოსახერხებლად დაგეგმილი ბინების შექმნა სხვადასხვა რიცხოობრივი შემადგენლობის ცალკეული ოჯახების ჩასასახლებლად; დამხმარე სადგომების ფართობის გადიდება, იმის შესაძლებლობა, რომ დაიდგას ბინებში ჩაშენებული კარადები, სამზარეულო ავეჯის კომპლექტები და საშუალო-საყოფაცხოვრებო მოწყობილობა;

ველოსიპედებისა და საბავშვო ეტლების შესანახი სადგომების მშენებლობა, ხუთსართულიან და უფრო მაღალ სახლებში — ნაგავსადენების მოწყობა; ბინების, სადარბაზოების, კიბის გალიების, ვესტიბიულების, ლიფტების ხარისხის გაუმჯობესება;



ბინების გამჭოლი განიავება, ვერანდების ან ლოჯიების, რეგულირებული მზისგან დამცავი ინდივიდუალური კონდიციონერების დასაყენებელი ხელსაწყოების, მიხარატებულ-ამომწოვი ვენტილაციის, თეთრეულის, ტანსაცმლის გასაშრობი და სეზონური და სამეურნეო ნივთების შესანახი სადგომებისა და კარადების მოწყობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს შეიმუშაოს 1969—1971 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ რესპუბლიკის კლიმატურ პირობებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც საბინაო მშენებლობას ახორციელებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა;

უზრუნველყონ, 1971 წლიდან დაწყებული, საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპური პროექტების მიხედვით მშენებლობაზე გადასვლა;

დააწესონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რაციონალურად და ეკონომიურად დასაბუთებული სტრუქტურა ტიპების, სართულიანობისა და კონსტრუქციების მიხედვით;

განახორციელონ ქალაქებისა და საცხოვრებელი მასივების განაშენიანება ყველა საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტთან კომპლექსურად. იმის გათვალისწინებით, რომ შეიქმნას მშრომელებისათვის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების სათანადო პირობები, ქალაქთა გენერალური გეგმების, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს:

განახორციელოს სახლმშენებლობის საწარმოების გადაყვანა წარმოების ახალ ტექნოლოგიაზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 თებერვლის № 62 დადგენილებით, იმ ანგარიშით, რომ გამოშვებულ იქნას დეტალების კომპლექტები სხვადასხვაგვარი განფენილობისა და სართულიანობის ისეთი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, რომლებსაც ექნებათ არქიტექტურულ-საგეგმო გადაწყვეტისა და გარეგანი შოპირკეთების სხვადასხვა ვარიანტები, ამასთან გაითვალისწინოს იმის შესაძლებლობა, რომ სწრაფად გადაეკეთდეს ტექნოლოგიური მოწყობილობისა და აღჭურვილობის დეტალები ახალი ტიპის დეტალების გამოსაშვებად.

ახალი სახლმშენებლობის საწარმოების მშენებლობისას გაითვალისწინოს წარმოების ისეთი ტექნოლოგიის დანერგვა, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მოქმედი სახლმშენებლობის საწარმოების ტექნოლოგიური აღჭურვილობის ამორტიზაციის მიხედვით განახორციელოს მათი გადაკეთება

იმ ანგარიშით, რომ ისინი საცხებით იქნან გადაყვანილი საცხოვრებელი სახლების დეტალების წარმოების ახალ ტექნოლოგიაზე;

შემუშავდა და 1969 წლის 1 ოქტომბრამდე დაამტკიცოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვესაუწყებო სახლმშენებლობის საწარმოების გადაყვანას საცხოვრებელი სახლების დეტალების ახალი ტექნოლოგიის მიხედვით გამოშვებაზე და მსხვილბანელიანი საბინაო მშენებლობის მოცულობის აყვანას 1975 წლისათვის რესპუბლიკაში სახელმწიფო და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე მიინც;

მოაწყოს სახლმშენებლობის საწარმოებში არქიტექტურულ-საკონსტრუქტორო ჯგუფები საცხოვრებელი სახლების დეტალების კომპლექტების სადეტალირებო სამუშაო ნახაზების შესამუშავებლად, მათი წარმოების ადგილობრივი პირობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გათვალისწინებით;

განახორციელოს, 1970 წლიდან დაწყებული, სახლმშენებლობის საწარმოების პროდუქციის წარმოების დაგეგმვა იმ ქალაქებისა და საცხოვრებელი რაიონების განაშენიანებისათვის საჭირო პროექტების ნომენკლატურის მიხედვით, რომლებსაც მომსახურებას უწყევენ სახლმშენებლობის საწარმოები და აღნიშნული საწარმოების საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინოს გეგმის შესრულება ამ ნომენკლატურის მიხედვით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა 1970 წლისა და 1971—1975 წლების გეგმების პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინონ კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა სკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

7. შიდალი კვალიფიკაციის მომპირკეთებელ მშენებელ მუშათა მუდმივი კადრების შექმნის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამმართველოსთან ერთად, წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას დაზუსტებანი მუშათა კადრების მომზადების 1969—1970 წლების გეგმასა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში.

8. საქართველოს სსრ სახმშენმა 1973 წლამდე დაამთავროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქების, განვითარებადი ქალაქებისა და ქალაქ-კურორტების გენერალური გეგმების პროექტების კორექტირება და დადგენილი წესით დამტკიცება, ხოლო 1975

წლამდე — იმ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება, რომლებსაც გენერალური გეგმები არა აქვთ.

9. ქალაქ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანებისადმი არქიტექტურული და ტექნიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, აგრეთვე მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილების 26-ე პუნქტის შესაბამისად, დაევალეთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1969 წლის აგვისტოს დამლევამდე წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არქიტექტურულ-დაგეგმარების სამმართველო სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციით, ხოლო სხვა ქალაქებში — ქალაქის მთავარი არქიტექტორის განყოფილებები სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციებით.

10. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ საჭირო ზომები, რათა გაძლიერდეს მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა მშენებლობის სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისათვის.

11. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები მიღებული იქნება საექსპლოატაციოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება მთელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ჩატარდება ტერიტორიის კეთილმოწყობა დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტების სრული შესაბამისობით.

საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების საექსპლოატაციოდ მიმღებმა კომისიებმა გულმოდგინედ შეამოწმონ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და საჭირო შემთხვევებში წარუდგინონ ზემდგომ ორგანიზაციებს ცნობები იმ შემკვეთისა და მოიჯარის შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების მშენებლობას, ხოლო სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოებს — მასალები იმ თანამდებობის პირთა მისაცემად პასუხისგებაში, რომლებმაც უხარისხოდ შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

12. დაევალეთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს აცნობონ თვითიველ შემსრულებელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილება: „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.



13. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილება „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მშავენიძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

ქ თბილისი, 1969 წ. 22 ივლისი, № 444.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 392

1969 წლის 28 მაისი

მოსკოვი, კრემლი

**საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ პრობლემას — მოსახლეობის უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ბინებით. მართო ბოლო 10 წლის მანძილზე (1959—1968 წლები) საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 1 მილიარდ კვადრატულ მეტრს, რაც ერთიორად მეტია, ვიდრე წინა ათწლეულში. ამან შესაძლებელი გახადა 112 მილიონზე მეტა კაცის საბინაო პირობების გაუმჯობესება. ყოველი ოჯახი, როგორც წესი, ახალ სახლებში იღებს ცალკე კეთილმოწყობილ ბინას. ამ დროის მანძილზე სახელმწიფო საბინაო ფონდის უზრუნველყოფა წყალსადენით, კანალიზაციითა და გაზით გაიზარდა ერთნახევარჯერ, ცენტრალური გათბობით — ერთიორად, სააბაზანოებითა და საშხაპეებით — ერთისამად.

სულ უფრო მზარდი მოცულობით შენდება ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სკოლები, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებანი, თეატრები, კულტურის სახლები, კინოთეატრები, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოები.

მშენებარე და სარეკონსტრუქციო ქალაქები უზრუნველყოფილია თანამედროვე საქალაქო ტრანსპორტითა და საინჟინრო მოწყობილობით, ხდება მათი ტერიტორიების კეთილმოწყობა.

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოთა შესრულება დიდი მოცულობით და სწრაფი ტემპით შესაძლებელი გახდა სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული ბაზის განვითარების, სახლმშენებლობის ტიპიზაციისა და ახალი პროგრესული ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის შედეგად. მთლიანად ასაწყობი სახლმშენებლობის ჰეცდრითი წონა ქალაქებში შეადგენს საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობის 40 პროცენტს.

მაგრამ საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და ქალაქმშენებლობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ტიპური პროექტები, რომლებითაც ხორციელდება მასობრივი საბინაო მშენებლობა, არ შეესაბამება ვაზარდილ მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს საჭირო მოხერხებულობას სახლებში მცხოვრებთათვის. ამ პროექტებში საკმაოდ არ არის გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის რაიონების ბუნებრივ-კლიმატური და სხვა თავისებურებანი, ბინების დაგეგმვა არ შეესაბამება სხვადასხვა შემადგენლობის ოჯახთა დასახლების მოთხოვნებს, ბინების დამხმარე სათავსების (სამზარეულოების, დერეფნების, სანიტარული კვანძების) ფართობი საკმარისი არ არის და საშუალებას არ იძლევა განლაგდეს თანამედროვე მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები. საცხოვრებელი სახლების პროექტებში გათვალისწინებული არ არის სპეციალური სადგომები საოჯახო ნივთების, ბავშვის ეტლების, ველოსიპედების შესანახად.

განაშენიანების ხერხები, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მოცულობით — საგეგმო გადაწყვეტანი, მათი გარეგნული სახე შაბლონურია. ჩვენი ქვეყნის მეტ წილ ქალაქებში მასობრივი საბინაო მშენებლობის რაიონების არქიტექტურა ერთფეროვანი და ულამაზოა.

ქალაქების გენერალური გეგმების, აგრეთვე საცხოვრებელი რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების დამუშავება დროზე არ ხდება, რის გამო ბევრი ქალაქისა და დაბის განაშენიანება უგეგმოდ ხდება, ხოლო ზოგჯერ დაშვებულია ქალაქმშენებლობის შეცდომები.

საბინაო მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. ხშირად არის გადახვევა პროექტებიდან და ირღვევა სამუშაოთა წარმოების ტექნიკური პირობები; საცხოვრებელ სახლებს საექსპლოატაციოდ იღებენ დაუმთავრებელს.

საშენ მასალათა, ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების ბევრი საწარმო და სახლსაშენებელი კომბინატები სახლების მასალებსა და დეტალებს უშვებენ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით, ამ საწარმოთა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ საბინაო მშენებლობისათვის გამოშვებული მასალებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებასა და გარეგნულ სახეზე და მათი ნომენკლატურის გაფართოებაზე.

ცენტრალურ საპროექტო ორგანიზაციებში ტიპური პროექტების დამუშავების თავმოყრის არსებული პრაქტიკა აფერხებს ადგილებზე მომუშავე არქი-

ტექტორთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას და აწელებს მათ პასუხისმგებლობას მშენებარე ქალაქებისა და დაბების არქიტექტურული სახისათვის.

არქიტექტორები და დამპროექტებლები ცუდად იყენებენ ინდუსტრიული დიდად განვითარებული სახლმშენებლობის შესაძლებლობებს მშენებლობის ხარისხისა და საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების არქიტექტურის გაუმჯობესებისათვის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად სახლსაშენებელი კომბინატები (ქარხნები) არ ზრუნავენ საჭირო კონსტრუქციებისა და დეტალების გამოშვებისათვის სხვადასხვა გარეგნული სახის სახლების ასაგებად, აგრეთვე მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნეს საბინაო მშენებლობის მოცულობის შემდგომ ზრდასთან ერთად სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების დაგეგმვის, მათი შინაგანი მოპირკეთების, მოწყობილობისა და გარეგნული შესაბნელობის, მშენებარე და სარეკონსტრუქციო ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების არქიტექტურული სახისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესება.

2. დაველოთ სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილებაში, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროს უზრუნველყონ არქიტექტურის, სართულიანობისა და განფენილობის მხრივ სხვადასხვაგვარი სახლების ტიპური პროექტების გამოყენება, შენობათა ფასადების მოპირკეთება ხანგამძლე და ლამაზი მასალებით (მოსაპირკეთებელი აგურით, დეკორატიული ბეტონებით, მინისა და კერამიკული ფილებით, ალუმინით, ფერადი მინით, ბუნებრივი ქვით, ფერადი ცემენტებით, გამძლე საღებრებით). ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს უზრუნველყონ საერთოსაქალაქო ცენტრების არქიტექტურული ანსამბლების შექმნა, მათი განაშენიანება საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სავაჭრო შენობების კომპლექსებით, რო-

გორც ტიპური პროექტების, ისე ეკონომიური ინდივიდუალური პროექტების მიხედვით (ტიპური უნიფიცირებული კონსტრუქციების გამოყენებით), რათა ქალაქებს ჰქონდეთ სათანადო იერი და კოლორიტი თანამედროვე ქალაქმშენებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ამილღეს არქიტექტურულ-მგეგმავი ორგანოების და არქიტექტორთა როლი და გაფართოვდეს მათი უფლებები ქალაქმშენებლობის საკითხების გადაჭრაში და დაწესდეს მათი სრული პასუხისმგებლობა ქალაქებისა და დაბების სწორი დაგეგმვისა და განაშენიანებისათვის საცხოვრებელი სახლებით და საზოგადოებრივი შენობებით არქიტექტურის, შენობათა და ნაგებობათა ექსპლოატაციის მოთხოვნების შესაბამისად და მშენებლობის რაიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების და მისი შემდგომი ინდუსტრიალიზაციის საჭიროების გათვალისწინებით.

4. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა და საპროექტო ორგანიზაციებმა საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპური პროექტებით დამუშავების დროს უზრუნველყონ:

სხვადასხვა რიცხოვრივი შემადგენლობის ოჯახების ჩასასახლებლად ნავარაუდევო, მოსახერხებლად დაგეგმილი სხვადასხვა ზომის ბინების პროექტების შექმნა; დამხმარე სათავსების ფართობის გადიდება, ბინებში განჯინების, სამზარეულო ავეჯისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მოწყობილობის კომპლექტების ჩაშენების შესაძლებლობა.

სადგომების მოწყობა ველოსიპედებისა და ბავშვის ეტლების შესანახად, აგრეთვე ნაგავსადენების მოწყობა 5 სართულისა და მეტი სიმაღლის სახლებში, ბინების, სადარბაზოების, კიბეების, ვესტიბიულების, ლიფტების მოპირკეთების ხარისხის გაუმჯობესება;

ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონებისათვის — ბინების გამჭოლი განივება, აივნებისა და ლოჯიების მოწყობა, მზისგან რეგულირებული დაცვის ინდივიდუალური კონდიციონერების დასადგმელად სამარჯვების მოწყობა, ხოლო ჩრდილოეთი რაიონებისათვის — საჭირო თბოტექნიკური ხარისხის კედლებისა და ფანჯრის ბლოკების, შემწოვ-გამწოვი ვენტილაციის, ტანსაცმლის გასაშრობი და სეზონური საოჯახო ნივთების შესანახი კარადების მოწყობა.

5. დავალოს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით უზრუნველყონ 1969—1971 წლებში საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტების დამუშავება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონისათვის, რომლებიც შეესაბამება ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პირველი რიგის მასობრივი საბინაო მშენებლობის რაიონებისათვის დამტკიცდეს ახალი ტიპური პროექტები 1970 წელს.

6. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, 1971 წლიდან მოყოლებული, ახალი ტიპური პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გადასვლა;

დაადგინონ მშენებლობის რაციონალური და ეკონომიურად დასაბუთებული სტრუქტურა საცხოვრებელი სახლების ტიპების, სართულიანობისა და კონსტრუქციების მიხედვით და განახორციელონ ქალაქებისა და საცხოვრებელი მასივების განაშენიანება ყველა საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტიანად, რათა მშრომელებს შეექმნათ შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების სათანადო პირობები, ქალაქების გენერალური გეგმების, დეტალური და გეგმვისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

7. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რა საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებას, მთლიანსაწყობი სახლმშენებლობის გაუმჯობესებას და მასობრივი საბინაო მშენებლობის არქიტექტურის დონის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, განხორციელდეს სახლსაშენებელ საწარმოთა გადაყვანა წარმოების ახალ ტექნოლოგიაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა განფენილობის და სართულიანობის და სხვადასხვა ვარიანტის არქიტექტურულ-საგეგმო გადაწყვეტის და გარეგნული მოპირკეთების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დეტალების კომპლექტების გამოშვება, ამასთან გათვალისწინებულ იქნეს ტექნოლოგიური მოწყობილობისა და აღჭურვილობის სწრაფი გადაკეთება ახალი ტიპების დეტალების გამოსაშვებად.

დაევალოთ სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

განახორციელონ ახალი სახლსაშენებელი საწარმოების მშენებლობა წარმოების ტექნოლოგიით, რომელიც შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს. მოქმედ სახლსაშენებელ საწარმოთა გადაკეთება განხორციელდეს მათი ტექნოლოგიური აღჭურვილობის ამორტიზაციის კვალობაზე, რათა 4-5 წლის მანძილზე ყველა სახლსაშენებელი საწარმო მთლიანად იყოს გადაყვანილი საცხოვრებელი სახლების დეტალების წარმოების ახალ ტექნოლოგიაზე;

შეიმუშაონ და 1969 წლის 1 ოქტომბრამდე დაამტკიცონ ღონისძიებანი, რათა მათდამი დაქვემდებარებული სახლსაშენებელი საწარმოები გადაიყვანონ ახალი ტექნოლოგიით საცხოვრებელი სახლების დეტალების გამოშვებაზე და 1975 წელს მსხვილპანელიანი საბინაო მშენებლობის მოცულობა გაზარდონ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საერთო მოცულობის სულ ცოტა 50 პროცენტამდე;

მოაწყონ მსხვილ სახლსაშენებელ საწარმოებში არქიტექტურულ-საკონსტრუქტორო ჯგუფები საცხოვრებელი სახლების დეტალების კომპლექტების დეტალირებული სამუშაო ნახაზების დასამუშავებლად, მათი წარმოების ადგილობრივი პირობების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გათვალისწინებით;

განახორციელონ 1970 წლიდან დაწყებული, სახლსაშენებელ საწარმოთა პროდუქციის წარმოების დაგეგმვა იმ სახლების პროექტების ნომენკლატურის მიხედვით, რომლებიც საჭიროა ქალაქებისა და საცხოვრებელი რაიონების განაშენიანებისათვის, რომლებსაც ემსახურებიან სახლსაშენებელი საწარმოები,

და ზემოაღნიშნულ საწარმოთა საქმიანობა შეაფასონ ამ ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულების გათვალისწინებით.

8. შემოღებულ იქნეს სახლსაშენებელი კომბინატების (ქარხნების) ზეგეგმითი მოგების ხარჯზე ამ საწარმოთა მუშების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პრემირება სახლების პროექტების მოცემული ნომენკლატურით პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებისათვის და ახალი ტიპების სახლების გამოშვების ათვისებისათვის ამ სახლების დეტალების კომპლექტების მალალხარისხოვანი დამზადების პირობით.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებთან ერთად დაამუშაონ და დაამტკიცონ 1969 წელს დებულება აღნიშნული პრემიების გაცემის წესის შესახებ.

9. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს უხელმძღვანელოს მთლიანასაწყობი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტების საქმეს, დაეკისროს პასუხისმგებლობა მათი ტექნიკური და არქიტექტურული დონისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე სახლსაშენებელ საწარმოთა და მათი მოწყობილობის დაპროექტების სამუშაოთა კოორდინაციისათვის, მიუხედავად იმისა, რომელ უწყებას ეკუთვნიან ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ ზემოაღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს.

დაწესდეს, რომ სახლსაშენებელ საწარმოთა დაპროექტება უნდა ხორციელდებოდეს გეგმებით, რომლებსაც ყოველწლიურად დაამტკიცებს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

10. დაეკისროს სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს:

სახლსაშენებელ საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობისა და წარმოების ტექნოლოგიის დაპროექტება;

მთლიანასაწყობი სახლმშენებლობის ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობისა და აღჭურვილობის კომპლექტების, აგრეთვე აღჭურვილობის სათანადო ნაწილებისა და დეტალების დამზადება;

პასუხისმგებლობა სახლსაშენებელი საწარმოებისათვის ტექნოლოგიური პროცესების, მოწყობილობისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის დაპროექტების სამუშაოთა შესრულებისათვის, აგრეთვე ამ მოწყობილობისა და აღჭურვილობის ვადაზე დამზადებისათვის, რაც უზრუნველყოფს ამ დადგენილების შესაბამისად ახალი ტექნოლოგიითა და ახალი ტიპური პროექტებით მთლიანასაწყობი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ვადასვლას.

დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებულ სახმავარმშენკომპლექტს მშენებარე და სარეკონსტრუქციო სახლსაშენებელ საწარმოთა დაკომპლექტება აღნიშნული მოწყობილობით.

11. სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ:

გაზარდოს საქარხნო ხის სახლმშენებლობის საწარმოთა საწარმოო სიძლავრენი, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო, კოოპერაციული, საკოლმეურნეო და ინდივიდუალური მშენებლობის მოთხოვნილებანი და 1975 წლისათვის წელიწადში 12 მილიონ კვადრატულ მეტრამდე გაზარდოს ადგილობრივი მასალებით ხაშენი სახლების სტანდარტული ხის დეტალების კომპლექტების და 6 მილიონ კვადრატულ მეტრამდე — ქარხანაში დამზადებული ხის საცხოვრებელი სახლების კომპლექტების გამოშვება;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გადასინჯოს საქარხნო დამზადების ხის სახლების, აგრეთვე სტანდარტული ხის დეტალებიანი და ადგილობრივი მასალების კედლებიანი სახლების გამოსაყენებელი პროექტები და დაამუშაოს 1969-1970 წლებში საქარხნო დამზადების ხის სახლების ახალი ტიპური პროექტები. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს აღნიშნული ტიპური პროექტები.

უზრუნველყოს, 1970 წლიდან დაწყებული, მომხმარებლებისათვის საქარხნო დამზადების ხის საცხოვრებელი სახლების მიწოდება, რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებული იქნება მასალებით, ნაკეთობებით და მოწყობილობით გასათბობი, სანიტარულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური მოწყობილობებისათვის და სახლების მოპირკეთებისათვის.

დაეკისროს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს პასუხისმგებლობა საქარხნო დამზადების ხის სახლების, აგრეთვე სტანდარტული ხის დეტალებიანი და ადგილობრივი მასალების კედლებიანი სახლების ტიპური პროექტების ხარისხისათვის, ამასთან უფლება მიეცეს შეაჩეროს ამ სახლების და დეტალების წარმოება იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება მოძველებული პროექტებით ან ტექნიკური პირობების დარღვევით.

დაეკისროს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს პასუხისმგებლობა ამ სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ დამზადებული ხის სახლებისა და დეტალების ხარისხისა და კომპლექტურობისათვის.

12. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროები საბინაოსამოქალაქო მშენებლობისათვის უშვებენ ძალზე დაბალი ხარისხის სადურგლო ნაკეთობებს.

დაევალოთ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრს და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროების ხელმძღვანელებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში გამოსაყენებელ სადურგლო ნაკეთობათა ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის და უწინარეს ყოვლისა სადურგლო ნაკეთობათა დასამზადებლად მერქნის შრობის ორგანიზაციისათვის.

მაღალხარისხოვანი სადურგლო ნაკეთობებითა და კავეულით საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით 1969-1975 წლებში განხორციელდეს მოქმედ მექანიზებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება და ამ ნაკეთობათა დამამზადებელ ახალ დიდ მექანიზებულ საწარმოთა მშენებლობა, რათა 1975 წელს მსხვილ მექანიზებულ საწარმოებში დამზადდეს სულ ცოტა 45 მილიონი კვადრატული მეტრი ფანჯრის ბლოკები, 50 მილიონი კვადრატული მეტრი კარის ბლოკები, 15,4 მილიონი კვადრატული მეტრი საპარკეტო ფიცარი და 50 მილიონი კომპლექტი კავეული წელიწადში.

დაეკისროს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დაამუშაოს სადურგლო ნაკეთობათა და საპარკეტო ფიცრის დამამზადებელი საწარმოებისა და საამქროების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილი, ხოლო სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს — აღნიშნულ საწარმოებში ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი და გასაშვებ-გასაწყობ სამუშაოთა წარმოება.

13.*)

14. დაევალოს ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მოაწყოს 1969—1971 წლებში ასაწყობი საშრობების წარმოება თითოეული 50 ათასი კუბური მეტრი პირობითი დახერხილი მასალის მწარმოებლობისა წელიწადში და უზრუნველყოს 1971-1975 წლებში სადურგლო ნაკეთობათა და საპარკეტო ფიცრის საწარმოებისათვის წელიწადში 32 საშრობის მიწოდება შრობის პროცესების ავტომატური მართვის მოწყობილობისა და აპარატურის კომპლექტთან ერთად.

15. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1970 წლისა და 1971-1975 წლების გეგმების პროექტებში სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსათვის, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსათვის, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროსათვის, მოსკოვის საქალაქო აღმასკომისათვის, ლენინგრადის საქალაქო აღმასკომისათვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსათვის დავალებანი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისათვის საშენი მასალების, დეტალებისა და ნაკეთობების წარმოების სიმძლავრეთა განვითარებისა და მათი წარმოების ზრდის შესახებ ნომენკლატურითა და რაოდენობით თანახმად დანართისა.

*) ჰქმნეტი არ არის მოყვანილი, რადგან შეიცავს ერთჯერად დავალებას.

სსრ კავშირის აღნიშნულმა სამინისტროებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მოსკოვის საქალაქო აღმასკომმა და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომმა:

მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს საშენ მასალათა, დეტალებისა და ნაკეთობათა ხარისხი, უზრუნველყონ 1969-1970 წლებში საშენ მასალათა, დეტალებისა და ნაკეთობათა მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების გადასინჯვა და ახალი სტანდარტების დამტკიცება დადგენილი წესით, ამასთან გაითვალისწინონ მასალების საექსპლოატაციო-ტექნიკური თვისებების, დეტალებისა და ნაკეთობათა გარეგნული სახისა და გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება;

სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ 1969-1970 წლებში იმ პოლიმერული მასალებისა და ნაკეთობების სახელმწიფო სტანდარტების დამუშავება, რომლებსაც იყენებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ბინების მოპირკეთების დროს და რომლებიც შეესაბამებიან ტექნიკურ, სანიტარულ-ტოქსიკოლოგიურ და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს.

სსრ კავშირის სახმშენმა დაამტკიცოს ეს სტანდარტები.

16. მშენებლობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და კონსტრუქციების ხანგამძლეობის ზრდის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურული სახის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში ალუმინის კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა გამოყენების გაფართოება.

აშენდეს და 1970-1975 წლებში ამუშავდეს ქარხნები მშენებლობისათვის ალუმინის პროფილების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების გამოსაშვებად, ამასთან ასეთი პროფილების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოების საერთო სიმძლავრე გაიზარდოს 200 ათას ტონამდე წელიწადში, აქედან სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სისტემაში ქარხნები წელიწადში 60 ათასი ტონა საერთო სიმძლავრისა, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 30 ათასი ტონა, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 20 ათასი ტონა, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში — 20 ათასი ტონა, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს სისტემაში — 30 ათასი ტონა, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის სისტემაში — 10 ათასი ტონა, მოსკოვის საოლქო აღმასკომის სისტემაში — 10 ათასი ტონა, ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის სისტემაში — 10 ათასი ტონა და კიევის საქალაქო აღმასკომის სისტემაში — 10 ათასი ტონა სიმძლავრისა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გეგმების პროექტებში გაითვალისწინოს ალუმინის გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით ალუმინის პროფილების, საშენი კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დასამზადებლად 30 ათასი ტონის რაოდენობით 1970 წელს და 60 ათასი ტონის რაოდენობით 1971 წელს, ხოლო მათი მიწოდება 1975 წელს აყვანილ იქნეს 200 ათას ტონამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენ-მა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განსაზღვრონ სამი თვის ვადაში მშენებლობისათვის ალუმინის პროფილების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დამამზადებელი ქარხნების ოპტიმალური სიმძლავრეები და განლაგების რაიონები, დაამუშაონ და დაამტკიცონ მათი დაპროექტებისა და მშენებლობის ღონისძიებანი.

17. საავიაციო მრეწველობის სამინისტრომ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ახალ სიმძლავრეთა შექმნამდე დაამზადოს მშენებლობის საჭიროებისათვის ალუმინის პროფილები, კონსტრუქციები და ნაკეთობანი, აგრეთვე მოაწყოს, 1971 წლიდან დაწყებული, კოროზიულადმდეგი შენადნობების წარმოება პოლიმერული აფსკებით დაფარული დამცველი კონსტრუქციებისა და ალუმინის პროფილებისათვის.

აღნიშნული პროდუქციის დამზადება და მიწოდება წარმოებდეს იმ მოცულობით, რასაც განსაზღვრავს საავიაციო მრეწველობის სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად.

18. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, 1970 წლიდან დაწყებული, მოაწყოს მშენებლობის საჭიროებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული მოცულობებით დამცველ-დეკორატიული ელასტიკური პოლიმერული აფსკების წარმოება ალუმინის პროფილების დასაფარავად, სპეციალური საღებრების წარმოება ფერადი ანოდირებისათვის, ცივად გამყარებადი წებოების წარმოება ალუმინის პროფილების შესაწებლად და მასზე არალითონური მასალების დასაწებლად, მავულკანიზებული პერმეტიკების, მკერივი რეზინისა და პლასტმასის საფენების წარმოება კონსტრუქციების პირაპირებისა და კარ-ფანჯრის საგდულებისათვის.

19. დაევალოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აიყვანოს 1971-1975 წლებში ხაოიან-გაკერილი (ტაფტინგის) ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის წარმოება 20 მილიონ კვადრატულ მეტრამდე წელიწადში, აქედან 18 მილიონი კვადრატული მეტრი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საჭიროებისათვის.

საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1971—1973 წლებში, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაკვეთით, მოწყობილობის შესყიდვა საზღვარგარეთ აღნიშნული ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის წარმოებისათვის.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს, 1971 წლიდან დაწყებული, კარონისა და პოლიპროპილენის მოცულობითი ხალიჩის ძაფების წარმოება და აიყვანოს მათი მიწოდება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის საწარმოებლად 20 ათას ტონამდე 1975 წელს.

20. დაევალოს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი სტაციონარული სამზარეულო ავეჯისა და ჩამენებული კარადების გამოშვება იმ ნიმუშებით, რომლებიც შეთანხმებული იქნება სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, რათა ამ ავეჯის წარ-

მოება 1975 წელს აყვანილ იქნეს 1 მილიონ კომპლექტამდე წელიწადში.

აღნიშნული ავეჯის დადგმა, აგრეთვე ხაოიან-გაკერილი ხალიჩების დაფენა იმ შემთხვევებში, როცა ისინი გათვალისწინებულია პროექტით, უნდა ხდებოდეს იმ პირთა შეკვეთით და ხარჯზე, რომლებიც იღებენ საცხოვრებელ ფართობს, ამასთან მათ უნდა აანაზღაურონ საცალო ფასებით ავეჯისა და ხალიჩების ღირებულება, აგრეთვე ავეჯის დადგმისა და ხალიჩების დაფენის ხარჯები ერთდროულად ან განვადებით ერთი წლის განმავლობაში.

21. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ 1970 წლის და 1971-1975 წლების გეგმების პროექტების დამუშავების დროს კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალურ ტექნიკური რესურსების გამოყოფა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

22. მაღალკვალიფიციურ მშენებელ-მომპირკეთებელ მუშათა მუდმივი კადრების შექმნის მიზნით დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროებთან, მოსკოვის საქალაქო აღმასკომთან და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომთან ერთად 1969-1970 წლებში 132 სასწავლებელი 51.800 მოსწავლისათვის გარდაქმნან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად სამი წლის სწავლების ვადით საშუალო განათლების მქონე მშენებელ მომპირკეთებელთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად იმ წესით და პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 ოქტომბრის № 1082 დადგენილებით, და გაათავითოს ეს სასწავლებლები 1973 წლისათვის 100 ათას ადგილამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიტანონ სათანადო დაზუსტებანი მუშათა კადრების მომზადების 1969-1970 წლების გეგმებში და პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნულ სასწავლებელთა ოსტატებისა და უფროსი ოსტატების შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ.

23. მშენებლობაში მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირებისათვის საჭიროდ იქნეს მიჩნეული:

საშუალოდ ერთი თანრიგით გაიზარდოს მშენებლობასა და სახლსაშენებელ საწარმოებში შესრულებული მოსაპირკეთებელი სამუშაოების ტარიფიკაცია.

დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს საკავშირო პროფსაბ-

ქოსთან შეთანხმებით შეიტანონ საჭირო ცვლილებები სამუშაოთა და მშენებლობაში და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა ერთიან სატარიფო-საცვლიდიკაციო ცნობარში, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ერთიან ნორმებსა და შეფასებებში;

საბინაო-სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაზე ფართოდ გამოიყენონ მუშათა შრომის აკორდული ანაზღაურება, ისე რომ ბრიგადებს მიეცეთ სამუშაოთა მოცულობის დავალებები მთლიანად შენობაზე, სახლის სექციაზე, სართულსა ან ბინაზე. გაზარდონ იმ პრემიათა ოდენობა, რომლებსაც მუშებს აძლევენ ვადაზე ან ვადამდე დავალებათა შესრულებისათვის სანარდო პრემიალური სისტემით ნორმატიული დროის შემცირების თითოეული პროცენტისათვის, როცა სამუშაოები შესრულებულია მოქმედი ტექნიკური პირობების სრული შესაბამისობით.

24. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობის და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად გაითვალისწინოს გეგმებში მეცნიერული გამოკვლევებისა და ექსპერიმენტული სამუშაოების გაფართოება ქალაქმშენებლობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის დარგში, რათა უკვე უახლოეს წლებში ჩვენს ქვეყანაში სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივების ყოველმხრივი გათვალისწინებით დამუშავდეს სოციალისტური ქალაქმშენებლობის, ბინებით და აკელა სახეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებული დებულებები და ნორმატივები.

25. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს ნება მიეცეს დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით შექმნას 1970-1973 წლებში მოსკოვის ოლქში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ცენტრალური საწარმო-ექსპერიმენტული ბაზა და საწარმო-ექსპერიმენტული ბაზები ნოვოსიბირსკსა და კიევში, რათა ექსპერიმენტულად შეამოწმოს ახალი არქიტექტურულ-საგეგმო და კონსტრუქციული გადაწყვეტანი, აგრეთვე იმ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ შენობათა და ნაგებობათა საექსპლოატაციო თვისებები, რომლებსაც აგებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

საწარმო-ექსპერიმენტული ბაზების სამუშაოთა დაგეგმვა დაეკისროს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, ხოლო მათი საქმიანობის დაფინანსება მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტისა და იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც იღებენ სამუშაოთა შესრულებისათვის სამეურნეო ხელშეკრულებებით.

26. ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების არქიტექტურული და ტექნიკური ხელმძღვანელობის დონის ამადლების, აგრეთვე მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განიხილონ და გადაჭრან საკითხი მოკავ-



შირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და მსხვილ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოებისა და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციების შექმნის შესახებ (რათა არქიტექტურულ-საგეგმო სამმართველოს უფროსი ამავე დროს იყოს ქალაქის მთავარი არქიტექტორი), ხოლო სხვა ქალაქებში — ქალაქის მთავარი არქიტექტორის განყოფილებების და სახელმწიფო არქიტექტურულ სამშენებლო კონტროლის ინსპექციების შექმნის შესახებ ან მთავარი არქიტექტორების და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორთა თანამდებობების შემოღების შესახებ.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები გაღებულ იქნეს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მართვის ორგანოების შენახვის ასიგნებათა ფარგლებში.

27. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებს უფლება მიეცეთ შეაჩერონ საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა იმ შემთხვევებში, როცა არ არის დამტკიცებული პროექტი ან უხვევენ პროექტს და არღვევენ ტექნიკურ პირობებს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, აგრეთვე შეაჩერონ სამშენებლო ნაქვთობათა და მასალათა წარმოება, თუ ირღვევა სტანდარტები და ტექნიკური პირობები.

28. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროებთან ერთად უზრუნველყოს სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის დარგის სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესება და არქიტექტურულ-საგეგმო ორგანოებისა და საპროექტო ორგანიზაციების სპეციალისტებით დაკომპლექტების მიზნით 1971 წელს მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში არქიტექტურის სპეციალობებზე აიყვანოს 3,5 ათას კაცამდე წელიწადში.

29. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა 1973 წლამდე დაამთავროს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, სამხარეო და საოლქო ცენტრების, განვითარებადი სამრეწველო ქალაქებისა და ქალაქკურორტების გენერალური გეგმების პროექტების კორექტირება და დამტკიცება დადგენილი წესით და 1975 წლამდე იმ ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების დამუშავება და დამტკიცება, რომლებსაც არა აქვთ გენერალური გეგმები.

დაწესდეს, რომ ახალი მშენებლობა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მშენებლობის პირველი რიგის განლაგების გენერალური გეგმები და პროექტები და დასამუშავებელ გენერალურ გეგმებთან დაკავშირებული დეტალური დაგეგმვის პროექტები.

30. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების

საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა მოქმედა კანონმდებლობის შესაბამისად გაზარდონ მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა მშენებლობის სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისათვის.

დადგინდეს, რომ საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები საექსპლოატაციოდ უნდა ჩაბარდეს მას შემდეგ, რაც შესრულდება ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტების შესაბამისად.

საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიმღებმა კომისიებმა საგულდაგულოდ შეამოწმონ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და შესაბამის შემთხვევებში შემკვეთისა და მოიჯარის (რომელიც აშენებს საცხოვრებელ სახლებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებს) ზემდგომ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოებს წარუდგინონ მასალები იმ თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მისაცემად, რომლებმაც დაუშვეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა უხარისხოდ შესრულება.

31. დაწესდეს, რომ 1970 წლიდან დაწყებული, საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და მისი ტექნიკურ-ეკონომიური შეფასება წარმოებდეს საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულების მაჩვენებლის მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის მშენბანკმა შეიტანონ საბინაო მშენებლობის საგეგმო და ნორმატიულ დოკუმენტებში, აგრეთვე ანგარიშების ფორმებში ცვლილებები, რომლებიც გამოიმდინარეობს ამ დადგენილებიდან, ამასთან დატოვონ საერთო ფართობის, საცხოვრებელი ფართობისა და ბინების რიცხვის მიხედვით საბინაო მშენებლობის მოცულობის აღრიცხვის წესი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები, საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობებს საშენი და სხვა მასალებით, განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრან ქალაქებისა და დაბების დაგეგმვასა და განაშენიანებაში, საცხოვრებელი სახლებისა და საზო-



გადოებრივი შენობების დაბროექტებასა და მშენებლობაში, საშენი მასალების, დეტალებისა და ნაკეთობების წარმოებაში არსებული ნაკლოვანებანი და უთუოდ შეასრულებენ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით.

სკკბ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 28 მაისის № 392
დადგენილებების დანართი

დაგალება

1975 წელს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საჭიროებისათვის საშენ მასალათა და ნაკეთობათა წარმოებისა და მიწოდებისა

საშენ მასალათა და ნაკეთობათა დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა
ლინოლეუმი პოლივინილქლორიდისა, სხვადასხვა გაფერადებისა, მათ შორის თბოსაიზოლაციო და ბგერასაიზოლაციოც	მილიონი კვ. მეტრი	51
ფილები პოლივინილქლორიდისა, უქვესაფუძვლო, ერთფენიანი და ორფენიანი, სხვადასხვა მკაფიო გაფერადებისა	"	10
ლინოლეუმი ალკიდისა (გლიფტალიფური) ქსოვილის შეესაფუძვლზე	"	17
ლინოლეუმი რეზინისა (რეზინ სკ) და ფილები სინთეზური კაუჩუკის საფუძველზე ორ-სამფენიანი	"	5
ფილები აზბესტფისისა (კუმარონუქი და კუმარონ-პოლივინილქლორიდისა) უქვესაფუძვლო	"	8
გრძივი პოლივინილქლორიდის ნაკეთობანი—სახელურები, თამასები, პლინთუსები, კორომები, განლაგებანი და სხვა ნაკეთობანი	მილიონი გრძივი მეტრი	40
სხვადასხვა მკაფიო გაფერადების მოსაპირკეთებელი ფილები ან პოლისტიროლის ფურცლები	მილ. კვ. მეტრი	5
მინაპლასტიკი ფურცლოვანი ტალოვანი და ბრტყელი მკაფიო გაფერადებისა, ფერმედვი, ხანგამძლე ლოჯიების, იივნების, წინაფრების შემოსალობად და სხვ.	მილიონი კვ. მეტრი	10
მაღალხარისხოვანი რულონისა და ფილის ბგერასაიზოლაციო და თერმოსაიზოლაციო მასალები სინთეზურად შეკრული	"	2
თბოსაიზოლაციო მასალები აქაფებული პლასტმასების საფუძველზე	ათასი კუბ. მეტრი	1000
მკაფიო გაფერადების დეკორაციული ქალაღის ფენოვანი პლასტიკი	მილიონი კვ. მეტრი	18
საიზოლაციო მინერალური ბამბის მატები სინთეზურად დაკავშირებულ, გაკერილი წყალმედეგბაღალდში	ათასი კუბ. მეტრი	180



სიშენ მასალათა და ნაყეთობათა დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა
ნახევრად ხისტი შინის ზამბის მატები და ფილები სინ-თეზურად შეკრული	ათასი კვ. მეტრი	550
„აკმინიტის“ ტიპის მინერალური ზამბის აკუსტიკური ფილები	ათასი კვ. მეტრი	1800
თაბაშირის პერფორირებული ფილები	„	500
შინის სახალინე მოზაიკური ფილა პანელების მოსაპირ-კეთებლად	მილიონი კვ. მეტრი	5
ფსადის მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილა (6 გა-ფერადებამდე)	„	18.2
ფაქტურული და რელიეფური, მკაფიო გაფერადების კერამიკული მოჭიქული ფილა	„	0,1
კერამიკული მოჭიქული ფილა, თეთრი და ფერადი, სა-და და დღარული, შიდა მოპირკეთებისათვის	მილიონი კვ. მეტრი	20
შუქვამტარი სახიანი შინა	ათასი კვ. მეტრი	2500
ფანჯრის ფერადი შინა	„	500
არმირებული გაუკრიალებელი შინა აივნის შემოსალო-ბად, მათ შორის ფერადი	„	3000
კოლოფა და შეეღერული კვეთის პროფილიანი შინა-შინაპროფილიტი	„	1800
ბრტყელი გამოწრთობილი შინა	„	5000
კარის ტილოები გამოწრთობილი შინიდან, გაკრიალე-ბული, ნახევრად გამჭვირვალე, სახიანი	„	50
აფსკით დაფარული ქაღალდის შპალერი და გასარეცი შპალერი	მილიონი კვ. მეტრი	20
ბეტონური შპალერი ქსოვილის ქვესაფუძვლით — ექს-პერიმენტული წარმოება	„	8
შპის დასაცავი მოწყობილობანი სამხრეთი რაიონებისათვის — გარეთა დასაცეცი ზის დარაბები, დასახვევი შტორები და სხვ.	„	1,5



63 სპკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილებისა „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ“; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტები 1 და 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 14 ოქტომბრის № 694 დადგენილებისა „ადმინისტრაციულ, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობაზე ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ“;

ბ) პუნქტი 2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მშენებარე საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) „სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 მაისის № 509 იმ დადგენილების მე-2 პუნქტის მეხუთე აბზაცი, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აგვისტოს № 542 დადგენილებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მშენებლობათა სატიტულო სიები;

ბ) „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მშენებარე საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილების მე-3 პუნქტის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე აბზაცი და მე-10 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“. დადგენილება დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილებასთან ერთად, აგრეთვე ამავე დადგენილების მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სატიტულო სიების დამტკიცების წესს;

გ) პუნქტი 25 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 729 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ნოემბრის № 638 დადგენილებასთან ერთად;

დ) „მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 იანვრის № 57 დადგენილების მე-3 პუნქტის მეორე აბზაცი (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 აპრილის № 266 დადგენილებასთან ერთად) იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირის ახლად შექმნილი სამშენებლო სამინისტროები შეტანილ უნდა იქნან სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების ნუსხაში, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმებით გამოეყოფათ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1969 წ. 31 ივლისი, № 465.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

64 სასოფლო კინოდანადგარების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

სოფლის მოსახლეობის კინომოსახურების გაუმჯობესების და სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში კინოს როლის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ჩატარდეს 1969 წლის 15 ივლისიდან 1970 წლის 22 აპრილამდე სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერება, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ამ დიდი კულტურულ-მასობრივი ღონისძიების ჩატარებაში ფართოდ იქნან ჩაბმული საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ.

3. დამტკიცდეს სასოფლო კინოდანადგარების დათვალეიერების ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა თანდართული სიის თანახმად.

4. დაწესდეს იმ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც მომსახურებას უწევენ სასოფლო კინოდანადგარებს და რომლებმაც შეასრულეს რესპუბლიკური დათვალეიერების ყველა პირობა, ორი პირველი პრემია თვითეული 300 მანეთის, ორი მეორე პრემია თვითეული 200 მანეთის და ორი მესამე პრემია თვითეული 100 მანეთის რაოდენობით, კინოქსელის განკარგულებაში დატოვებული სახსრების ზეგეგმითი საერთო შემოსავლის ხარჯზე.

გამარჯვებული კოლექტივები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელებით.

დათვალეიერების ყველაზე წარჩინებული მონაწილეები წარდგენილი იქნებიან „სსრ კავშირის კინემატოგრაფიის წარჩინებულის“ ნიშნით დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
 მოადგილე
ბ. ჩოგოშვიდი.

საქართველოს პროფკავშირთა
 რესპუბლიკური საბჭოს
 თავმჯდომარე
შ. კიტნაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 2 ივლისი, № 386.

დაგეგმვის
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
 პუბლიკური საბჭოს 1969 წლის 2 ივლი-
 სის № 386 დადგენილებით

დაგეგმვა

სასოფლო-კინოდანადგარების მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისა და სოფლის მოსახლეობის იდეურ-აღმზრდელი მუშაობაში კინოს როლის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო 1969 წლის 15 ივლისიდან 1970 წლის 22 აპრილამდე ატარებენ სასოფლო-კინოდანადგართა მუშაობის რესპუბლიკურ დათვალიერებას.

დათვალიერება ტარდება როგორც დიდი კულტურულ-მასობრივი ღონისძიება საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით და მიეძღვნება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დათვალიერების ძირითადი ამოცანებია:

კინოს როლის შემდგომი ამაღლება სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, საბჭოთა კინემატოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებთა ფართო ჩვენება მოსახლეობისათვის, სოფლის მაცურებელთა მომსახურების კულტურის ამაღლება;

სასოფლო-სამეურნეო თემატიკის სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალურ-დოკუმენტური და სასწავლო ფილმების ყველაზე სრულად გამოყენება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებისათვის დახმარების გაწევა იმ მხრივ, რომ დაეუფლონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და წარმოების მოწინავე მეთოდებსა და მიღწევებს;

მოსახლეობის კინომომსახურების და კინოსაგან შემოსავლის მიღების გეგმის შესრულება;

კინოფილმების ჩვენების ხარისხის ამაღლება, კინოდანადგარების, კინოპარატურის, ტექნიკური მოწყობილობის და სადგომების სანიმუშოდ მოვლა-შენახვა, სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფა კინოსეანსებზე;

ბავშვთა და ახალგაზრდობის კინომომსახურების გაუმჯობესება, კინოს აქტიურად გამოყენება ახალგაზრდობაში აღმზრდელი მუშაობისათვის;

ფართო საზოგადოებრივი აქტივის მოზიდვა მოსახლეობის კინომომსახურებისათვის წარმოებულ მუშაობაში;

პროფკავშირთა სასოფლო-კინოდანადგარების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის განმტკიცება.

დათვალიერების პირობები

რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობას იღებენ კოლმეცნიერები, რომლებიც მომსახურებას უწყვენ სახელმწიფო და პროფკავშირულ სტაციონა-

რულ და მოძრავ სასოფლო კინოდანადგარებს, რაიონული კინოქსელების დირექციები, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტები და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიკომები.

ეგზემპლარები და დათვალიერებაში, კოლექტივებმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ სასოფლო კინოდანადგარებს, რაიონული კინოქსელების დირექციებმა კლუბების გამგეობებმა, წითელი კუთხეების საბჭოებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტებმა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების რაიკომებმა უნდა განსაზღვრონ, დათვალიერების ამოცანებისა და ადგილობრივი პირობების საფუძველზე, კონკრეტული ვალდებულებანი მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან:

ა) კოლექტივები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სასოფლო კინოდანადგარებს, კლუბების გამგეობები და წითელი კუთხეების საბჭოები, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში:

ეწევიან საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა სისტემატურ პროპაგანდას და ცდილობენ მოიზიდონ მოსახლეობის უმეტესობა მათს დათვალიერებაში;

ფართოდ იყენებენ სამეცნიერო-პოპულარულ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ კინოფილმებს იმ მხრივ, რომ გასწიონ მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების პროპაგანდა სოფლის მეურნეობაში;

შეასრულებენ მაყურებელთა მომსახურებისა და კინოსიყვანებისაგან სახსრების მიღების გეგმას;

ყოველთვიურად ატარებენ სულ ცოტა ათ კინოსიყვანის ბავშვებისათვის სტაციონარულ კინოდანადგარზე და სულ ცოტა თორმეტ კინოსიყვანის მოძრავ კინოდანადგარზე; აქვთ (სოფლის დასახლებულ პუნქტებში, სადაც სკოლები მოიპოვება) პიონერთა კინოთეატრები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ;

უზრუნველყოფენ კინოჩვენების ჩინებულ ხარისხს, სადგომების, კინოაპარატურის, საეკრანო მეურნეობის მოწყობილობის სანიმუშოდ მოვლა-შენახვას, სახანძრო უშიშროების მოთხოვნების სრულად დაცვას, არ დაუშვებენ ფილმასლების გაფუჭებას და ზეგეგმიით გაცვეთას;

ბ) საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტები, ბრიგადები, კინომექანიკოსები, კოლექტივები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ყველა სასოფლო კინოდანადგარსა და მოძრავ კინოებს და შეასრულებენ დათვალიერების პირობებს და მიიღწევენ დასახლებული პუნქტების კინომომსახურების ორგანიზაციის მაღალ მაჩვენებლებს, უზრუნველყოფენ კინოსაგან შემოსავლის და დაგროვების გეგმების შესრულებას დათვალიერების პერიოდში, გააუმჯობესებენ კინოჩვენების პუნქტების მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობას;

გ) სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირების რაიკომები, რაიონული კინოქსელების დირექციები, რომლებიც უზრუნველყოფენ დათვალიერების პირობების შესრულებას ყველა კინოდანადგარის,

კინომექანიკოსთა ბრიგადების და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტების ჯიერ, მიაღწევენ მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების ვალდებულებათა შესრულებას, გადაჭარბებით შეასრულებენ დათვალიერების პერიოდში კინოსაგან შემოსავლის მიღებისა და დაგროვების გეგმებს მთლიანად რაიონში.

დათვალიერების ჩატარების წესი

სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის დათვალიერებათა ჩასატარებლად შეიქმნება:

რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია; რომელსაც დაამტკიცებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ერთობლივი დადგენილებით, საოლქო დამთვალიერებელი კომისიები, რომლებსაც ერთობლივი დადგენილებებით დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და პროფკავშირთა საოლქო საბჭოები, სამხრეთ ოსეთის შრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროფკავშირთა საბჭო; რაიონული დამთვალიერებელი კომისიები, რომლებსაც დაამტკიცებენ რაიონული საბჭოების აღმასკომები თავიანთი დადგენილებებით.

დამთვალიერებელი კომისიები შეიქმნებიან საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, კინოფიციის, კინოგაქირავეების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანოების, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მუშაკთა წარმომადგენლებისაგან.

სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები:

ფართოდ გააცნობენ კინოქსელის, კულტურის სახლების, წითელი კუთხეების, სასოფლო კლუბების მუშაკებს და ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დებულებას დათვალიერების შესახებ, მოაწყობენ მის განხილვას კინოქსელის, სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კრებებზე;

შეიმუშაებენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო კინოდანადგარების მუშაობის დათვალიერების მომზადებას და ჩატარებას ყოველ დასახლებულ პუნქტში;

მოაწყობენ დამთვალიერებელი კომისიების, საზოგადოებრიობის, კინოქსელის მუშაკებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების ძალებით კინოდანადგარების მუშაობის შემოწმებას და გაუწევენ მათ დახმარებას;

განიხილავენ დათვალიერების მიმდინარეობას, განაზოგადებენ და დანერგავენ კინოდანადგარების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

შეაჯამებენ დათვალიერების შედეგებს შესაბამისად რესპუბლიკის, ოლქის და რაიონის მიხედვით.

დათვალიერების შედეგების შემოწმების წესი

დათვალიერების დამთავრების შემდეგ რაიონული დამთვალიერებელი კომისიები:



მოიწვევენ კინოქსელის, საკლუბო დაწესებულებების მუშაკთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა რაიონულ თათბირებს, რომლებზედაც განიხილავენ დათვალიერების შედეგებს, გამოყოფენ საუკეთესო კინოდანადგარებს და საკლუბო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტებს, რაიონული კინოქსელების დირექციებს და კინომექანიკოსებს, რომლებმაც შეასრულეს დათვალიერების ყველა პირობა, და 1970 წლის 1 მარტისათვის წარუდგენენ ანგარიშს რაიონში ჩატარებული დათვალიერების შედეგების შესახებ შესაბამისად საოლქო და რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიებს.

აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო დამთვალიერებელი კომისიები 1970 წლის 15 მარტისათვის წარუდგენენ რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას ანგარიშს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ჩატარებული დათვალიერების შედეგების შესახებ.

რესპუბლიკური დამთვალიერებელი კომისია:

განიხილავს რაიონული და საოლქო დამთვალიერებელი კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, შეაჯამებს რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებს. შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე კინოდანადგარების, საკლუბო დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტების, კინომექანიკოსების, რაიონული კინოქსელების დირექციების, სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რაიონების გამოცდილების პოპულარიზაციას და სასოფლო კინოქსელის მუშაობაში დანერგვას;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს წარმოუდგენს რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებს და მასალებს აქტიურ მონაწილეთა წასახალისებლად;

დათვალიერების მონაწილეთა წახალისება

კოლექტივები, რომლებიც შეასრულებენ სასოფლო კინოდანადგარების რესპუბლიკური დათვალიერების ყველა პირობას, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელებით, ხოლო მასალები დათვალიერების ყველაზე წარჩინებულ მონაწილეთა შესახებ წარდგენილი იქნება მათ დასაჯილდოებლად ნიშნით „სსრ კავშირის კინემატოგრაფიის წარჩინებული“.

და მტკიცებულა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1969 წლის 2 ივლი-
სის № 386 დადგენილებით

შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

**სასოფლო კინოდანადგარების დათვალიერების ჩამტარებელი
რესპუბლიკური კომისიისა**

ნ. შ. ვასაძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი — თავმჯდომარე
შ. ა. სალარიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — თავმჯდომარის მოადგილე

კ ო მ ი ს ი ი ს წ ე ვ რ ე ბ ი :

ბ. ი. ფალავანიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინის-
ტრის მოადგილე

ა. გ. ბუჯგულაშვილი — სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მო-
სამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

ნ. ბ. ხოზბერიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის
სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი

ა. ვ. ქველიშვილი — კინოგაქირავეების საქართველოს კანტორის მმარ-
ველი

ი. ბ. ვაისმანი — საქართველოს პროფსაბჭოს კინოს საბჭოს თავმჯდომარე

გ. ა. აბაიშვილი — საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების
გამგე

რ. დ. ფანცხავა — საქართველოს ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნე-
ობების ტრესტის მმართველი

ტ. შ. ყენია — საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების
ტრესტის მმართველი

ლ. ი. მატარაძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების, კუ-
ლტურისა და განათლების განყოფილების გამგე

მ. დ. დავითაშვილი — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი

ა. გ. ჩიქოვანი — მერძევეობა-მეზობოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების
ტრესტის მმართველი

ვ. ვ. მირიანაშვილი — მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების
ტრესტის მმართველი

დ. ე. მანწკავა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს
კოლმეურნეობების საქმეთა სამმართველოს უფროსი

ე. ვ. პაპიტაშვილი — საქართველოს პროფსაბჭოს კინოს საბჭოს ინსტრუქ-
ტორი — მდივანი

65 „საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს კრედიტის 1968 წლის 5 ნოემბრის № 568 დადგენილების მოქმედების 1969 წელს და შემდგომ წლებში გავრცელების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

გავრცელდეს 1969 წელს და შემდგომ წლებში „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და „სოფლის მეურნეობის პროდუქტების საავტომობილო გადაზიდვის წარჩინებულის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 5 ნოემბრის № 563 დადგენილების მოქმედება.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე -
გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს
პროფსაბჭოს თავმჯდომარე
უ. კიკნაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 17 ივლისი, № 424.

66 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის გარდამავალი წითელი დროშის და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილების დანართში დამატება იმის შესახებ, რომ დაწესდეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, ორი მეორე და ორი მესამე ფულადი პრემია.



2. დაევალოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების შესაბამისად, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების დაწერილებითი პირობები, კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის სპეციფიკის საფუძველზე, და აცნობოს ეს პირობები ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებს.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს მდივანი
ბ. დოლოგაძე.

ქ. თბილისი, 1969 წ. 19 აგვისტო, № 501.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

67 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 29 დეკემბრის
№ 765 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 29 დეკემბრის № 765 დადგენილების პირველი განაყოფის მე-3 პუნქტს დაემატოს ქვეპუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

„შეცვალოს ქვესაუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ) ცალკეულ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით და ხელფასის იმ თვიური ფონდის ფარგლებში, რომლებიც გამოანგარიშებულია საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 2 ივლისი, № 387.

68 დაბა სურამში და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის აპრობაციის შესახებ

იმის გამო, რომ დაბა სურამი და მის მახლობლად მდებარე სოფლები განლაგებული არიან საკურორტო ზონაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს დაბა სურამისა და სოფლების: ჩუძათელეთის, ბუღაურას, იტრიის, გვერდისუბნის, ურთხვის, ზეკოტის, ბაიათხევის, კაკალანთხევისა და ჯაფინაურის ტერიტორიაზე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა მანამ, ვიდრე არ შედგება საკურორტო ტერიტორიის ფუნქციონალურ ზონებად დაყოფის სქემა.

2. საპროექტო ინსტიტუტმა — „საქქალაქმშენპროექტმა“ 1969 წლის დამლევამდე შეიმუშაოს საკურორტო ტერატორიის ფუნქციონალურ ზონებად დაყოფის სქემა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის რაიონების აღნიშვნით, ხოლო საქართველოს სსრ სახმშენი დამატაციოს ეს სქემა.

3. საქართველოს სსრ სახმშენის მიერ სქემის დამატაციების შემდეგ ნებადართულ იქნას დაბა სურამსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით.

4. ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღოს გადაუდებელი და გადამკრეელი ზომები სურამის სადაბო საბჭოში მიწათსარგებლობის წესების დარღვევის აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის შოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 3 ივლისი, № 392.



69 წიგნის საშაჰრო ორგანიზაციის „საქიგნის“ სისტემის მიერ იჯარით აღებული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო პირის განაკვეთების შემცირების შესახებ

ვინაიდან წიგნის სავაჭრო საწარმოების საქონელბრუნვა სავაჭრო ფართობის ერთ კვ. მეტრზე გაანგარიშებით რამდენჯერმე უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ ძალაზეებისა და ბაზების საქონელბრუნვა, რომლებიც სასურსათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობენ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შემცირდეს 1969 წლის 1 იანვრიდან 50 პროცენტით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ იჯარით აღებული სავაჭრო და სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 529 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ივლისი, № 399.

70 ორივე ხელის არმქონე ინვალიდებისათვის საქალაქო ტრანსპორტით უფასოთ მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიენიჭოთ ორივე ხელის არმქონე შრომისა და ბავშვობიდან ინვალიდებს უფასო მგზავრობის უფლება ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა).

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებთან შეთანხმებით, აძლიონ ამ კატეგორიის ინვალიდებს უფასო მგზავრობის მოწმობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ივლისი, № 400.

71 საქართველოს სსრ იმ მაღალმთიანი რაიონებისა და დასახლებული პუნქტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც დაწესებულია მშენებლობაში ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 დეკემბრის № 950 დადგენილებისა „მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს, დანართის თანხმად, რესპუბლიკის იმ მაღალმთიანი რაიონებისა და დასახლებული პუნქტების ნუსხა, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 1500 მეტრზე და მეტ სიმაღლეზე და რომლებისთვისაც დაწესებულია სამშენებლო, შინაგანი, სანიტარულ-ტექნიკური, მიწისქვეშა სამთო-კაპიტალური და ბურღვა-აფეთქების სამუშაოების, ლითონკონსტრუქციების მონტაჟის სამუშაოების, აგრეთვე მსხვილპანელიანი სახლების მშენებლობის ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები.

2. დამტკიცდეს სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების გადიდებული ნორმები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან შეთანხმებით, 23,5 პროცენტის რაოდენობით რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტებისათვის, რომელთა მშენებლობას რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონებსა და დასახლებულ პუნქტებში ახორციელებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 ივლისი, № 402.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1969 წლის 4 ივლისის № 402
 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ბ

საქართველოს სსრ მაღალმთიანი რაიონებისა და დასახლებული პუნქტებისა
 რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 1500 მეტრზე და მეტ სიმაღლეზე
 და რომლებისთვისაც დაწესებულია მშენებლობაში ზედნადები ხარჯების
 გადიდებული ნორმები

ახალქალაქის რაიონი

ყველა დასახლებული პუნქტი

ასპინძის რაიონი

სოფ. ხიზაბავრა

სოფ. ზედა-თმოგვი

სოფ. ვარგავი

სოფ. ერკოტა

სოფ. ტოკი

ადიგენის რაიონი

სოფ. პხერო

სოფ. აპიეთი

სოფ. არზნე

სოფ. ზედუბანი

სოფ. დერცელი

სოფ. გორთუბანი

სოფ. ნამნიაური

სოფ. გომარო

სოფ. ციხისუბანი

ახმეტის რაიონი

სოფ. შენაკო

სოფ. ვესტომა

სოფ. კუმელაურთა

სოფ. გოგლურთა

სოფ. ხისო

სოფ. დოჩუ

სოფ. ნაციხარი

სოფ. ბოკორმა

სოფ. დართლო

სოფ. შტროლტა

სოფ. ჯვარბოსელი

სოფ. ქველურტა

სოფ. ომალო

სოფ. ჭიგლაურთა

სოფ. დიკლო

სოფ. ხაზაბო

სოფ. ვაკისძირი

სოფ. დანო

სოფ. ვესტმო

სოფ. კვავლო

სოფ. ილურტა

სოფ. ჩეშო

ახალციხის რაიონი

სოფ. ანი

ბოგდანოვკის რაიონი

ყველა დასახლებული პუნქტი

ბორჯომის რაიონი

სოფ. ტაბაწყური	სოფ. ციხისჯვარი
სოფ. მოლითი	სოფ. ოღეთი
დაბა ბაკურიანი	სოფ. ვინტური
სოფ. დიდი მითარბი	სოფ. წითელსოფელი
სოფ. საქაჩავი	სოფ. გვერდისუბანი
მუშათა დაბა ბაკურიანის ანდეზიტი	სოფ. ვარდევანი
სოფ. გუჯარეთი	სოფ. ღვთისმშობელი
სოფ. ბალანთა	სოფ. წინუბანი
სოფ. ჩიხარულა	

გიგეჭკორის რაიონი

კურორტი ლებარდე

გორის რაიონი

სოფ. ზემო ახალსოფელი	სოფ. ტამი
სოფ. გულხანდისი	სოფ. სახოცვე
სოფ. ნადარბაზი	სოფ. დიდი ცერეთი
სოფ. მღებრიანი	სოფ. ჩანჩახა
სოფ. დიდი ჩვარები	სოფ. ხანდისი
სოფ. პატარა ცერეთი	

დმანისის რაიონი

სოფ. ირგანჩაი	სოფ. მამიშლარი
სოფ. საგუტლო	სოფ. ლენინო

დუშეთის რაიონი

სოფ. აკუშო	სოფ. ხახმატი
სოფ. ბოგჩილო	სოფ. ანტოხი
სოფ. დათვისი	სოფ. ბაკურხევი
სოფ. ბუჩუკურთა	სოფ. ბოსელი
სოფ. კარწაულთა	სოფ. გამსი
სოფ. ჩირდილი	სოფ. დუშაეხო
სოფ. ჭალისოფელი	სოფ. თოთიაურნი
სოფ. გული	სოფ. საკერპე
სოფ. ბისო	სოფ. საჭალისჭალა
სოფ. გუდანი	სოფ. პახევი
სოფ. ზეისტეჩო	სოფ. ჩობალაურნი

სოფ. ჩხუბა
სოფ. წინხადუ
სოფ. ჩიე
სოფ. დიხჩო
სოფ. ხომი
სოფ. ბენიათბეგონი
სოფ. ზემო მღვთა
სოფ. ზაქათკარი
სოფ. იუხო
სოფ. კაიშაურნი
სოფ. ლაქათხევი
სოფ. მუღურე
სოფ. ყოყონი
სოფ. სვიანა-როსტიანი
სოფ. სათურნი
სოფ. სონჩო
სოფ. კოროგო
სოფ. შარუმიანი
სოფ. ციხიანი
სოფ. წყერე
სოფ. არახინჯა
სოფ. გოგოლაურთა
სოფ. ახადი
სოფ. ვანხევი
სოფ. მათურა
სოფ. მუკო
სოფ. უკანაფშავი
სოფ. უძილაურთა
სოფ. კუთხი

სოფ. წაბაურთა
სოფ. ხოშარა
სოფ. სოდვეე
სოფ. ჩოხი
სოფ. ბურსაკილი
სოფ. სიჯანაანი
სოფ. ბანცური
სოფ. ზემო ამირნი
სოფ. წიფორი
სოფ. ზენუბანი
სოფ. მუკო
სოფ. საქერე
სოფ. არლოტი
სოფ. ამგა
სოფ. ხონისჭალა
სოფ. არჩილო
სოფ. ანდაკი
სოფ. აჩე
სოფ. ოხერხევი
სოფ. უკანახო
სოფ. აკნელი
სოფ. ბაცალიგო
სოფ. ძეძეურთა
სოფ. ჩორმეშავი
სოფ. ბულალაურთა
სოფ. ანდაკი
სოფ. გიორგწმინდა
სოფ. ქისტანი
სოფ. ხახაბო

ყაზბეგის რაიონი

ყველა დასახლებული პუნქტი

ქარელის რაიონი

სოფ. ველისციხე

სოფ. ორბოძალა

ლენტეხის რაიონი

სოფ. მახაში

სოფ. ყორულდაში

სოფ. ნაპული

სოფ. შურყმელი

სოფ. ჩუკული

სოფ. ეიბიანი

სოფ. წანაში

სოფ. ჩეიბიანი

სოფ. ლაფალაში

შახტები ყორულდაშის რაიონში

სოფ. ზესხო

მანარაძის რაიონი

ნათოცხვარის აგარაკები

მესტიის რაიონი

სოფ. გული	სოფ. ლუშუკვი
სოფ. ადიში	სოფ. სიდიანარი
სოფ. ბალვდანარი	სოფ. ხეშკილი
სოფ. მაზერი	სოფ. ჩოლაში
სოფ. ნაშტკოლი	სოფ. არცხელი
სოფ. ტვებიში	სოფ. ჯამუში
სოფ. ჩოხულდი	სოფ. ლახირი
სოფ. ისკარი	სოფ. ზარდლაში
სოფ. ბარში	სოფ. მაჯვიერი
სოფ. ცხუტრერი	სოფ. მურშკელი
სოფ. კურაში	სოფ. ჯაბეში
სოფ. ჩელირი	სოფ. გვებრა
სოფ. ებული	სოფ. ცალდაში
სოფ. ბოგრეში	სოფ. ჩვაბიანი
სოფ. იელი	სოფ. კაცხი
სოფ. ზეგანი	სოფ. ლაკერი
სოფ. ნაყიფარი	სოფ. სვიპი
სოფ. წვირში	სოფ. პალედი
სოფ. ლალხორი	სოფ. გეშდერი
სოფ. აგრაი	სოფ. თავრალი
სოფ. დავბერი	სოფ. კიჩხულდაში
სოფ. ვინაში	სოფ. ჩუბარი
სოფ. იპრარი	სოფ. ცალერი
სოფ. ხე	სოფ. ლაბსკალდი
სოფ. იფხი	

ონის რაიონი

სოფ. გონა	სოფ. შოვი
სოფ. მთისკალთა	სოფ. შქმერი
სოფ. უშოლთა	სოფ. ხარისთვალა
სოფ. ლესორა	სოფ. სხანარი

წალკის რაიონი

ყველა დასახლებული პუნქტი, გარდა ბელიანის სადაბო საბჭოსი.

ხაშურის რაიონი

სოფ. სატივე

ჩოხატაურის რაიონი

კურორტი ბახმარო

თიანეთის რაიონი

სოფ. კუშხევი
სოფ. ზენამხარი

სოფ. ზემოშარახევა
სოფ. ივლიანთგორი

**აფხაზეთის ასსრ
გუდაუთის რაიონი**

კურორტი ავადხარა

**აჭარის ასსრ
ხულოს რაიონი**

სოფ. სტეფანაშვილები
სოფ. თხილვანა

სოფ. ბაკო

შუახევის რაიონი

სოფ. ქობალთა

სოფ. დარჩიძეები

**სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი
ჯავის რაიონი**

სოფ. ბაგიათა
სოფ. ქვემო ბაკარდა
სოფ. ქვემო კოშკა
სოფ. ტლია
სოფ. ბაჯიგათა
ზემო კოშკა
ლიცი
სამხრეთ ჩიპრანი
სოფ. ჩრდილო-ჩიპრანი
სოფ. კეცსელთა
სოფ. ქობეთი
სოფ. ელკანტა
სოფ. კოტანტო
სოფ. ზემო მაჩხარა
სოფ. ქვემო მაჩხარა
სოფ. ნაზიგინა
სოფ. სარითატა
სოფ. ტლია

სოფ. ხალივდონი
სოფ. ხიხატა
სოფ. შიბოიტა
სოფ. ზემო ბაკარდა
სოფ. ზემო ჯომავა
სოფ. კემულტა
სოფ. ქვემო ერმანი
სოფ. შუაერმანი
სოფ. ხოძი
სოფ. ხუსარტა
სოფ. კაბუსტა
სოფ. კემულტა
სოფ. დუოდონასტო
სოფ. კოლა
სოფ. შაირამი
სოფ. მულდარტა
სოფ. რარო
სოფ. სიხტა



სოფ. ჩაგატა
 სოფ. ცამადი
 სოფ. ცარიტა
 სოფ. ტაგარჯინი
 სოფ. ლეტი
 სოფ. ნადარბაზევი
 სოფ. ნაკრება
 სოფ. საგილზაზი
 სოფ. სტირმასიგი
 სოფ. ტამაგინი
 სოფ. სინტბადნი
 სოფ. შუაჭალა
 სოფ. ქვემოროკა
 ზემო როკა
 სოფ. შუაროკა
 სოფ. დემეტა
 სოფ. ქვემო ჯამაგა
 სოფ. შაგი
 სოფ. სავინკურფი
 სოფ. ქვემო სბა

სოფ. შუასბა
 სოფ. სგუბირი
 სოფ. ელისა
 სოფ. ჩელიატა
 სოფ. ბრიტატა
 სოფ. მზივი
 სოფ. წრუ
 სოფ. ცონა
 სოფ. ბიტეტა
 სოფ. დოდოტი
 სოფ. ხამპალგომი
 სოფ. ხუგატა
 სოფ. ვეზური
 სოფ. ზამთარეთი
 სოფ. გურშევი
 სოფ. კასაგინი
 სოფ. ერწო
 სოფ. პასრაგი
 სოფ. აღსარგინა
 სოფ. ხარდისარი

დენინგორის რაიონი

სოფ. კოლოტი
 სოფ. ძაბუეთი
 სოფ. თინიკაანი
 სოფ. ოხირი
 სოფ. ხოზუეთი
 სოფ. ციფრტაური
 სოფ. კორა
 სოფ. პაგოიანი
 სოფ. ტოგოიანი
 სოფ. ჩოგოიანი
 სოფ. ნავიხევი
 სოფ. დაბაკნეთი
 სოფ. მახიარეთი
 სოფ. ტოხტა
 სოფ. ხრამისწყარო
 სოფ. ჯვარისუბანი

სოფ. ქვემო ბაგიანი
 სოფ. ბოსლეთა
 სოფ. მამულაანი
 სოფ. წინუბანი
 სოფ. ციხისოფელი
 სოფ. ველისა
 სოფ. ჯორტისი
 სოფ. კარა
 სოფ. კუცხოვეთი
 სოფ. საბარკლეთი
 სოფ. ხეტოიანი
 სოფ. ზოდეხი
 სოფ. მუჯუხი
 სოფ. უკანაუბანი
 სოფ. რორო
 სოფ. ზემო ბაგინი

ცხინვალის რაიონი

სოფ. არდისი
 სოფ. ტბა
 სოფ. გერი
 სოფ. გუდისი
 სოფ. ინაური
 სოფ. გოზო
 სოფ. ციპორი
 სოფ. ახალისა
 სოფ. ციარა

სოფ. კლარსი
 სოფ. გნუგი
 სოფ. დისიგინი
 სოფ. შულაური
 სოფ. ლაციაური

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი მ. მებრალიშვილი.

72 კაპიტალურ დაბანდობათა მოცულობის იმ 5-პროცენტებიანი ანა-
 რიცხვების ხარჯზე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი
 კვების საწარმოების მშენებლობის შესახებ, რომლებიც საბინაო მშე-
 ნებლობისათვის გამოიყრფა

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი, გაუმჯობესდეს
 საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობა კა-
 პიტალურ დაბანდობათა მოცულობის იმ 5-პროცენტებიანი ანარიცხვების ხარჯზე,
 რომლებიც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყრფა, და უზრუნველყოფილ იქ-
 ნას ამ სახსრების სრულად გამოყენება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
 ა დ გ ე ნ ს:

1. დავალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს,
 რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ
 მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქა-
 ლაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს,
 რომლებიც საბინაო მშენებლობას ახორციელებენ:

— ერთი თვის ვადაში განიხილონ კაპიტალურ დაბანდობათა მოცულობის
 იმ 5-პროცენტებიანი ანარიცხვების ხარჯზე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრი-
 ვი კვების საწარმოების მშენებლობის საკითხი, რომლებიც საბინაო მშენებლო-
 ბისათვის გამოიყრფა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ მიზნისა-
 თვის გამოსაყოფ კაპიტალურ დაბანდობათა სრულად გამოყენებისათვის;

არქიტექტურულ-საგეგმო დავალებათა გაცემისას განსაზღვრონ იმ საეპრო
 საწარმოების რაოდენობა და ტიპები, რომლებიც დაპროექტებულ საცხოვრე-
 ბელ განაშენიანებაში უნდა განლაგდნენ;

დაამტკიცონ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობის პროექტები და ხარჯთაღრიცხვები საცხოვრებელი კვარტალებსა და ცალკეული სახლების მშენებლობის პროექტებთან და ხარჯთაღრიცხვებთან ერთად;

ვაჭრობის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმონ დაპროექტებული სავაჭრო საწარმოების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების რაოდენობა და ტიპები და მათი განლაგების კონკრეტული ადგილები;

არ დაუშვან საცხოვრებელი სახლების მიღება საექსპლოატაციოდ ისე, თუ მზად არ იქნა სადგომები მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის, შეიყვანონ სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ მიმღებ სახელმწიფო კომისიების შემადგენლობაში, რომელთა პირველ სართულებში მოიპოვება ვაჭრობის საწარმოების სადგომები; გახსნან მაღაზიები საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში მათ ჩასახლებასთან ერთად;

აქრძალონ იმ სადგომების გადაცემა სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აშენებულია საცხოვრებელი შენობების პირველ სართულებში ვაჭრობის საწარმოებისათვის კაპიტალდაბანდებათა იმ 5-პროცენტის ანარიცხების ხარჯზე, რაც საბინაო მშენებლობისათვის გამოიყოფა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს; შემოუშვან საბინაო მშენებლობის გეგმების შესაბამისად, საცალო სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების შექმნისათვის 5-პროცენტის ანარიცხების გამოყენების კონკრეტული გეგმები, დამყარებული ამ საწარმოების დისლოკაციის წინასწარ შემუშავებულ სქემაზე;

მუდმივი კონტროლი გაუწიონ მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების დაპროექტების და მშენებლობის მიმდინარეობას, მათს გადაცემას საექსპლოატაციოდ, გააძლიერონ მომთხოვნელობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას 5-პროცენტის ანარიცხების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა ვაითვალისწინოს საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი დაპროექტების გეგმებით ახლად აშენებული სახლების პირველი სართულების ფართოდ გამოყენება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოსათავსებლად.

4. დაევალოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

საბინაო მშენებლობის დაფინანსებისას მკაცრი კონტროლი გაუწიოს იმ სახსრების გამოყენებას პირდაპირი დანიშნულებით, რომლებიც გამოიყოფა საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობისათვის საბინაო მშენებლობის მოცულობის 5 პროცენტის რაოდენობით;



აძლიოს პრემიები სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებს საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის იმ პირობით, თუ საეხებით დამთავრებულია მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაგანიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 14 ივლისი, № 409.

73 რესპუბლიკის საბმერთო საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების უზრუნველყოფის მიზნით დაკომპლექსების ზომების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომობილების მძლოლთა კადრების მომზადების გაფართოებას, კერძოდ, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ შოფერების მომზადებას სასწავლო კომბინატებსა და ავტოსკოლებში წარმოებისაგან მოწყვეტით, აძლიონ მოსწავლეებს სწავლების დროის განმავლობაში სტიპენდიები მესამე კლასის იმ შოფერთა მინიმალური სატარიფო განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით, რომლებიც სატვირთო ავტომობილებზე მუშაობენ.

სტიპენდიების ოდენობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ანაზღაურდეს 1969 წელს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა სახსრებით, ამასთან ეს დანახარჯები მიეკუთვნოს ტვირთზიდვის თვითღირებულებას, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა დადონ იმ პირებთან, რომლებიც სასწავლო კომბინატებსა და ავტოსკოლებში სწავლობენ წარმოებისაგან მოწყვეტით, ხელშეკრულებანი და გაითვალისწინონ ამ ხელშეკრულებებით მხარეთა შესაბამისი ვალდებულებანი, მათ შორის

მოსწავლის ვალდებულება იმუშაოს იმ საწარმოში, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება, სწავლის დამთავრების შემდეგ არანაკლებ ორი წლისა.

6. უფლება მიენიჭოთ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა ხელმძღვანელებს მატერიალურად წახალისონ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების ხარჯზე სასწავლო კომბინატებისა და ავტოსკოლების ავტომობილების წყევანის სწავლების ინსტრუქტორები, რომლებიც მაღალხარისხოვნად მოამზადებენ შოფრებს აღნიშნული საწარმოებისათვის.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) მიანიჭოს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების შოფრებსა და კონდუქტორებს საქალაქო და საგარეუბნო მიმოსვლის ავტობუსებით უფასო მგზავრობის უფლება;

ბ) შემოიღოს ფორმის ტანსაცმელი საერთო სარგებლობის სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის შოფრებისა, კონდუქტორებისა და სხვა კატეგორიის სახაზო მუშაკებისათვის;

უფლება მიენიჭოთ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების ხელმძღვანელებს აძლიონ ფორმის ტანსაცმელი აღნიშნულ მუშაკებს მისი ღირებულების 50 პროცენტამდე ფასდაკლებით და ამ ტანსაცმლის ღირებულების გადახდის 12 თვემდე განვადებით. ფორმის ტანსაცმლის შეღავათიან პირობებში გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ანგარიშში პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 17 ივლისი, № 421.

74 მგზავრთა და ავტობურისტთა მომსახურებისათვის რესპუბლიკის იმ ობიექტების მოწოდების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაგან განსაკუთრებული იქნებოდნენ რესპუბლიკის საავტომობილო მაგისტრალის განვითარება

რესპუბლიკის მაგისტრალური საავტომობილო გზების გასწვრივ განსაღებელი ობიექტების მშენებლობის შემდგომი მოწესრიგების, აგრეთვე იმ მიზნით, რომ შეიქმნას მაგისტრალური საავტომობილო გზების ცალკეული უბნების მაღალ არქიტექტურულ-მხატვრულ დონეზე განაშენიანების კომპლექსური ანსამბლები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში მიხისტრის მოადგილის თავმჯდომარეობით არქიტექტურულ-სამხატვრო საბჭო და დაეკისროს მას ყველა იმ ობიექტის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შეთანხმება, რომლებიც უნდა აშენდეს რესპუბლიკის მაგისტრალური საავტომობილო გზების გასწვრივ იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ, რომლებსაც კონტროლს უწევენ ქალაქების მთავარი არქიტექტორები და რაიონული არქიტექტორები.

დაწესდეს, რომ არქიტექტურულ-სამხატვრო საბჭოს საქმიანობას კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ სახმშენი.

2. დავალოთ სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ რესპუბლიკის მაგისტრალურ საავტომობილო გზების გასწვრივ განსაღებელი ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა მას შემდეგ, რაც დაპროექტების დავალებანი და საპროექტო დავალებანი შეთანხმებული იქნება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსთან.

3. დავალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს:

მაგისტრალური საავტომობილო გზების უბნების განაშენიანების კომპლექსური ანსამბლების შექმნის მიზნით, გამოარკვიოს დაპროექტების დავალებათა შეთანხმების დროს კოორპირებისა და მენაშენეთა წილობრივი მონაწილეობის შესაძლებლობა, შეათანხმოს რეკლამების თემატიკა და გაფორმება, აგრეთვე იმ მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტები, რომლებიც მაგისტრალური საავტომობილო გზების გასწვრივ დაიდგმება;

შეაჩეროს ობიექტების მშენებლობა, რომლის განხორციელების დროს დარღვეული იქნება მაგისტრალური საავტომობილო გზების განაშენიანების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტი, აგრეთვე სამშენებლო კანონმდებლობა; აღძრას შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხი, რომ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომლებიც ობიექტების მშენებლობის დროს დაარღვევენ მაგისტრალური საავტომობილო გზების განაშენიანების, კეთილმოწყობისა და გამწვანების პროექტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ზ. ჯაპანოვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მამრალიძე.**

75 უოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომების მიცემის და უოფაცხოვრების სამსახურის მუშაკებისათვის უმაღლესი და პირველი კლასის ოსტატის წოდებათა მინიჭების წესისა და პირობების დაზუსტებათა დამატების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ უოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომების მიცემის წესისა და პირობების შესახებ და დებულება საქართველოს სსრ უოფაცხოვრების სამსახურის მუშაკებისათვის „უმაღლესი კლასის ოსტატის“ და „პირველი კლასის ოსტატის“ წოდებათა მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“, შეთანხმებული პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

2. დაწესდეს, რომ ის სახსრები, რაც იხარჯება უოფაცხოვრების სამსახურის იმ მუშაკთა სატარიფო განაკვეთების დანამატების მისაცემად, რომლებსაც მინიჭებული აქვთ უმაღლესი და პირველი კლასის ოსტატთა წოდება, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში ხელფასის ფონდის 0,3 პროცენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 23 ივლისი, № 433.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს 1969 წლის 23 ივლისის, № 433 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომების მიცემის წესისა და პირობების შესახებ

1. უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომები დაწესებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოების (ფაბრიკების, კომბინატების, კანტორების, ფირმების, ტრესტების გაერთიანების) და ქვედანაყოფების (ატელიეების, სახელოსნოების, ფოტოგრაფიების, საპარიკმახეროების, უბნების, საამქროების და ა. შ.) კოლექტივების დაინტერესება მოსახლეობის მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებით.

2. პირველი ხარისხის დიპლომები მიეცემათ საწარმოებს (ქვედანაყოფებს), რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა) შესრულებულ სამუშაოთა და მომსახურების მაღალ ხარისხს და მომსახურების კულტურას;

ბ) დამზადებული და შეკეთებული პროდუქციის სამსახურის (ტარების) ვადების გადიდებას (დაწესებულ ვადებთან შედარებით);

გ) მომსახურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას (აბონენტების მიხედვით, შემკვეთის მიერ დაწესებულ ვადაში, შეკვეთების სწრაფად შესრულებას და წვრილი შეკვეთების შესრულებას შემკვეთის თანდასწრებით, შეკვეთების მიღებას და შინ მიტანას და ა. შ.);

დ) მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას.

დიპლომები მიენიჭებათ საწარმოებს (ქვედანაყოფებს), რომლებიც უპირატესად შეასრულებენ მოსახლეობის ინდივიდუალურ შეკვეთებს (სამუშაოთა, მომსახურებისა და პროდუქციის საერთო მოცულობის არანაკლებ 60 პროცენტისა).

3. ხარისხის შეფასების წესს, საგარანტიო ვადებს სამუშაოებისა და მომსახურების სახეობათა მიხედვით, აგრეთვე დიპლომების, საფირმე ნიშნების ერთიან ფორმებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

4. უმაღლესი ხარისხის დიპლომები მიენიჭებათ საწარმოებს (ქვედანაყოფებს), რომლებსაც აქვთ პირველი ხარისხის დიპლომები არანაკლებ ორი წლისა.

როგორც გამონაკლისი, 1969—1970 წლებში უმაღლესი ხარისხის დიპლომები შეიძლება მიენიჭოს საწარმოებს (ქვედანაყოფებს), რომლებსაც არა აქვთ

პირველი ხარისხის დიპლომები, თუ მათ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში შეასრულეს მე-2 პუნქტში აღნიშნული პირობები და არ ჰქონიათ შემთხვევები შეკვეთების დაბრუნებისა გადასაკეთებლად და შეკვეთების შესრულების მიღებაზე უარის ვანცხადებისა, აგრეთვე არ ყოფილა შემოსული მოსახლეობის საჩივრები მომსახურების ხარისხისა და კულტურის შესახებ.

5. უმაღლესი და პირველი ხარისხის დიპლომებს მისცემს საწარმოებს (ფაბრიკებს, კომბინატებს, კანტორებს, დირექციებს, გაერთიანებებს, ფირმებს, ტრესტებს) საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების წარდგენით.

დიპლომის მიცემა აღინიშნება საწარმოს (ქვედანაყოფის) აბრებზე, ნაკეთობათა საფირმე ნიშანზე, რეკლამაში და ბლანკებზე.

6. ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებს (ქვედანაყოფებს), რომლებსაც დიპლომები მიენიჭათ, შეუძლიათ მიიღონ უფრო მაღალი თანრიგი დადგენილი წესით.

7. ამ დებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის დროს, აგრეთვე მოსახლეობისაგან დასაბუთებული საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში საწარმოებს (ქვედანაყოფებს) ჩამოერთმევათ დიპლომები საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გადაწყვეტილებით.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 ივლისის № 433 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ყოფაცხოვრების სამსახურის მუშაკებისათვის „უმაღლესი კლასის ოსტატის“ და „პირველი კლასის ოსტატის“ წოდებათა მინიჭების წესისა და პირობების შესახებ

1. „უმაღლესი კლასის ოსტატის“ და „პირველი კლასის ოსტატის“ წოდება მიენიჭებათ ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოს (ორგანიზაციის) მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებისა და მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების შესრულების მაღალ ხარისხს.

2. მოსახლეობის მომსახურების ხარისხისა და ინდივიდუალური შეკვეთების შესრულების ატესტაცია აღნიშნული წოდებების მისანიჭებლად წარმოებს სამუშაოსა და მომსახურების სახეობათა მიხედვით ხარისხის შეფასების იმ მოთხოვნებისა და მაჩვენებლების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

ამასთან მუშებს, რომლებსაც მიეკუთვნებათ წოდება, უფლება ენიჭებათ მათ მიერ დამზადებულ ნაკეთობებზე დაუსვან დაწესებული ნიმუშის პირადი დალი.

3. „პირველი კლასის ოსტატის“ წოდება შეიძლება მიენიჭოთ უმაღლესი საკვალიფიკაციო თანრიგის მუშებს და ცალკეული პროფესიების მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომლებსაც აქვთ ყოფაცხოვრების სამსახურში მოცემული პროფესიის მიხედვით მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

„უმაღლესი კლასის ოსტატის“ წოდება მიენიჭებათ მუშებს, რომლებსაც აქვთ „პირველი კლასის ოსტატის“ წოდება არანაკლებ ორი წლისა.

ცალკეულ შემთხვევებში, როგორც გამონაკლისი, „პირველი კლასის ოსტატის“ და „უმაღლესი კლასის ოსტატის“ წოდება შეიძლება მიენიჭოთ მუშაობის ნაკლები სტაჟის მქონე მუშებს, რომლებსაც საკლასო ადგილები უკავიათ რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო კონკურსებზე, პროფესიების მიხედვით.

4. მუშებს, რომლებსაც „პირველი კლასის ოსტატის“ წოდება მიენიჭათ, დაუწესდებათ სატარიფო განაკვეთების დანამატი 10 პროცენტის ოდენობით, ხოლო იმ მუშებს, რომლებმაც „უმაღლესი კლასის ოსტატის“ წოდება მიიღეს, — 25 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნული დანამატების გაცემამ არ უნდა გამოიწვიოს სამუშაოებისა და მომსახურების საპრესკურანტო ფასების გადიდება.

5. „უმაღლესი კლასის ოსტატის“ და „პირველი კლასის ოსტატის“ წოდებას მისანიჭებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებ-

ბო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების წარდგენით.

6. ამ დებულების I პუნქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუშაებს ჩამოერთმევათ უმაღლესი და პირველი კლასის ოსტატების წოდება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გადაწყვეტილებით.



76 თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მე-12 მოწვევის 1 სესიის გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სახელწოდების შეცვლის შესახებ და ეწოდოს მას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 23 ივლისი, № 434.

77 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — შემდეგი პუნქტით:

„102. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების სამმართველოს სამხედრო-სამშენებლო განყოფილების სამშენებლო-სასაწყობო ბაზის საცხოვრებელი სახლები.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 24 ივლისი, № 437.

78 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60 დადგენილებაგანსაკუთრებით საჭარბოვანად სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60 დადგენილებისა „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დახანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა თანდართული ცვლილებანი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) პუნქტი 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 13 ნოემბრის № 1283 დადგენილებისა „სასწავლო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 ნოემბრის № 1843 განკარგულებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების II განაყოფის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გავრცელებას;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 25 ნოემბრის № 1209 დადგენილება „საქალაქო საინჟინერო ნაგებობათა და ქსელის მშენებლობაში საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 დეკემბრის № 1593 განკარგულებასთან ერთად;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 790 დადგენილება „იმის შესახებ, რომ გავრცელდეს პურის მიმღები საწარმოების ხემძღვანელებზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებისა „საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 1132 განკარგულებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების II განაყოფის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გავრცელებას;

დ) პუნქტი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 აპრილის № 278 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავების წესისა და ვადების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 აპრილის № 251 დადგენილებასთან ერთად;

ე) პუნქტი 11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 5 სექტემბრის № 725 დადგენილებისა „იმ საწარმოთა დაპროექტებისა და მშენებლობის წესის შესახებ, რომლებიც უცხოეთის ლიცენზიებით შენდება კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე,“ რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ოქტომბრის № 589 დადგენილებასთან ერთად, სატიტულო სიების დამტკიცების წესის ნაწილში;

ვ) პუნქტი 17 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 63 დადგენილებისა „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისა და დაგეგმვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 24 მარტის № 191 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრეღვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 30 ივლისი, № 455.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს 1969 წლის 30 ივლისის
№ 455 დადგენილებით

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

**რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60
დადგენილებასთან დაკავშირებით**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 ივლისის № 481 დადგენილებაში „საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის წესის შეცვლის შესახებ“:

ა) პუნქტი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბინაო, კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებიანი დაიგეგმება ცალკე-საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის კაპიტალური დაბანდებისაგან.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60 დადგენილებით დაწესებულია, რომ კაპიტალური დაბანდებიანი განათლების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს სისტემაში (აეროდრომებთან მშენებლობისათვის) და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში (სახაზო მშენებლობისათვის) გათვალისწინებული იქნება ამ სამინისტროების სახალხო-სამეურნეო გეგმებით“.

ბ) პუნქტი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მოცულობას მრეწველობის ყველა დარგის, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საჭიროებისათვის დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონების შრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის; კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მოცულობა რესპუბლიკური დაქვემდებარების მშენებლობების მიხედვით იგეგმება საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისათვის“;

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს დანართი № 1.

2. პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილებისა „იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯ-

ვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახსრები სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების, აგრეთვე საავტომობილო გზების ახლად დაწყებული მშენებლობისათვის, რომელიც დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე ხორციელდება, გამოიყოფა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასამუშავებელი და გარდამავალი ობიექტები უზრუნველყოფილი იქნებიან სახსრებით იმ ოდენობით, რაც საჭიროა ამ ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად დაწესებულ ვადებში, აგრეთვე თუ მოიპოვება დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთ-„ღრიცხვო დოკუმენტაცია“.

3. „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მიწის ნაკვეთები გამოეყოფა საწარმოებს, დაწესებულებებს, მშენებლობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილების შესაბამისად ეძლევათ კაპიტალური დაბანდებანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, მაშინ საცხოვრებელი ფართობი მოქალაქეებს მიეცემათ ამ საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობებისა და სხვა ორგანიზაციების სახლებში.“



დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 30 ივლისის № 455 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც გაუქმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 60

დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 ნოემბრის № 1409 განკარგულება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 აგვისტოს № 535 დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების და მომავალი წლების მშენებლობის ობიექტების საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“.

3. პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 იანვრის № 29 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

4. პუნქტი 16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 268 დადგენილებისა „მშენებლობაში დაპროექტების საქმის გაუმჯობესების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების II განაყოფის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გავრცელებას.

5. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 ნოემბრის № 805 დადგენილების პუნქტი 3 და 35-ე პუნქტის ქვეპუნქტი „გ“.

6. პუნქტი 17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 დეკემბრის № 827 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის შესახებ“.

7. საწარმოებისა და მშენებლობების კვალიფიციური მუშებით დროულად უზრუნველყოფის, მათი მომზადების გაუმჯობესებისა და გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 თებერვლის № 101 დადგენილების მე-10 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 28 სექტემბრის № 1399 განკარგულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების II განაყოფის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გავრცელებას.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 7 დეკემბრის № 720 დადგენილება „მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ გარდა 1 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებისა.

10. პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ოქტომბრის № 589 დადგენილებისა „იმ საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობის წესის შესახებ, რომლებიც შენდება უცხოეთის ლიცენზიებით და კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე“, სატიტულო სიების დამტკიცების წესის ნაწილში.

79 მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების საკომისიო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ

მოქალაქეთა პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების საკომისიო ვაჭრობის შემდგომი მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 აპრილის № 246 დადგენილებისა „მსუბუქი ავტომობილების სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ“:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დავალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების საკომისიო ვაჭრობის სათანადო ორგანიზაცია, ამასთან მოაწყონ ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების მიღება საკომისიოდ და მათი შემდგომი გაყიდვა საკომისიო მაღაზიებში, რომელთა ნუსხას დაამტკიცებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა“.

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი მე-3.

გ) მე-4 პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით, დავალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ახალი ინსტრუქცია ახალი მსუბუქი ავტომობილების განაწილების, რეალიზაციის, გაფორმებისა და ექსპლუატაციის წესის შესახებ, აგრეთვე ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლიანი მძიმე მოტოციკლების საკომისიო ვაჭრობის წესები.“

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 სექტემბრის № 1178 განკარგულების ნაწილობრივ შესაცვლელად, მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მიიღონ ინვალიდებისაგან საკომისიო მაღაზიებში მეშეგობით გასაყიდად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ნებართვის საფუძველზე ხელით სამართავი ნახმარი მსუბუქი ავტომობილები, რომლებიც მათ შეიძინეს შეღავათიან ფასებში ან სრული ღირებულების გადახდით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

80 შესაბამისი ქალაქების ფარგლებში სახალაქო საზოგადოების დეკუბატების ავტოგუსეებითა და ტროლეიბუსებით უფასოდ იმგზავრობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ნება დაერთოს სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ფოთის, ჭიანჭყლის, გორის, რუსთავის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საქალაქო საბჭოების დეკუბატებს უფასოდ იმგზავრონ ავტობუსებითა და ტროლეიბუსებით შესაბამისი ქალაქების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 30 ივლისი, № 462.

81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 თებერვლის № 73 დადგენილების მე-6 პუნქტის მოქმედების საქართველოს სსრ კომუნალური მუშრნეობის სამინისტროს „საქალაქთრამშრნეონტაჟის“ და „სახანტეჟრემშრნეონტაჟის“ საცხილიზაუ სამართველოზაზა გავრცელების შესახებ

ითვლისწინებს რა, რომ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სპეცილიზებული სამმართველოები „საქელექტრორემშრნეონტაჟი“ და „საქსანტეჟრემშრნეონტაჟი“ წარმოადგენენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ სამშრნელო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

გავრცელდეს „საქელექტრორემშრნეონტაჟის“ და „საქსანტეჟრემშრნეონტაჟის“ სამმართველოებზე მოქმედება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 თებერვლის № 73 დადგენილებისა (პუნქტი 6) „საქართველოს სსრ ქალაქებისა და რიონული ცენტრების მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეკუბატების საბჭოების აღმასკომებს დაუწესდათ ანარიცხები აღნიშნული სამმართველოების საწარმო-ტექნიკური ბაზის მშრნელობისა და აღჭურვის ხარჯებისათვის იმ სარემონტო სამუშაოთა მოცულობის 7 პროცენტის ოდენობით, რომლებსაც ისინი ასრულებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 აგვისტო, № 469.

82 იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადაღვენილება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას იმ დოკუმენტებისა, რომლებითაც გადაღვენილება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე, პუნქტი 41 შემდეგი შინაარსისა:

„41. დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ იმ პირთა დავალიანებას მკურნალობისათვის, რომლებმაც სხეულის დაზიანება მიიღეს ხულიგნური ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის დროს.

აღნიშნულ დოკუმენტებზე აღსრულებითი წარწერის მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) ხელმძღვანელისა და ბუღალტრის ხელმოწერით, აგრეთვე სამკურნალო დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული ანგარიში იმ პირის მკურნალობისათვის, რომელმაც სხეულის დაზიანება მიიღო, მის მიერ ხულიგნური ან სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენის დროს;

ბ) ასლი სამკურნალო დაწესებულების წინადადებისა დავალიანების გადახდის შესახებ და მოვალის ხელწერილი წინადადების მიღებაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 აგვისტო, № 470.

83 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 აპრილის № 184 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 3 აპრილის № 184 დადგენილებით დამტკიცებული № 1 და № 2 დანართები სახლების მშენებლობისა და კონტინგენტის ჩასახლების შესახებ, თანდართული გეგმის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 4 აგვისტო, № 471.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 4 აგვისტოს № 471
დადგენილების დანართი

გ ე გ მ ა

1969 წელს გეგმიანი წესით ჩასახლებულ ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში

ადმინისტრაციული რაიონების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დასახელება	1969 წ. მშენებლობის გეგმა	ჩამოსასახლებელი კონტინგენტი	
		რომელი რაიონიდან ჩამოსახლება	ოჯახების რაოდენობა
გარდაბნის რაიონი			
ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა	10	მესტიის რაიონიდან საჩხერის რაიონიდან დუშეთის რაიონიდან	6 2 2
აქარის ახსრ			
ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	10	ხულოს რაიონიდან	10
ჩაჭვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	12	ხულოს რაიონიდან შუახევის რაიონიდან ქედის რაიონიდან	5 3 4
მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა	15	შუახევის რაიონიდან	15
ქობულეთის რაიონი			
ლელვას კოლმეურნეობა	3	ხულოს რაიონიდან	3
ამბროლაურის რაიონი			
ს. საღმელის კოლმეურნეობა	16	ამბროლაურის რაიონიდან	16
ს. კრებალოს კოლმეურნეობა	2	მეწყერით დაზარალებული მოსახლეობა	2
ს. წესის კოლმეურნეობა	7		7
ამბროლაურის კოლმეურნეობა	5		5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მუხრანელი**

84 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის
რის № 661 დადგენილებაში ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს ცეკავშირის გამგეობის შუამდგომლობა და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 661 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

1. მოეხსნას დაშორებულ რაიონებში გასაყიდი საქონლის საცალო ფასების წანამატები:

— ნაქალაქევისა და ეკის სოფლის კოოპერატივებს ცხაკიას რაიკოოპკავშირის რაიკოოპერატივად გარდაქმნის გამო;

— ახალციხის რაიკოოპკავშირის ვალეს სოფლის კოოპერატივს, ვინაიდან იმავე ზონაში „საქქვანახშირის“ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების სავაჭრო ქსელში საქონელი იყიდება წანამატების გარეშე;

— გორის რაიკოოპკავშირის მეჯვრისხევისა და ტყვიავის სოფლის კოოპერატივებს, მათი კარგი ფინანსური მდგომარეობის გამო.

2. ნება დაერთოს ცეკავშირის გამგეობას, დაშორებულ რაიონებში გასაყიდი საქონლის საცალო ფასების წანამატები გაავრცელოს ახლად შექმნილ მომხმარებელთა საზოგადოებებზე:

— ახმეტის რაიკოოპკავშირის მატანის მომხმარებელთა საზოგადოებაზე, რომელიც დაშორებულია რკინიგზის სადგურიდან 29 კილომეტრით. ფასწანამატი დაწესდეს იმ ოდენობით, რაც დამტკიცებულია ახმეტის სოფლის კოოპერატივისათვის;

— თნის რაიკოოპკავშირის ირის მუშათა კოოპერატივზე, რომელიც დაშორებულია რკინიგზის სადგურიდან 135 კილომეტრით. ფასწანამატი დაწესდეს იმ ოდენობით, რაც დამტკიცებულია თნის ქალაქის კოოპერატივისათვის;

— წულუკიძის რაიკოოპკავშირის ივანდიდის მუშათა კოოპერატივზე, რომელიც დაშორებულია რკინიგზიდან 22 კილომეტრით. ფასწანამატი დაწესდეს იმ ოდენობით, რაც დამტკიცებულია წულუკიძის ქალაქის კოოპერატივისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. შაგრაელიშვილი**.

85 საზარლო და მცირეკანთაბაღური ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების დიფერენცირაბული წანამატებისა და მაღალრენტაბაღური ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების ჩამოკლების შემოღების შესახებ

იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში და უზრუნველყოფილ იქნეს პირობები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქონსერვხილგოსტნის“ საკონსერვო მრეწველობის საწარმოების გადასაყვანად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ წესზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1969 წლის საწარმოო სეზონიდან საზარლო და მცირეკანთაბაღური ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების დიფერენცირებული წანამატები და მაღალრენტაბაღური ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების ჩამოკლება, დანართის თანახმად, ისე, რომ საბითუმო ფასების წანამატები აღმატებოდეს საბითუმო ფასების ჩამოკლებას 6200 ათასი მანეთით.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გაუხსნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქონსერვხილგოსტნის“ საკონსერვო მრეწველობის საწარმოებს განსაკუთრებული ანგარიშები ამ დადგენილების I პუნქტის შესაბამისად დაწესებული ფასწანამატებისა და ფასჩამოკლების რეგულირებისათვის.

ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების წანამატებზე საბითუმო ფასების ჩამოკლების გადამეტების თანხები უნდა ჩაირიცხოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

ხილგოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების ჩამოკლებაზე საბითუმო ფასების გადამეტების თანხები ანაზღაურდება იმ ასიგნებათა ხარჯზე და ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნით შესაბამისი წლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქონსერვხილგოსტნის“ შემოსავალ-გასავლის ბალანსებით.

სახელმწიფო კომიტეტმა „საქონსერვხილგოსტნის“ ფასჩამოკლებაზე წანამატების ფაქტიური თანხის ზეგეგმითი გადამეტების შემთხვევაში მიიღოს საჭირო ზომები მოგების გასაზღვრებლად პროდუქციის დამატებით გამოშვებისა და მისი ასორტიმენტის გაუმჯობესების ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქონსერვხილგოსტნის“ 1969 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსში, ამასთან გაითვალისწინოს მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების გადიდება იმ თან-

ხის ოდენობით, რასაც შეადგენს საბითუმო ფასების წანამატების გადამეტება ზილბოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასების ჩამოკლებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებითი ხარჯების ჩაუთვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მმბრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1969 წ. 11 აგვისტო, № 485.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 11 აგვისტოს № 485
დადგენილების დანართი

ლიფერანცირებული წანამატები

საზარალო და მცირერენტაბელური ხილბოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასებისა და ფასჩამოკლება მაღალრენტაბელური ხილბოსტნეულის კონსერვის საბითუმო ფასებიდან 1969 წლის საწარმოო სეზონისათვის

წანამატები და ფასჩამოკლება მანეთობ. და კაპიკობით ათას პირობ. კილაზე

წიწაკა დაფარული	+	5—42
წიწაკა დაფარილი, ბოსტნეულთ დაფარული	+	62—83
ბადრიჯნის ხიზილალა	+	62—75
სალათა „სამაისო“	+	213—38
დახარჩენი ბოსტნეული საუშმისა	+	62—78
პარკიასი ლობიო	+	54—55
მწვანე ბარდა	+	155—20
პამიდორი მთლიანკონსერვირებული	+	9—65
კიტრი კონსერვირებული	+	4—20
ასორტი „გაზაფხული“	—	69—00
პატისონი კონსერვირებული	—	43—16
ყაიყი კონსერვირებული	—	23—81
სტაფილოს პიურე ვაშლით	+	82—14
სტაფილოს პიურე	+	48—00
სტაფილოს წვეხი	+	8—50
დახარჩენი ბოსტნეული ნატურალური კონსერვირებული	+	49—49
ასორტი „ზამთარი“	+	58—33
მწვანე პამიდორი წნილად ჩადებული	+	20—00
დახდური წხილად ჩადებული	+	26—39
გოგოვარი წნილად ჩადებული	—	62—33
ქარიალი წხილად ჩადებული	+	18—08
მეავე კიტრი	—	2—80
სხვა ბოსტნეული წნილად ჩადებული	+	22—32
რასოლნიკი	+	46—00
სხვა სასადილო	+	45—98
ტომატი—პასტა—პიურე	+	93—34
ტომატის წვეხი	—	37—61
ტომატი სასძელი	—	31—00
ტომატი გაჭნილი	—	28—80
ტომატის ცხარე წვეხი	+	63—37
ბორშის საკაზმი	+	256—50
წენიანთა საკაზმი	+	109—50
შინდის კომპოტი	—	116—00
ტყეშლის კომპოტი	+	3—40
გაუწმენდავი მსხლის კომპოტი	—	23—64
გაუწმენდავი ვაშლის კომპოტი	+	38—77
ბლის კომპოტი	—	132—02
გარგარის კომპოტი	—	129—44
ბტშის კომპოტი	+	4—86
კომშის კომპოტი	—	110—00
აღუბლის კომპოტი	+	20—00
ჭლიავის კომპოტი	—	7—81
შინდის მურაბი	—	116—16

წინამატები და ფასჩამოკ-
ლება მანეთობ. და კაპიკო-
ბით ათას პირობ. კილაზე

ლეღვის მურაბა	— 125—92
ქლიავის მურაბა	+ 10—05
ბლის მურაბა	— 41—20
ხენდროს მურაბა	— 92—50
კაქლის მურაბა	— 52—14
ალუბლის მურაბა	— 62—92
მანდარინის მურაბა	— 25—40
ვოლოს მურაბა	— 86—36
მსხლის მურაბა	— 10—45
წნილად ჩადებული ქლიავი	— 26—59
წნილად ჩადებული ვაშლი	+ 73—87
წნილად ჩადებული მსხალი	+ 27—64
ვაშლის პიურე საბავშვო	+ 160—53
ქლიავის პიურე საბავშვო	— 16—62
ყურძნის წვენი ნატურალური	+ 65—30
ვაშლის წვენი ნატურალური	+ 107—88
მინდის წვენი ნატურალური	— 86—00
კომშის წვენი ნატურალური	+ 112—00
ალუბლის წვენი ნატურალური	+ 24—33
ხენდროს წვენი ნატურალური	+ 269—09
მანდარინის წვენი დამაქრული	+ 8—21
ქლიავის წვენი დამაქრული	+ 4—42
ტყემლის წვენი დამაქრული	+ 71—35
მინდის წვენი დამაქრული	+ 14—79
ალუბლის წვენი დამაქრული	— 59—53
მაყელის წვენი	+ 38—19
ასცილის წვენი	— 145—43
მოცვის წვენი	+ 48—00
კომშის წვენი	+ 53—87
ვაშლის წვენი	+ 70—80
ხენდროს წვენი დამაქრული	+ 259—77

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მიზრიალიძე

86 საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ხე-ტყის პროდუქციისა და ფანერის სა- კრეისკურანტო საცალო ფასების დანამატების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციას — ცეკავშირს დაარიცხოს დანამატები ხე-ტყის მასალისა და ფანერის საცალო ფასებს ავტოგადაზიდვის ხარჯების დასაფარავად იმ ადგილებში, რომლებიც დაშორებული არიან რკინიგზებსა და გემმისადგომებს ერთ კილომეტრზე მეტ მანძილზე, შემდეგი რაოდენობით:

მანძილი რკინიგზის სადგურებიდან ან გემმისადგომებიდან	საცალო ფასის დანამატის ოდენობა პროცენტულად
---	--

ერთი კილომეტრიდან 10 კილომეტრამდე	— 4,0
11 კილომეტრიდან 20 კილომეტრამდე	— 5,5
21 კილომეტრიდან 40 კილომეტრამდე	— 7,5
41 კილომეტრიდან 60 კილომეტრამდე	— 9,0
61 კილომეტრიდან 80 კილომეტრამდე	— 11,5
81 კილომეტრიდან 100 კილომეტრამდე	— 12,5
101 კილომეტრიდან 120 კილომეტრამდე	— 14,0
121 კილომეტრიდან 140 კილომეტრამდე	— 16,0
141 კილომეტრზე ზევით	— 19,0

2. ძალდაკარგულად ჩაითვალოს ხე-ტყის ნაწარმის საცალო ფასზე ავტოსატრანსპორტო დანამატები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 18 ივნისის № 472 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

87 „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილების „დ“ პუნქტის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ დამატოს „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 თებერვლის № 84 დადგენილების „დ“ პუნქტს შემდეგი სიტყვები: „აგრეთვე კოლმეურნეობის წევრებს შორის გასანაწილებლად მათი წლიური გამომუშავების პროპორციულად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 14 აგვისტო, № 492.

88 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის თანდაართული წესდება.

2. დავებულს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებებათა მონაწილეობით და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარეგისტრაციო სამსახურის შესახებ.

3. დავებულს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სამი თვის ვადაში მოამზადოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მონაწილეობით და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს და ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 14 აგვისტო, № 495.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1969 წლის 14 აგვისტოს № 495
 დადგენილებით

წესდება
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა
ნაწილი I
ზოგადი დებულებანი

1. საავტომობილო ტრანსპორტი, რომელიც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, სხვა სახეობის ტრანსპორტთან ერთად უზრუნველყოფს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნორმალურ წარმოებას და მიმოქცევას, კაპიტალური მშენებლობის საჭიროებებს, აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას გადაზიდვაზე და ხელს უწყობს სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდება განსაზღვრავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მოსარგებლე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობას და პასუხისმგებლობას.

ეს წესდება არეგლამენტირებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საავტომობილო გადაზიდვის გეგმის შედგენისა და შესრულების წესს, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის და მგზავრთა გადაყვანის ძირითად პირობებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოსატრანსპორტო საწარმო-ორგანიზაციათა ურთიერთობას სხვა სახეობის ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციებთან საავტომობილო გადაზიდვის განხორციელების დარგში.

3. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა სრულად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება საავტომობილო გადაზიდვაზე, შეასრულონ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმები. უზრუნველყონ გადასაზიდი ტვირთის დაცვა-შენახვა და დროული მიტანა დანიშნულების პუნქტებში.

ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სამინისტროები, უწყებანი, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი — ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღებნი მოვალენი არიან ტვირთის გადაზიდვის დროს მკაცრად დაიცვან სახელმწიფო ინტერესები და უზრუნველყონ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის სრული და რიტმული შესრულება, მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება, ავტომობილების მოძრაობის უსაფრთხოება და სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო ხარჯების მაქსიმალური შემცირება.

4. ამ წესდების მოქმედება ვრცელდება ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვაზე, მგზავრთა გადაყვანაზე, რასაც ახორციელებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები (საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი), აგრეთვე გადაზიდვაზე, რასაც ახორციელებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ეკუთვნის სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, შრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტი), გარდა იმ ავტოსატრანსპორტო საწარმო-ორგანიზაციებისა, რომლებიც ექვემდებარებიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

5. საავტომობილო გადაზიდვა იყოფა საქალაქოდ, საგარეუბნოდ, საქალაქთაშორისოდ, სარესპუბლიკათაშორისოდ და საერთაშორისოდ.

საქალაქო გადაზიდვას განეკუთვნება გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ქალაქის (სხვა დასახლებული პუნქტის) ფარგლებში, საგარეუბნოს—გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ქალაქის (სხვა დასახლებული პუნქტის) ფარგლებს გარეთ მისი საზღვრიდან 50 კილომეტრამდე მანძილზე, საქალაქთაშორისოს — გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ქალაქის (სხვა დასახლებული პუნქტის) ფარგლებს გარეთ 50 კილომეტრზე მეტ მანძილზე, სარესპუბლიკათაშორისოს—გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება ორი ან მეტი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, და საერთაშორისოს — გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება სსრ კავშირის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ან საზღვარგარეთიდან.

6. ამ წესდების საფუძველზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ამტკიცებს, შემდეგ კი აწვეყნებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის წესებისა და ტარიფების კრებულში:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით—საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წესებს (ქვემოთ წესებად წოდებულს), რომლებიც შემუშავდება დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით და შეიცავენ ცალკეულ სახეობათა ტვირთის გადაზიდვის, კომერციული ოპერაციების შესრულების, საწარმოთა და ორგანიზაციათა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების პირობებს.

საწარმოთა და ორგანიზაციათა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების პირობები იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობას სხვა სახეობათა ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, მტკიცდება შესაბამის სატრანსპორტო სამინისტროებთან შეთანხმებით;

ბ) შესაბამის სამინისტროსთან (უწყებასთან) ერთად და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით—საქართველოს სს რეს-



პუბლიკაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის განსაკუთრებულ პირობებს;

გ) შესაბამის სატრანსპორტო სამინისტროსთან ერთად — საქართველოს სსრ რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გაზიდვის) წესებს;

დ) საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებს;

ე) საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქალაქეთა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების წესებს.

მოქალაქეთა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების პირობები, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთობას სხვა სახეობის ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, მტკიცდება შესაბამის სატრანსპორტო სამინისტროებთან შეთანხმებით.

7. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად გააუმჯობესონ თავიანთი ეკონომიური მუშაობა, სრულყოფი გადაზიდვის მეთოდები და გამოიხატონ დამატებითი რეზერვები გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ცენტრალიზებული ტვირთზიდვა. ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღებნი მოვალენი არიან ყველგან შეუწყონ ხელი ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარებას.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკისრებათ:

ა) განახორციელონ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტვირთების გადაზიდვა, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე მოქალაქეთა ტვირთების გადაზიდვა.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი ამოცანაა განახორციელონ ცენტრალიზებული ტვირთზიდვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სამრეწველო საწარმოებისათვის, მშენებლობებისათვის, მომმარაგებელი, სავაჭრო და სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციებისათვის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის, განახორციელონ ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვა (გაზიდვა) რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში, ტვირთზიდვა სოფლად, და უწინარეს ყოვლისა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის მოსავლის, სასილოსე მასისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტებში, გადამმუშავებელ საწარმოებსა და ხანგრძლივი შენახვის ადგილებში.

ბ) განახორციელონ მგზავრთა გადაყვანა, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვა;

გ) მონაწილეობა მიიღონ პირდაპირ შერეულ გადაზიდვებში;

დ) მისცენ მსუბუქი ავტომობილები სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამსახურებრივი გამგზავრებისათვის;

ე) მიაქირონ მსუბუქი ავტომობილები მოქალაქეებს;

ვ) გაუწიონ სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს.

9. საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებს:

— სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ყველა სახეობის ტვირთის ტექნოლოგიურ და სამეურნეო გადაზიდვას, ცენტრალიზებული გარდა, აგრეთვე საქალაქთაშორისო გადაზიდვისა, რასაც საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი ასრულებს. სამშენებლო სამინისტროთა საავტომობილო ტრანსპორტს, თუ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, შეუძლია აგრეთვე განახორციელოს ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო ტვირთზიდვა;

შიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში—უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ტვირთზიდვას;

სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტვირთების ტექნოლოგიურ გადაზიდვას შეიძლება აგრეთვე ცენტრალიზებულად ახორციელებდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საავტომობილო ტრანსპორტი.

ტვირთის ტექნოლოგიური გადაზიდვის ნუსხას განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საეკგმო კომიტეტი.

საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ტექნოლოგიური გადაზიდვის განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, ხოლო როცა ამ გადაზიდვას ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, — წესების შესაბამისად.

10. რაიონებში, სადაც არ არის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, ყველა სახის ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ სამინისტროების, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით.

11. რეგულარულ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი ახორციელებს გზებზე, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ გზათა ნუსხაში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო აქვეყნებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის წესებისა და ტარიფების კრებულში იმ საავტომობილო გზების ნუსხას. რომლებზეც რეგულარულ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას ახორციელებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო მიმართულებით გადასაზიდი ტვირთის ჩაბარებისა და მიღების პუნქტებს, აქვე აღნიშნავს მანძილს ამ

კუნძულებს შორის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოების ან ორგანიზაციების მეშვეობით აცნობებს ამის შესახებ დაინტერესებულ ტვირთგამგზავნთ.

საქალაქთაშორისო ტვირთზიდვას საავტომობილო გზებზე, რომლებიც შეტანილი არ არის აღნიშნულ ნუსხაში, ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები ტვირთის გამგზავნთან (ტვირთის მიმღებთან) შეთანხმებით.

წესებით გათვალისწინებულ წესით და შემთხვევებში, საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის შესრულება შეუძლიათ სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტოსატრანსპორტო საწარმოებს და ორგანიზაციებს.

12. სარესპუბლიკათაშორისო საავტომობილო გადაზიდვის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს შორის შეთანხმებით.

აღნიშნული შეთანხმების უქონლობისას გამოიყენება იმ მოკავშირე რესპუბლიკაში მოქმედი გადაზიდვის განხორციელების წესი და პირობები, რომლის ტერიტორიაზე მიიღო ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაციამ გადასაზიდად ტვირთი, ბარგი ან ფოსტა და გადასაყვანად მგზავრები.

13. ტვირთის, ბარგისა და მგზავრების საერთაშორისო გადაზიდვა-გადაყვანას საავტომობილო ტრანსპორტი ახორციელებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნ ა წ ი ლ ი II

მოდრავი შემადგენლობა, ნაგებობანი და მოწყობილობანი ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციისათვის

მოდრავი შემადგენლობა

14. ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადასაზიდად, მგზავრთა გადასაყვანად ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნდა ჰყავდეთ მოძრავი შემადგენლობა, სხვადასხვა ტვირთაშეზომის სატვირთო ავტომობილები, მისამხელეები (ბორტიანი, თვითმძლეები, ფურგონები, მათ შორის იზოთერმული, ცისტერნები და სხვები), გადიდებული გამავლობის ავტომობილები, საწევარი ავტომობილები ნახევარმისამხელეებით, სხვადასხვა ტიპის ავტობუსები, აგრეთვე მსუბუქი ავტომობილები, ტაქსიმოტორების ჩათვლით.

15. მოძრავი შემადგენლობის და საავტომობილო ტრანსპორტის ნაგებობათა მოვლა-შენახვის წესი, აგრეთვე ხაზზე ამ მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური ექსპლუატაციის წესი განისაზღვრება წესებითა და ინსტრუქციებით, რომლებიც შემუშავდება დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით, და მტკიცდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ.

16. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე ავტომობილების მქონე სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი საავტომობილო გზებზე ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის და მგზავრთა ვადაყვანის დროს მოვალენი არიან უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება და გზის დაცვა-შენახვა.

აკრძალულია:

ა) იმ სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა, რომელთა სიმაღლე ტვირთთან ერთად აღემატება საგზაო ნიშნებზე აღნიშნულ სიმაღლეს;

ბ) ისეთი ტვირთის გადაზიდვა, რომელიც უფრო განიერია, ვიდრე სახელმწიფო სტანდარტით ან ტექნიკური პირობებით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებათა გაბარიტი, აგრეთვე იმ ტვირთის გადაზიდვა, რომელიც 2 მეტრზე მეტით აღემატება უკანა ბორტზე, ან ძირს მისთრევს.

გ) ყველა სახეობის სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა, თუ ღერძის დატვირთვა აღემატება სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ან საგზაო ნიშნებზე აღნიშნულ ნორმებს.

არაგაბარიტული ტვირთის გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს ცალკეულ შემთხვევებში საგზაო ორგანოებისა და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოების ნებართვით, წესებით გათვალისწინებული წესით.

დ) სატრანსპორტო საშუალებათა დგომა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წარმოება გზის სავალი ნაწილისა და მიწის ვაკისის ფარგლებში.

17. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო საავტომობილო გზებზე უწყევს ტექნიკურ დახმარებას მოძრავ შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის იგი, ამასთან გაწეული მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ტარიფების მიხედვით.

იმ საავტომობილო გზების ნუსხა, რომლებზეც ეწყობა ტექნიკური დახმარება, მტკიცდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ და ქვეყნდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის წესებისა და ტარიფების კრებულში.

სავტომობილო გზებზე მოძრავი შემადგენლობისათვის ტექნიკური დახმარების მოწყობის წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საავტომობილო გზებზე მოძრავი შემადგენლობისათვის ტექნიკური დახმარების მოწყობის შესახებ.

18. ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები მოვალენი არიან იქონიონ მისასვლელი გზები საავტომობილო გზებიდან დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებამდე და სათანადოდ მოუარონ ამ გზებს, რათა ყოველთვის იყოს უზრუნველყოფილი ავტომობილების შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობა და თავისუფალი მანევრირება გადაზიდვის განხორციელებისას.

19. იმას, თუ როგორ შეესაბამება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზებისა და მისასვლელი გზების მდგომარეობა მოძრაობის უსაფრთხოების და ტვირთის და მოძრავი შემადგენლობის მოვლა-შენახვის პირობებს, ერთად განსაზღვრავენ შესაბამისი საგზაო ორგანოები, ავტოსატრანსპორტო საწარმოები ან ორგანიზაციები და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოები.

ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი დ ა მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა ნ ი ტ ვ ი რ თ ი ს
 გ ა დ ა ზ ი დ ვ ი ს დ ა მ გ ზ ა ვ რ თ ა მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს
 ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა თ ვ ი ს

20. ტვირთის გამგზავნა და ტვირთის მიმღებთა დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში უნდა იყოს: მექანიზაციის საშუალებანი და საჭირო რაოდენობის მუშები, რაც უზრუნველყოფს ავტომობილების დატვირთვის და გადმოტვირთვის დაწესებული ვადების დაცვით, მოწყობილობანი სადამოსა და ღამით მუშაობისას სამუშაო ადგილებისა და მისასვლელი გზების გასანათებლად, ინვენტარი, ტაკელაჟი და საჭირო შემთხვევებში — საწონი მოწყობილობანი ტვირთისა და მოძრავი შემადგენლობის ასაწონად, აგრეთვე შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის კვალობაზე — საკმარის რაოდენობით მოწყობილი ადგილები ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის და საწყობების განლაგების, შესასვლელ-გასასვლელების მაჩვენებლები.

21. საწარმოთა და ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა ტვირთების საქალაქთაშორისო გადაზიდვების განხორციელებისათვის, მათ შორის პირდაპირ შერეულ მიმოსვლაშიც, მცირე რაოდენობით გასაგზავნი ტვირთის მიღებისათვის, ტვირთის მოკლევადიანი შენახვისა და მიმართულებათა მიხედვით დაჯგუფებისათვის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ქმნის სატვირთო ავტოსადგურებს, სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორებს, სააგენტოებსა და სხვა ორგანიზაციებს.

22. სატვირთო ავტოსადგურებს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ საავტომობილო მისასვლელი გზები, დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის მოედნები და საჭირო სათავსები ტვირთების მოკლევადიანი შენახვისა და დაჯგუფებისათვის, აგრეთვე მექანიზაციის საშუალებანი და მოწყობილობა, რაც უზრუნველყოფს დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა სატვირთო სამუშაოთა ნორმალურ და შეუფერხებელ შესრულებას.

23. საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მგზავრთა მომსახურებისათვის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გადაზიდვა-გადაყვანის მოცულობისა და ხასიათის კვალობაზე, უნდა ჰქონდეთ ავტოვაგზლები (ავტოსადგურები) და ავტოპავილიონები. ავტოვაგზლები (ავტოსადგურები) უნდა ჰქონდეთ საბილეთო სალაროები და გადაზიდვა-გადაყვანის მოცულობისა და ხასიათის კვალობაზე, — ხელბარგისა და ბარგის შესანახი საყენები, მოსაცდელი დარბაზები, დედათა და ბავშვთა ოთახები, ბუფეტები ან რესტორნები, სადგომები მგზავრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებისათვის (ფოსტა, ცნობათა ბიურო, სამედიცინო დახმარების პუნქტები და ა. შ.), აგრეთვე შოფრებისა და კონდუქტორების დასასვენებელი ოთახები, სამსახურებრივი სადგომები იმ პირთათვის, ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული მგზავრთა მომსახურებასთან და ავტობუსებისა და ტაქსომოტორების მოძრაობასთან.

ავტოვაგზლების (ავტოსადგურების) მოწყობამ ქალაქებში უნდა უზრუნველყოს მგზავრთა მოხერხებული მომსახურება.

ავტოვაგზლის (ავტოსადგურის) გარშემო მდებარე ტერიტორიაზე უნდა იყოს ბაქნები ავტობუსებსა და ტაქსომოტორებში მგზავრთა შესასვლელად და

გამოსასვლელად, სადაც იქნება მაჩვენებლები და ზღუდე, აგრეთვე ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსომოტორების სადგომი მოედნები. ავტოვაგზლებთან (ავტოსადგურებთან) მოედნების კეთილმოწყობა ეკისრება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

24. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ სხვა სახეობის ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით გამოიყენონ ამ მმართველობის ორგანოების კუთვნილი სადგომები ვაგზლებში ავტოვაგზლების (ავტოსადგურების) მოსაწყობად.

25. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ავტობუსების მოძრაობის მარშრუტებზე მოაწყობენ გაჩერების პუნქტებს მოძრაობის ინტერვალთა მაჩვენებლებით ან განრიგებით.

26. ქალაქებსა და სხვა დასახლებულ ადგილებში სამარშრუტო ავტობუსის გაჩერების პუნქტებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები აშენებენ და აწყობენ ავტოპავილიონებს და ჩასასხდომ მოედნებს ავტობუსებში მგზავრთა შესასვლელად და გადმოსასვლელად.

ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ტაქსომოტორების სადგომად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა წარდგენით უნდა გამოყონ სპეციალური კე. ი. ილმოწყობილი მოედნები.

საქართველოს სსრ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ჩასასხდომ მოედნებს, ავტოპავილიონებს, აგრეთვე სატვირთო და მსუბუქი ტაქსომოტორების სადგომებს არემონტებენ და უვლიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტები.

ნ ა წ ი ლ ი III

ტვირთზიდვის დაგეგმვა და ორგანიზაცია

ტ ვ ი რ თ ზ ი დ ვ ი ს დ ა გ ე გ მ ვ ა

27. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვა საქართველოს სს რესპუბლიკაში ზორციელდება იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც დგება წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საქონელბრუნვის გეგმების საფუძველზე და დასაბუთდება საჭირო გაანგარიშებით.

ტვირთზიდვის გეგმის შემუშავების წესი და ვადები განისაზღვრება დებულებებით, რომლებიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებანი საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის გეგმის შედგენისას მოვალენი არიან გაითვალისწინონ, რომ საჭიროა:

ა) შემცირდეს სატრანსპორტო ხარჯები:

ბ) დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ტვირთზიდვაზე და გაუმჯობესდეს მისი მომსახურება ცენტრალიზებული გადაზიდვის გადიდების, აგრეთვე ტვირთნაკადების რაციონალური მარშრუტებისა და სქემების დაწერვის გზით;

გ) გაუმჯობესდეს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენება;

დ) სწორად განაწილდეს გადაზიდვა სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტს შორის.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიურ გეგმას, ამასთან ანაწილებს ტვირთზიდვის მოცულობებს:

ა) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით;

ბ) სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტვირთების გადაზიდვის ნაწილში) შესაბამისად დებულებისა, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

29. საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური გეგმა მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

30. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ტვირთზიდვის წლიური გეგმა უმტკიცდებათ ამ სამინისტროთა და უწყებათა მიერ დადგენილი წესით.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური გეგმის საფუძველზე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, ამტკიცებს ტვირთზიდვის წლიურ გეგმებს საქვეუწყებო სატრანსპორტო ტრესტების და სხვა შესაბამისი ქვეგანყოფილებების, ცალკეულ ტვირთგამგზავნთა (ტვირთმიმღებთა) მიხედვით.

ტვირთგამგზავნთა (ტვირთმიმღებთა) მიხედვით ტვირთზიდვის დაგეგმვას კვარტალისათვის ადგილებზე ახორციელებენ სატრანსპორტო ტრესტები ან სხვა შესაბამისი ქვეგანყოფილებები, გარდა გადაზიდვებისა, რომლებიც იგეგმება ცენტრალიზებული წესით.

ტ ვ ი რ თ ზ ი დ ვ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

32. საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები გადასაზიდად იღებენ:

ა) ტვირთებს დადგენილი წესით დამტკიცებული გეგმის საფუძველზე;

ბ) გეგმის გარეშე — ერთჯერადი ხასიათის ტვირთებს, როცა ისინი მცირე ოდენობით იგზავნება ხოლმე; მოსახლეობის მიერ წარდგენილ ტვირთებს, ავ-

რეთვე ტვირთებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მითითებით.

ხილბოსტენულის, რძისა და სხვა მალფუჭებადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვა დამამზადებელი ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის წარმოებს გეგმით, აგრეთვე წარდგენით შეუზღუდავად სამინისტროებისა და უწყებების განაცხადის მიხედვით, რაც გადაზიდვამდე ხუთი დღით ადრე წარედგინება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

სამინისტროების, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ტვირთს გადასაზიდად იღებენ შესაბამისი სამინისტროს, უწყების ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით.

ტვირთი, რომლის გადაზიდვა გამოწვეულია სტიქიური უბედურებით ან ავარიით, გადასაზიდად მიიღება გეგმის გარეშე და ურიგოდ.

33. ტვირთზიდვის გეგმის საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საწარმოები ან ორგანიზაციები ტვირთგამგზავნთან ან ტვირთმიმღებთან სდებენ წლიურ ხელშეკრულებას საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის შესახებ.

ტვირთზიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებისას ტვირთმიმღებთან, აგრეთვე მისგან ერთჯერადი შეკვეთის მიღებისას, იგი სარგებლობს უფლებებით და აკისრია მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რაც გათვალისწინებულია ამ წესდებით ტვირთგამგზავნისათვის.

წლიური ხელშეკრულების დადება შეუძლია აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას მომარაგება-გასაღების ან სხვა ორგანიზაციასთან, რომელიც არ წარმოადგენს ტვირთმიმღებს ან ტვირთგამგზავნს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესაბამისად ორგანიზაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს, სარგებლობენ უფლებებით და აკისრიათ მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რაც ამ წესდებითაა გათვალისწინებული ტვირთმიმღებისა და ტვირთგამგზავნისათვის.

იმ შემთხვევათა ნუსხა, როცა წლიურ ხელშეკრულებას საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოები ან ორგანიზაციები სდებენ ტვირთმიმღებთან, მომარაგება-გასაღების ან სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს, დგება წესების შესაბამისად.

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური ხელშეკრულებით ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას ევალება დადგენილ ვადაში მიიღოს, ხოლო ტვირთგამგზავნს — გადასაზიდად წარადგინოს ტვირთი დათქმული მოცულობით. წლიურ ხელშეკრულებაში განისაზღვრება გადაზიდვის მოცულობა და პირობები, ანგარიშსწორების წესი და ტვირთნაკადების რაციონალური მარშრუტები და სქემები.

წლიური ხელშეკრულების შესაბამისად და კვარტალური გეგმის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთგამგზავნთან შეთანხმებით კვარტალის დაწყებამდე 10 დღით ადრე ამტკიცებს ყოველთვიურ გეგ-

მებს და განსაზღვრავს ტვირთზიდვის კვარტალის პირველი თვის დეკადურ საგემო დავალებებს.

კვარტალის მეორე და მესამე თვის დეკადური საგემო დავალებანი დგება ასეთივე წესით შესაბამისი თვის დაწყებამდე 10 დღით ადრე.

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ტიპობრივი წლიური ხელშეკრულება შემუშავდება დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით და დამტკიცდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგემო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიურ ხელშეკრულებათა დადების წესი და ვადები გათვალისწინებულია წესდებით. მუდმივი სამეურნეო კავშირთა თვითობის პირობებში ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას და ტვირთგამგზავნს შეუძლიათ მომდევნო წლისათვის გააგრძელონ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური ხელშეკრულების მოქმედება.

34. გადაზიდვა, რომლის შესრულება მოითხოვს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შედგენილობის გადაყვანას ავტოსატრანსპორტო ტრესტების საქმიანობის ზონის ფარგლებს გარეთ მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან დაშორებით მუშაობისათვის, ხორციელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ნებართვით.

გადაზიდვები, რომლებიც მოითხოვენ აღნიშნული მოძრავი შემადგენლობის გადაყვანას ავტოსატრანსპორტო ტრესტების საქმიანობის ზონების ფარგლებში მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან დაშორებით მუშაობისათვის, ხორციელდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ტრესტების ნებართვით.

საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გადაყვანა საქართველოს სსრ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადასაზიდად მოსავლის აღების პერიოდში (მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან დაშორებით მუშაობისათვის) ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით ან მის მიერ დადგენილი წესით.

ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების დამატებით ხარჯებს, რაც დაკავშირებულია მოძრავი შემადგენლობის გადაყვანასთან მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან დაშორებით მუშაობისათვის, ანაზღაურებს ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) ტარიფების მიხედვით.

35. ცენტრალიზებული გადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, გადაზიდვასა და სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებასთან ერთად, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ხელშეკრულების მიხედვით და ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთა ძირითადი წარმოების საწარმოო პროცესების გათვალისწინებით შედგენილი შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით აწარმოებენ ტვირთის გადაზიდვას (შეზიდვას) სამრეწველო საწარმოებიდან, ბაზებიდან, საწყობებიდან, რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან.

ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ორგანიზაციის წესი, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა, ტვირთგამგზავნათა და ტვირთმიღებთა უფლება-მოვალეობანი ამ გადაზიდვათა განხორციელების დროს განისაზღვრება წესებით.

რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გაზიდვის) ორგანიზაციის წესი, ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების, რკინიგზის სადგურების, ნავსადგურების (ნავმისადგომების) და აეროპორტების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სსრ რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გაზიდვის) წესებით.

36. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ ტვირთზიდვა, ხოლო ტვირთგამგზავნნი (ტვირთმიღებნი) — დროულად წარადგინონ გადასაზიდად ტვირთი იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ხელშეკრულებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთებით.

37. ტვირთზიდვაზე ტვირთგამგზავნი წარადგენს ავტოსატრანსპორტო საწარმოში ან ორგანიზაციაში, ტვირთზიდვის წლიური ხელშეკრულების არსებობისას, — სათანადო განაცხადს, ხოლო წლიური ხელშეკრულების უქონლობისას, — ერთჯერად შეკვეთას.

განაცხადების ფორმა და მათი წარდგენის წესი განისაზღვრება საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ტიპობრივ ხელშეკრულებაში.

ერთჯერადი შეკვეთების ფორმას და მათი წარდგენის და გაფორმების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

38. თანამდებობის პირნი, ვისაც ბრალი მიუძღვის ტვირთზიდვის წამატებული განაცხადების სისტემატურ წარდგენაში გადაზიდვის გეგმების შედგენისას, იმ ტვირთის გადასაზიდად წარუდგენლობაში, რაც გათვალისწინებულია საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური ხელშეკრულებით, ან მიღებულია შესასრულებლად შეკვეთით, აგრეთვე ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ვადების დარღვევაში, — პასუხს აგებენ დადგენილი წესით.

39. ტვირთზიდვის განსახორციელებლად საჭირო ავტომობილების ტიპებს და რაოდენობას განსაზღვრავენ ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები გადაზიდვის მოცულობისა და ხასიათის კვალობაზე.

40. ცეცხლსაშიშ, ფეთქებად, მომწამვლელ, შხამიან, მწველ ნივთიერებებს, აგრეთვე სხვა საშიშ ტვირთს ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები გადასაზიდად იღებენ წესებით გათვალისწინებულ წესით და შემთხვევებში.

41. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ მოძრავი შემადგენლობის სრული მიწოდება დატვირთვა-გადმოტვირთვის ყველა პუნქტში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ხელშეკრულებათა შესაბამისად, აგრეთვე დასატვირთად მიწოდონ ტვირთგამგზავნს გამართული მოძრავი შემადგენლობა, რომელიც გამოდგება მოცემული სანაგობის ტვირთის გადასაზიდად და შეესაბამება სანიტარულ მოთხოვნებს.

ხელშეკრულებით დათქმული ტვირთის გადასაზიდად გამოუსადეგარი მოძრავი შემადგენლობის მიწოდება უტოლდება სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდებლობას.

ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, მათი მიზეზით იმ მოძრავი შედგენილობის მიწოდებლობის შემთხვევაში, რაც გათვალისწინებული იყო ტვირთზიდვის შეთანხმებული ყოველთვიური დავალებებით, მოვალენი არიან ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მოთხოვნით გამოყონ მოძრავი შემადგენლობა ნაკლდატვირთვის შესავსებად მოცემული კვარტალის მომდევნო თვის განმავლობაში. კვარტალის უკანასკნელ თვეში მიუწოდებელი მოძრავი შედგენილობა უნდა გამოიყოს მომდევნო კვარტალის პირველ თვეში.

ნაკლდატვირთვის შესავსებად მოძრავი შემადგენლობის გამოყოფის წესი განისაზღვრება ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციის და ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) შეთანხმებით. შეთანხმებული წესის დარღვევის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას მოძრავი შემადგენლობის მიწოდებლობისათვის, ხოლო ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღებს) — გადასაზიდად ტვირთის წარუდგენლობისათვის, — ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რაც დაწესებულია გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის.

42. ტვირთზიდვის ხელშეკრულებით ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა მისთვის ტვირთგამგზავნის მიერ ჩაბარებული ტვირთი ჩაიტანოს დანიშნულების პუნქტში და მისცეს ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირს (ტვირთმიმღებს), ხოლო ტვირთგამგზავნი მოვალეა გადაიხადოს ტვირთზიდვისათვის დაწესებული საფასური.

ნაყარზე გრუნტის გადაზიდვის, თოვლისა და სხვა ისეთი ტვირთის გადაზიდვის დროს, რომლებზეც არ წარმოებს სასაწყობო აღრიცხვა (არასასაქონლო ხასიათის ტვირთი), ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები გადაზიდვის ხელშეკრულების პირობებით შეიძლება განთავისუფლებულ იქნან ტვირთმიმღებისათვის ტვირთის ჩაბარების მოვალეობისაგან.

43. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები გადასაზიდად იღებენ ცალკეულ ტვირთებს ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიერ გამოცხადებული ფასით. გამოცხადებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს ტვირთის ნამდვილ ღირებულებას. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას და ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) შორის უთანხმოების შემთხვევაში ტვირთის ღირებულებას განსაზღვრავს ექსპერტიზა, რაზეც ღვება აქტი.

იმ ტვირთების ნუსხა, რომელთა ფასის გამოცხადება სავალდებულოა, აგრეთვე ტვირთებისა, რომელთა ფასის გამოცხადება არ დაიშვება, განისაზღვრება წესებით.

44. ტვირთგამგზავნმა ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას გადასაზიდად წარუდგინოს სასაქონლო ხასიათის ტვირთზე უნდა წარუდგინოს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები, რომელიც, როგორც წესი, ღვება ოთხ ცალად, რაც წარმოადგენს გადაზიდვის ძირითად დოკუმენტს და რომლის მიხედვით ჩამოსწერს ამ ტვირთს ტვირთგამგზავნი და ვაატარებს შემოსავალში ტვირთმიმღები.



ტვირთვამგზავნის ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში მის მიერ სწორად, ზუსტად ან სრულად არ არის აღნიშნული ცნობები. ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ შეამოწონ ამ ცნობების სისწორე.

სასაქონლო ხასიათის ტვირთს, რომელიც არ არის გაფორმებული სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებით, ავტოსატრანსპორტო საწარმოები ან ორგანიზაციები გადასახიდად არ იღებენ.

არასასაქონლო ხასიათის ტვირთის გადაზიდვა ფორმდება გაზომვის აქტით ან აწონის აქტით.

თუ წარმოებს ათი ათას ტონაზე მეტი მოცულობის გრუნტის გადაზიდვა ერთი ობიექტიდან, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ობიექტებზე — გრუნტის გადაზიდვა ყველა ობიექტიდან, მისი რაოდენობის განსაზღვრა ხდება გეოდეზიური გაზომვით. გაზომვის ან აწონის აქტის, აგრეთვე გეოდეზიური გაზომვის აქტის შედგენის წესი და არასასაქონლო ხასიათის ტვირთის მიღებისა და ჩაბარების წესი განისაზღვრება წესებით.

ავტომობილით სარგებლობა მისი მუშაობის დროებრივი ტარიფით ანაზღაურებით ფორმდება ტვირთამგზავნის (ტვირთმიმღების) ჩანაწერებით საგზურში, სადაც აღინიშნება მანძილი და მის განკარგულებაში ავტომობილის ყოფნის დრო, შოფრის სადილობის შესვენების ხანგრძლიობის გამოკლებით.

სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადების ტიპობრივი ფორმა და საგზაო ფურცლის ფორმა, აგრეთვე მათი შევსების წესი მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

სამინისტროები და უწყებანი — ტვირთამგზავნის ადგენენ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადების ფორმას სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადების ტიპობრივი ფორმის შესაბამისად.

45. ერთგვაროვანი ტვირთების გადაზიდვა ერთი ტვირთამგზავნისაგან ერთი ტვირთმიმღების მისამართით შეიძლება გაფორმდეს ერთი სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებით, ერთი გაზომვის აქტით ან ერთი აწონის აქტით, კრებსითად, წესების შესაბამისად.

46. ტვირთზიდვის ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია აწარმოებს, როგორც წესი, ტვირთამგზავნის (ტვირთმიმღების) ექსპედიტორის გაუყოლებლად.

იმ ტვირთების ნუსხა, რომელთა გადაზიდვა ხდება ტვირთამგზავნის (ტვირთმიმღების) ექსპედიტორის თანხლებით, და ამ ტვირთების გადაზიდვის წესი განისაზღვრება წესებით.

47. ტვირთის გადასახიდად მიღებისას შოფერი — ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციის ექსპედიტორი ტვირთამგზავნს წარუდგენს სამსახურებრივ მოწმობას და საგზურს, რომელიც დამოწმებულია ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციის ბეჭდით.

48. ტვირთამგზავნისაგან ტვირთის გადასახიდად მიღება დამოწმდება შოფერ-ექსპედიტორის ხელმოწერით სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადების ყველა ეგზემპლარში, საიდანაც ერთი ეძლევა ტვირთამგზავნს.

49. ტვირთამგზავნი მოვალეა ავტომობილის დასატვირთად მოსვლამდე მოამზადოს ტვირთი გადასახიდად (ჩააწყოს ტარაში, დააჯგუფოს ტვირთმიმღე-

ბთა მიხედვით, გაამზადოს სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთები, ტვირთის და-ტვირთვა-გადმოტვირთვის ადგილზე მისვლის საშუალებები და ა. შ.), რათა უზრუნველყოს მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენება და ტვირთის დაცვა-შენახვა გზაში.

ტარირებულ ან შეფუთულ ტვირთის და მცირე ოდენობით გასაგზავნი ცალობითი ტვირთის წარდგენისას ტვირთგამგზავნი მოვალეა წინასწარ დაადოს ნიშანი ცალ-ცალკე ყოველ ტვირთს წესების შესაბამისად.

ტვირთი, რომელიც გადაზიდვისას ტარას საჭიროებს დაკარგვის, დანაკლისის, გაფუჭების და დაზიანების თავიდან ასაცილებლად, გადასაზიდად წარდგენილ უნდა იქნეს რიგიან ტარაში, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ან დადგენილ შემთხვევაში—სხვა რიგიან ტარაში, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულ შენახვას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებსაც კოლმეურნეობანი და სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციები გზავნიან, შეიძლება გადასაზიდად მიღებულ იქნეს არასტანდარტული ტარით, თუ იგი უზრუნველყოფს ტვირთის შენახვას გადაზიდვისას.

ტვირთი, რომელიც ტვირთგამგზავნმა წარადგინა გადაზიდვის წესების შეუსაბამო მდგომარეობაში და ჭეოვნად არ მოაწესრიგა ვადაში, რაც უზრუნველყოფს დროულ გაგზავნას, წარუდგენლად ითვლება.

50. დასატვირთად ავტომობილის მოსვლის დრო ითვლება იმ მომენტიდან, როცა შოფერი საგზურს წარადგენს დატვირთვის პუნქტში, ხოლო გადმოსატვირთად ავტომობილის მოსვლის დრო — იმ მომენტიდან, როცა შოფერი სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებს წარადგენს გადმოტვირთვის პუნქტში.

თუ დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში არის შესასვლელი ჭიშკარი ან საკონტროლო-გასაშვები პუნქტები, დასატვირთად ან გადმოსატვირთად ავტომობილის მოსვლის დრო ითვლება იმ მომენტიდან, როცა შოფერი საგზურს ან სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებს წარუდგენს ტვირთგამგზავნს ან ტვირთმომღებს შესასვლელ ჭიშკართან ან საკონტროლო გასაშვებ პუნქტში.

დატვირთვა-გადმოტვირთვა დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც შოფერს გადაეცემა ჭეოვნად გაფორმებული სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთები დატვირთულ ან გადმოტვირთულ ტვირთზე.

ჭიშკრიდან ან საკონტროლო-გასაშვები პუნქტიდან დატვირთვის ან გადმოტვირთვის ადგილამდე და უკან ავტომობილის მისვლა-მოსვლის დრო არ ჩაითვლება ავტომობილის დატვირთვის ან გადმოტვირთვის დროში იმ შემთხვევაში, როცა დატვირთვის ან გადმოტვირთვის პუნქტი ჭიშკარს ან საკონტროლო-გასაშვებ პუნქტს დაშორებულია 1 კილომეტრზე მეტი მანძილით.

იმ შემთხვევაში, როცა ავტომობილი გადმოსატვირთად დათქმულ დროზე ადრე მოვა, იგი გადმოსატვირთად მისულად ითვლება დათქმული დროიდან, თუ ტვირთგამგზავნი არ მიიღებს მას გადმოსატვირთად ფაქტიური მისვლის მომენტიდან.

ტვირთგამგზავნი, ტვირთმომღენი, რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები (ნავმისადგომები) და აეროპორტები, რომლებიც იღებენ ან გზავნიან ტვირთებს,



მოვალენი არიან სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში აღნიშნონ დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში ავტომობილების მოსვლისა და გარეუბნების დრო.

დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში ავტომობილების მოსვლისა და გარეუბნების დროის შესახებ აღნიშვნების გაფორმების წესი ტვირთზიდვის დროს განისაზღვრება წესებით, ხოლო რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გაზიდვის) განხორციელებისას—საქართველოს სსრ რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების ცენტრალიზებული შეზიდვის (გაზიდვის) წესებით.

51. ტვირთგამგზავნის, ტვირთმიმღების, რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები (ნავმისადგომები) და აეროპორტები მოვალენი არიან განახორციელონ ავტომობილების დატვირთვა-გადმოტვირთვა დადგენილ ვადაში.

ავტომობილების დატვირთვა-გადმოტვირთვის ვადები, აგრეთვე ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისასთან დაკავშირებული დამატებითი ოპერაციების შესრულების ვადები დადგინდება ამ წესდების 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტარიფების გამოყენების წესებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისას ახორციელებენ რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები (ნავმისადგომები) და აეროპორტები — საქართველოს სსრ რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შემოზიდვის (გაზიდვის) წესებით.

ტვირთგამგზავნებმა, ტვირთმიმღებებმა, რკინიგზის სადგურებმა, ნავსადგურებმა (ნავმისადგომებმა) და აეროპორტებმა მაქსიმალურად უნდა შეამცირონ ავტომობილების დატვირთვა-გადმოტვირთვის დრო.

52. საავტომობილო ტრანსპორტით მასობრივი რაოდენობის საშენი მასალებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვისას ტვირთგამგზავნის და ტვირთმიმღების მოვალენი არიან უზრუნველყონ ტვირთების მიღება და გაცემა არანაკლებ ორ ცვლად მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მათ შორის უქმე და სადღესასწაულო დღეებშიც, და არ დაუშვან ამ დღეებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მოცულობის შემცირება.

რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დროს ტვირთმიმღენი მოვალენი არიან მიიღონ მათი მისამართით მოსული ტვირთი ავტოსატრანსპორტო საწარმოებისაგან ან ორგანიზაციისაგან ვადაში, რაც დაწესებულია შესაბამის სახეობათა ტრანსპორტის სატრანსპორტო წესდებებით (კოდექსებით) ან მათ საფუძველზე გამოცემული წესებით.

ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ტექნოლოგიურ ტვირთზიდვას, უზრუნველყოფენ მოსამსახურებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა შეუფერხებელ მუშაობას გეგმისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიური ხელშეკრულების შესაბამისად.

ავტომობილების შოფერებს, რომლებიც ტექნოლოგიურ გადაზიდვებს აწარმოებენ, უნდა გაეწიონ ინსტრუქტაჟი და გაიარონ სწავლება მოსამსახურებელ საწარმოში მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

53. დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის საჭირო სამარჯვები და დამხმარე მასალები (ჯოჯგინები, ბიგები, საფენები, ლარები, შიგასაგებები, მავთული, ფარისებრი ზღუდეები და ა. შ.) უნდა გასცეს და დააყენოს ტვირთგამგზავნა და მოხსნას ტვირთმიმღებმა.

ბრეზენტს და თოკს ტვირთის გადასაფარებლად და გადასაყრავად გასცემს ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია, რაც უნდა აუნაზღაურდეს ტარიფების მიხედვით.

ყველა სამარჯვს, რომელიც ტვირთგამგზავნის ეკუთვნის, ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია აძლევს ტვირთმიმღებს ტვირთთან ერთად ან უბრუნებს ტვირთგამგზავნის შესაბამისად მისი აღნიშვნისა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნაღებში და მის ხარჯზე.

54. ტვირთის ჩატვირთვის ავტომობილში, ტვირთის მიმაგრებას, გადაფარებას და გადაყვრას, შლანგების მიტანას და წაღებას, ჩამოსასხმელი ონკანების გახსნას და დაკეტვას ეწევა ტვირთგამგზავნი, ხოლო ტვირთის გადმოტვირთვის ავტომობილიდან, სამაგრების და გადასაფარებლების მოხსნას, შლანგების მიტანას და წაღებას, ტვირთმიმღებ ტევადობათა ონკანების გახსნა-დაკეტვას, — ტვირთმიმღები.

შოფერი მოვალეა შეამოწმოს თუ რამდენად შეესაბამება მოძრავ შემადგენლობაზე ტვირთის წყობა და სამაგრები მოძარობის უსაფრთხოების და მოძრავი შემადგენლობის დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნებს, აგრეთვე აცნობოს ტვირთგამგზავნს ტვირთის დაწყობასა და დამაგრებაში შემჩნეულ უწყისივრობათა შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის მის დაცვას. ტვირთგამგზავნი მოვალეა შოფრის მოთხოვნით აღმოუხვრას ტვირთის დაწყობასა და დამაგრებაში შემჩნეული უწყისივრობანი.

55. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას შეუძლია ტვირთგამგზავნთან ან ტვირთმიმღებთან შეთანხმებით იკისროს დატვირთვა და გადმოტვირთვა:

ა) ტარირებული, საცალო და საგორავ — კასრიანი ტვირთებისა, რომლებიც მიეწოდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს მცირე საქონელბრუნვით;

ბ) სხვა ტვირთისა, თუ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას აქვს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებანი. ამ შემთხვევაში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის მექანიზმების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფის პირობები, ტვირთგამგზავნის მოვალეობა, რომ წინასწარ მოამზადოს ტვირთი (დაწყობა ქვეშებზე, კონტეინერებში და ა. შ.) და გამოყოს ადგილი დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმების დადგმისა და წვრილმანი რემონტისათვის, აგრეთვე სადგომები მუშებისათვის.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას შეუძლია ტვირთგამგზავნთან ან ტვირთმიმღებთან შეთანხმებით იკისროს აგრეთვე ტვირთის დამაგრება, გადაფარება და გადაყვრა, სამაგრებისა და გადასაფარებლების მოხსნა, შლანგების მოტანა და წაღება, ონკანების გახსნა და დაკეტვა.



56. რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ავტომობილის დატვირთვა-გადმოტვირთვა წარმოებს რკინიგზის სადგურის, ნავსადგურის (ნავმისადგომის) და აეროპორტის ძალეებით და საშუალებებით, გარდა საშიში და ჩასასხმელი ტვირთისა რკინიგზის სადგურებში და საშიში ტვირთისა ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში, რომელთა დატვირთვა-გადმოტვირთვას აწარმოებენ შესაბამისად ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები.

სატვირთო ავტოსადგურში ავტომობილის დატვირთვა-გადმოტვირთვა წარმოებს ავტოსადგურის ძალებითა და საშუალებებით.

57. მასობრივი რაოდენობის ტვირთზიდვისას ტვირთგამგზავნებმა და ტვირთმიმღებებმა, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიურ ხელშეკრულებებში უნდა გაითვალისწინონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზებული წესით შესრულება. ამ სამუშაოთა შესრულების პროგრესული მეთოდების დანერგვა. პუნქტებში, სადაც მცირე ტვირთბრუნვაა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები უნდა სრულდებოდეს უმარტივესი მექანიზაციის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით.

58. ტვირთგამგზავნი და ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთზიდვისას მოვალენი არიან ტვირთის იმ მოცულობის ფარგლებში, რომელიც აღნიშნულია შეკვეთაში ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიერ, აწარმოონ მოძრავი შემადგენლობის დატვირთვა მისი ტევადობის სრულ გამოყენებამდე, მაგრამ არა უმეტეს მისი ტვირთამწიობისა.

მსუბუქი ტვირთის მასობრივი გადაზიდვისას (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ტვირთისა) ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა აამბლოს მანქანის ბორტები ან მიიღოს სხვა ზომები, რათა უზრუნველყოს მოძრავი შემადგენლობის ტვირთამწიობის გამოყენების გადიდება.

59. როცა ტვირთგამგზავნი აბარებს და ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია იღებს ტვირთს, რომელიც გადაიზიდება დაყრილი, მოფანტული, ჩასხმული ან კონტეინერებში ჩაწყობილი, სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში უნდა განისაზღვროს და აღინიშნოს ამ ტვირთის წონა.

ტარირებული და ცალობითი ტვირთი გადასაზიდად მიიღება მაშინ, როცა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში აღნიშნულია ტვირთის წონა და ნაჭრების რაოდენობა.

ტარირებული და ცალობითი ტვირთის წონას განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი მის გადასაზიდად წარდგენამდე და აღნიშნავს ტვირთის ნაჭრებზე. ტვირთის საერთო წონა განისაზღვრება სასწორზე აწონით ან ტვირთის ნაჭრების წონის გამოანგარიშებით ტრაფარეტის, ან სტანდარტის მიხედვით. ცალკეული ტვირთებისათვის წონა შეიძლება განისაზღვროს გაანგარიშების გზით, გაზომვით, მოცულობითი წონით ან პირობითად.

იმ შემთხვევებში, როცა ავტოსატრანსპორტო საწარმო და ორგანიზაცია ახორციელებენ ცენტრალიზებულ ტვირთზიდვას რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან, შესაბამისი სატ-

ჩანსპორტო ორგანიზაციები მოვალენი არიან ტვირთი ჩაბარონ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციებს ტვირთების წონის ან ნაჭრების რაოდენობის, აგრეთვე ტვირთის მდგომარეობის შემოწმებით. ამასთან ტარირებული და ცალობითი ტვირთი გაიცემა ტვირთის წონისა და მდგომარეობის შემოწმებით მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში.

სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში ტვირთის წონის შესახებ წერს და მისი განსაზღვრის საშუალებას აღნიშნავს ტვირთგამგზავნი.

60. ტვირთის წონას ერთად განსაზღვრავენ ტვირთგამგზავნი და ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთგამგზავნის ტექნიკური საშუალებებით, ხოლო სატვირთო ავტოსადგურებში — ტვირთგამგზავნი და ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებებით.

როცა ტვირთის გადაზიდვა ხდება გადახურული ავტომობილებით და მისაბმელებით, ავტომობილების ცალკეულ სექციებში, კონტეინერებით და ცისტერნებით, რომლებიც ტვირთგამგზავნთა მიერ არის დაპლომბილი, ტვირთის წონას განსაზღვრავს ტვირთგამგზავნი.

61. დატვირთული გადახურული ავტომობილები და მისაბმელები, ავტომობილის ცალკეული სექციები, კონტეინერები და ცისტერნები, რომლებიც ერთ ტვირთში იმყოფებიან ეგზავნება, უნდა დაპლომბოს ტვირთგამგზავნმა, ხოლო წერილმანი ცალობითი საქონელი, რომელიც ჩაწყობილია ყუთებში, კოლოფებში და სხვა ტარაში, უნდა დაიპლომბოს ან გაკეთდეს ბანდეროლებად.

ავტომობილების, მისაბმელების, ავტომობილების ცალკეული სექციების, კონტეინერებისა და ცისტერნების დაპლომბვის წესი განისაზღვრება წესებით. რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დროს ავტოსატრანსპორტო საწარმოები ან ორგანიზაციები რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან ტვირთს იღებენ იმ წესების მიხედვით, რომლებიც მოქმედებს შესებამისად რკინიგზის, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტზე.

62. ტვირთში იმყოფება დანიშნულების პუნქტში ტვირთი ბარდება წონისა და რაოდენობის მიხედვით იმავე წესით, რა წესითაც იქნა მიღებული ტვირთი ტვირთგამგზავნისაგან.

გამართული ავტომობილებით, მისაბმელებით, ავტომობილის ცალკეული სექციებით, კონტეინერებითა და ცისტერნებით მოსული ტვირთი, რომელზეც დაუზიანებელია ტვირთგამგზავნის პლომბები, ტვირთში იმყოფება მიეცემა ტვირთის წონისა და მდგომარეობის და ნაჭრების რაოდენობის შემოწმებლად.

63. დანიშნულების პუნქტში ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთის ჩაბარებისას მოვალეა შეამოწმოს ტვირთის წონა, ნაჭრების რაოდენობა და ტვირთის მდგომარეობა იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ტვირთი ჩამოდის მოძრავი შემადგენლობის უწყისიერო ძარით, ან ისეთი გამართული ძარით, რომელსაც დაზიანებული აქვს პლომბები ან გზად გამოვლილი სატვირთო ავტოსადგურის პლომბები.

ბ) მალფუჰებადი ტვირთი ჩამოდის ამ ტვირთის მიწოდების ვადების, ან გადაზიდვის ტემპერატურული რეჟიმის დადგენილი წესების დარღვევით;

გ) ჩამოდის ტვირთი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საწარმომ ან ორგანიზაციამ დატვირთა სატვირთო ავტოსადგურის საწყობიდან;

დ) ტვირთი გაიცა სატვირთო ავტოსადგურის საწყობიდან;

ტარირებულ და ცალობით ტვირთს ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ყველა შემთხვევაში გასცემს ტვირთის წონისა და მდგომარეობის შემოწმებით მხოლოდ დაზიანებულ ადგილებში. თუ გამოვლინდა ტარის დაზიანება, ან სხვა გარემოებანი, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს ტვირთის მდგომარეობაზე, ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა შეამოწმოს ტვირთის დაზიანებული ადგილები სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებების მიხედვით, ამასთან გახსნას დაზიანებული ადგილები.

თუ ტვირთმიმღებს არა აქვს საავტომობილო სასწორი, დაყრილი ან მოფანტული ტვირთი, რომელიც ისეა ჩამოტანილი, რომ დანაკლისი არ ეტყობა, გაიცემა წონის შეუშოვნებლად.

ტვირთის წონა სწორად ითვლება, თუ გაგზავნის პუნქტში განსაზღვრული ტვირთის წონისა და დანიშნულების პუნქტში ჩატანილი ტვირთის წონის სხვაობა არ აღემატება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომებისა და საზომი ხელსაწყოების კომიტეტის მიერ დადგენილ ნორმებს და დადგენილი წესებით დამტკიცებული მოცემული ტვირთის წონის ბუნებრივი კლების ნორმებს.

64. ტვირთმიმღები და ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალენი არიან მთლიანად გადმოტვირთონ ავტომობილიდან ტვირთმიმღების მისამართით ჩამოსული ტვირთი.

ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ტვირთმიმღებმა უნდა გაწმინდოს ავტომობილები და კონტეინერები ამ ტვირთის ნარჩენებისაგან, ხოლო ცხოველების, ფრინველის, ცხოველთა უმი პროდუქტებისა და მალფუჰებადი ტვირთის გადაზიდვისას ტვირთმიმღები მოვალეა გარეცხოს მოძრავი შემადგენლობა და, თუ საჭიროა, მოაწყოს მისი დეზინფექცია.

65. თუ ტვირთის წონის, ნაჭრების რაოდენობის ან მდგომარეობის შემოწმებისას დანიშნულების პუნქტში გამოვლინდა ტვირთის დანაკლისი, გაფუჰება ან დაზიანება, და თუ ეს გარემოებანი დადგენილია გზაში შედგენილი აქტით, ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა განსაზღვროს ტვირთის ფაქტიური დანაკლისის, გაფუჰების ან დაზიანების ოდენობა.

ექსპერტიზის ჩატარების საჭიროების შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია თავისი ინიციატივით თუ ტვირთმიმღების მოთხოვნით იწვევს შესაბამის სპეციალისტებს.

66. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან საქალაქთაშორისო გადაზიდვის დროს ტვირთი ჩაიტანონ დადგენილ ვადაში.

საქალაქთაშორისო გადაზიდვის დროს ტვირთის მიტანის ვადები და გაანჯარიშების წესი განისაზღვრება წესებით.

67. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაზიდონ ტვირთი საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისათვის გახსნილი

უმოკლესი მარშრუტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საგზაო პირობებით უფრო რაციონალურია გადაზიდვა მანძილის გაღიდებით.

მანძილის გაღიდებით ტვირთზიდვა საავტომობილო გზებზე, რომლებზეც ეწყობა რეგულარული საქალაქთაშორისო გადაზიდვა, დაიშვება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ნებართვით, ხოლო დანარჩენ საავტომობილო გზებზე — შესაბამისი ავტოსატრანსპორტო ტრესტის ნებართვით.

ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა შეკვეთის მიღებისას შეატყობინოს ტვირთგამგზავნს გადაზიდვის მანძილის გაღიდების შესახებ. ამ შემთხვევაში გადაზიდვის საფასური გადაიხდება გადაზიდვის ფაქტიური მანძილისათვის.

68. ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ტვირთების საქალაქთაშორისო გადაზიდვისას მოვალენი არიან მიიტანონ ისინი ტვირთმიმღების საწყობში (ბინაზე). ტვირთმიმღების საწყობში (ბინაზე) ტვირთის მიტანის და მისი საფასურის განსაზღვრის წესი დგინდება წესებით. ტვირთის შენახვა ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწყობებში, თუ ეს გათვალისწინებულია წესებით, უფასოდ წარმოებს ერთი დღე-ღამის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ტვირთმიმღებს ეცნობება ტვირთის მოსვლის შესახებ. ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწყობებში ტვირთის შენახვის მაქსიმალური ვადაა 30 დღე-ღამე.

ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით ტვირთის შენახვისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთმიმღებს (ტვირთგამგზავნს) გადაახდევინებს ტარიფებით დადგენილ საფასურს.

მაქსიმალური ვადის გასვლის შემდეგ ტვირთმიმღებისაგან მოუკითხავი ტვირთი უნდა გასაღდეს წესების შესაბამისად.

69. ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია დანიშნულების პუნქტში ტვირთს აძლევს ტვირთმიმღებს, რომელიც აღნიშნულია სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში.

ტვირთმიმღები ტვირთის მიღებას დაამოწმებს ხელმოწერით და ბეჭდით (შტამპით) სამ ცალ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში, რომელთაგან ორი რჩება შოფერ-ექსპედიტორს.

საქალაქო და საგარეუბნო გადაზიდვისას, იმ შემთხვევაში, როცა ტვირთმიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოსა ან ორგანიზაციაზე დამოუკიდებელი მიზეზებით, ტვირთგამგზავნი მისამართს შეუცვლის ტვირთს წესების შესაბამისად და უგზავნის სხვა ტვირთმიმღებს, ან უბრუნდება ტვირთგამგზავნს. ამ შემთხვევებში ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვის ღირებულებას, აგრეთვე ჯარიმას ავტომობილის მოცდენისათვის იხდის ტვირთგამგზავნი. ტვირთმიმღები მოვალეა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში აღნიშნოს უარის თქმა ტვირთის მიღებაზე, რაც დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერით და ბეჭდით (შტამპით).

საქალაქთაშორისო გადაზიდვის, აგრეთვე ცენტრალიზებული ტვირთზიდვისას რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან, ტვირთმიმღები მოვალეა მიიღოს ავტოსატრანსპორტო საწარ-

რმოსაგან ან ორგანიზაციისაგან მისთვის მოტანილი ტვირთი. თუ მოვიდა ტვირთი, რომლის მიწოდება გათვალსწინებული არ იყო საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ხელშეკრულებით ან ერთჯერადი შეკვეთით, ტვირთმიმღებს ასეთ ტვირთს იღებს პასუხსაგები შენახვისათვის, რის შესახებ აღნიშნება სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში.

ტვირთმიმღებს შეუძლია უარი თქვას ტვირთის მიღებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის ხარისხი გაფუჭების ან დაზიანების შედეგად, რისთვისაც ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია პასუხს აგებენ, იმდენად შეიცვალა, რომ გამოირიცხულია პირდაპირი დანიშნულებით ტვირთის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების შესაძლებლობა.

როცა საქალაქთაშორისო გადაზიდვის დროს შეუძლებელია ტვირთის ჩაბარება ტვირთმიმღებისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოზე ან ორგანიზაციაზე დამოუკიდებელი მიზეზებით, ტვირთგამგზავნი მოვალეა: მისცეს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას მითითება ტვირთის დანიშნულების ახალი პუნქტის შესახებ, შესაბამისად წესებისა.

იმ შემთხვევაში, როცა ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციას არა აქვთ ახალი დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ უარი თქვან ამ გადაზიდვაზე, ამასთან შეატყობინონ ეს ტვირთგამგზავნს. ამ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთს უბრუნებს ტვირთგამგზავნს. ამასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს (მოდრავი შემადგენლობის მიერ გავლილი მანძილი და მოცდენა, ტვირთის შენახვა და ა. შ.) ანაზღაურებს ტვირთგამგზავნი.

თუ საქალაქთაშორისო მიმოსვლით გადაზიდული მალეფუჭებადი ტვირთი ვერ ჩაბარდება ტვირთმიმღებს, ხოლო ტვირთგამგზავნს არ მიუცია მითითება ახალი ტვირთმიმღების შესახებ, ტვირთი შეიძლება სარეალიზაციოდ ჩაბარდეს სხვა ორგანიზაციას.

70. თანხა, რომელსაც ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მიიღებს სხვა საწარმოზე ტვირთის გადაცემისათვის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ან ორგანიზაციისათვის კუთვნილი თანხის გამოკლებით, გადაერიცხება:

ა) სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში აღნიშნულ ტვირთმიმღებს — მის მიერ ტვირთის ღირებულების ანაზღაურების შემთხვევაში;

ბ) ტვირთგამგზავნს — ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

როცა შეუძლებელია აღნიშნული თანხის გადარიცხვა ტვირთმიმღების თუ ტვირთგამგზავნისათვის, დანიშნულებისამებრ ჩამოუტანელ ტვირთზე პრეტენზიების წაყენებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ეს თანხა შევა საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

იმ შემთხვევაში, თუ ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს შემდგომში აუნაზღაურდა საპრეტენზიო ან სასარჩელო წესით სხვა ორგანიზაციისათვის გადაცემული ტვირთის ღირებულება, და ეს თანხა უკვე გადარიცხულია საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში, ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია იხდის ამ თანხას საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში მორიგი გადარიცხვების ხარჯზე.

ნაწილი IV.

მგზავრთა გადაყვანა, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვა

მგზავრთა გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა

71. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ მგზავრთა გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა ავტობუსებით და მსუბუქი ავტომობილებით, ამასთან უზრუნველყონ მგზავრთა უსაფრთხოება საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობისას, მგზავრობის ნორმალური პირობები, კულტურული მომსახურება ავტოვაგზლებში (ავტოსადგურებში), ავტობუსებსა და მსუბუქ ავტომობილებში, მგზავრთა ბარგის დროული გადაზიდვა და შენახვა.

სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ახორციელებენ ამ წესდების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მგზავრთა გადაყვანას და ბარგის გადაზიდვას იმ წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით და მოქმედი ტარიფების მიხედვით.

72. მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებით ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა ჩაიყვანოს მგზავრი დანიშნულების პუნქტში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მგზავრმა ბარგი ჩააბარა — ჩაიტანოს აგრეთვე ბარგი დანიშნულების პუნქტში და მისცეს იგი ბარგის მიღებაზე უფლებამოსილ პირს; მგზავრს ევალება გადაიხადოს გზის ფული, ხოლო ბარგის ჩაბარებისას — ბარგის გადაზიდვის საფასური.

73. ავტობუსებისა და ტაქსომოტორების მოძრაობა მარშრუტებზე ეწყობა განრიგის მიხედვით.

ახალ მარშრუტებს ნიშნავენ:

ა) საქალაქო, საგარეუბნო და რაიონისშიდა მარშრუტებს — ავტოსატრანსპორტო ტრესტები (სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით;

ბ) საქალაქთაშორისო მარშრუტებს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო;

გ) სარესპუბლიკათშორისო მარშრუტებს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

ახალი მარშრუტები შეიძლება დაინიშნოს, თუ გზების მდგომარეობა და მათი მოწყობა შეესაბამება მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ავტობუსებისა და სამარშოუტო ტაქსომოტორების მოძრაობის განრიგების დამტკიცების წესი განისაზღვრება საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით.

74. საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსების მარშრუტების საწყის, საბოლოო და საშუალებო გაჩერების პუნქტებში მგზავრებისათვის გამოიკვრება ავტობუსების მოძრაობის ინტერვალების მაჩვენებლები დღე-ღამის პერიოდების მიხედვით და მარშრუტების სქემებით.

საგარეუბნო მარშრუტების გაჩერების პუნქტებში, სადაც მოძრაობის ინტერვალთა 20 წუთს აღემატება, გამოიკვრება მოცემულ გაჩერების პუნქტში ავტობუსების ჩამოსვლის და გასვლის განრიგები.

ავტობუსის საქალაქთაშორისო მარშრუტების ავტოვაგზლებში (ავტოსადგურებში) და ავტოპავილიონებში მგზავრთა საყურადღებოდ გამოიკვრება ყველა მარშრუტის ავტობუსების მოძრაობის განრიგები ან, მგზავრობის და ბარგის გადაზიდვის ღირებულების ცხრილები, სხვადასხვა ტიპის ავტობუსების სალონების განლაგების სქემები, საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესების ძირითადი დებულებანი, აგრეთვე განცხადებანი სალაროების მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დროის შესახებ.

75. ავტობუსით და საძარშრუტო ტაქსომოტორით მგზავრობისას, აგრეთვე ბარგის გადაზიდვისას ყოველ მგზავრს უნდა ჰქონდეს ბილეთი.

ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა უზრუნველყოს მგზავრისათვის სამგზავრო ბილეთის მიყიდვა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის წესებით. ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია მოვალეა საქალაქთაშორისო მარშრუტების ავტობუსებში მისცეს მგზავრებს დასაჯდომი ადგილები.

ბილეთებისა და სხვა სამგზავრო საბუთების ფორმას, ბილეთების გაყიდვისა და სარგებლობის წესს, ვარგისობის ვადას განსაზღვრავს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

76. საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანისა და ბარგთა გადაზიდვისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ბილეთებს ჰყიდნიან ყველა გაჩერების პუნქტის სალაროებში, ან გამონაკლისის სახით, სადაც არ არის ორგანიზებული ბილეთების სალაროში გაყიდვა, — შოფრების (კონდუქტორების) მეშვეობით.

საქალაქთაშორისო მარშრუტების ავტობუსებით მგზავრობისათვის საწყის, საბოლოო და განსაკუთრებით მნიშვნელოვან გაჩერების პუნქტებში წარმოებს ბილეთების წინასწარი გაყიდვა.

77. ავტოვაგზლების (ავტოსადგურების) ბარგის შესანახი საკნები მგზავრებისაგან იღებენ ხელბარგს, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სამგზავრო საბუთები.

აკრძალულია ბარგის შესანახ საკნებში ცეცხლსაშიში, ფეთქებადი, მომწამლეული, შხამიანი, მწველი და მყრალი ნივთიერებების მიღება და ჩაბარება.

ხელბარგის შესანახი საკნების მუშაობის დროს განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსომოტორების მოძრაობის განრიგების შესაბამისად, აგრეთვე ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

78. მგზავრს უფლება აქვს:

ა) შეიძინოს ბილეთი რომელ ავტობუსსა და სამარშრუტო ტაქსზეც სურს, ამ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის წესებით;

ბ) წაიყვანოს თან უფასოდ საქალაქო და საგარეუბნო მარშრუტის ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსომოტორებით ერთი 7 წლამდე ასაკის ბავშვი (საქალაქთაშორისო მარშრუტებზე — ერთი 5 წლამდე ასაკის ბავშვი), თუ მას არ უკავია ცალკე ადგილი;

გ) თან წაიღოს უფასოდ საქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტების ავტობუსებით და აგრეთვე სამარშრუტო ტაქსომოტორებით ხელბარგი იმ ოდენობით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით;

დ) თან წაიღოს ბარგი ფასგადახდით დაწესებული ტარიფების მიხედვით, იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით;

ე) ჩააბაროს ბარგი საქალაქთაშორისო მიმოსვლის მარშრუტის საბარგო ავტომობილებით გასაგზავნად იმ ხაზებზე, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ;

ვ) ავტობუსზე (სამარშრუტო ტაქსომოტორზე) 3 საათით დაგვიანების, ხოლო ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო — 3 დღელამით დაგვიანებისას იმ ავტობუსის (ტაქსომოტორის) გასვლიდან, რომლის ბილეთიც ჰქონდა შექმნილი, განაახლოს სამგზავრო საბუთები ბილეთის ღირებულების 25 პროცენტის დამატებით გადახდით ანდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესების შესაბამისად უკან მიიღოს ბილეთის ღირებულება ამ ღირებულების 25 პროცენტის დაქვითვით;

ზ) ავტოვაგზლის (ავტოსადგურის) სალაროში ბილეთის დაბრუნებისას ავტობუსის (სამარშრუტო ტაქსომოტორის) გასვლამდე არა უგვიანეს 2 საათისა მიიღოს მგზავრობის სრული ღირებულება მის მიერ გადახდილი წინასწარი გაყიდვის გამოსაღების დაქვითვით, ხოლო ამ ვადაზე გვიან, მაგრამ ავტობუსის (ტაქსომოტორის) გასვლამდე, ბილეთის დაბრუნებისას მიიღოს მგზავრობის ღირებულება ამ ღირებულების 15 პროცენტის და მის მიერ გადახდილი წინასწარი გაყიდვის გამოსაღების დაქვითვით;

თ) ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო საქალაქთაშორისო მიმოსვლის მარშრუტზე მგზავრობის შეწყვეტისას მიიღოს მგზავრობის ღირებულება დარჩენილი, გაუვლელი მანძილისათვის.

79. მგზავრს უფლება აქვს დააბრუნოს სალაროში ბილეთი ავტობუსის (სამარშრუტო ტაქსომოტორის) რეისში გასვლამდე და მიიღოს მგზავრობის სრული ღირებულება და მის მიერ გადახდილი წინასწარი გაყიდვის გამოსაღები იმ შემთხვევაში, როცა:

ა) ავტობუსი (ტაქსომოტორი) გასვლას განრიგებთან შედარებით აგვიანებს ერთ საათზე მეტ ხანს;

ბ) ავტობუსში (ტაქსომოტორში) მიჩენილი ადგილი ნაკლები კლასისაა, ვიდრე იმ ადგილისა, რომლის ბილეთიც მგზავრმა იყიდა;

გ) მგზავრს არ მისცეს ბილეთში აღნიშნული ადგილი.

თუ მგზავრი თანახმაა იმგზავროს უფრო დაბალი კლასის ავტობუსით (სამარშრუტო ტაქსომოტორით), მას დაუბრუნებენ გადახდილი თანხისა და მგზავრობის გადასახდელი ღირებულების სხვაობას.

თუ განრიგებით გათვალისწინებული ავტობუსის (სამარშრუტო ტაქსომოტორის) ნაცვლად იძლევიან ავტობუსს (ტაქსომოტორს), რომლითაც მგზავრობა უფრო ძვირია, მგზავრებს, რომლებმაც ბილეთები შეიძინეს მანამ, ვიდრე ეს ცნობილი გახდებოდა, უფლება აქვთ იმგზავრონ ამ ბილეთებით, დამატებითი ფასის გადაუხდელად. ავტობუსის (ტაქსომოტორის) ტიპის შეცვლის გამოცხადების მომენტიდან ბილეთები იყიდება დაწესებული უფრო მაღალი ტარიფით, რის შესახებაც გაფრთხილებული იქნებიან მგზავრები.

80. ამ წესდების 78 და 79 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფულის დაბრუნება ხდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

81. ავტოვაგზლებსა (ავტოსადგურებსა) და საავტომობილო ტრანსპორტის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში უნდა იყოს საჩივართა და წინადადებათა წიგნი, რომელიც გაიცემა მგზავრის პირველი მოთხოვნისთანავე.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია 3 დღის ვადაში განიხილოს მგზავრისაგან შემოსული საჩივარი ან წინადადება და წერილობით შეატყობინოს გამცხადებელს განხილვის შედეგების და მიღებული ზომების შესახებ.

საჩივრები, რომლებიც დამატებით შემოწმებას არ მოითხოვენ, დაუყოვნებლივ წყდება.

82. ავტობუსებითა და ტაქსომოტორებით ხელბარგისა და ტვირთის გადაზიდვის წესი დადგენილია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით.

83. გადასაზიდად ბარგის მიღების დასადასტურებლად მგზავრს ეძლევა საბარგო ქვითარი.

მგზავრს უფლება აქვს გასაგზავნად ბარგის ჩაბარების დროს განაცხადოს მისი ღირებულება დაწესებული გამოსაღების გადახდით.

ბარგი მიეცემა დანიშნულების ადგილზე საბარგო ქვითრის წარმდგენს; ბარგის შენახვისათვის გადახდევინებულ იქნება გამოსაღები.

84. ბაგაჟად და ხელბარგის სახით არ დაიშვება ცეცხლსაშიშ, ფეთქებად, მოშუამველ, შხამიან, მწველ და მყრალ ნივთიერებათა, აგრეთვე ისეთი ტვირთების გადაზიდვა, რომლებიც გააბიძგებენ მოძრავ შემადგენლობას ან გაუსერიან ტანსაცმელს მგზავრებს.

85. მგზავრისაგან განცალკევებით გადასაზიდად მიღებული ბარგი დანიშნულების პუნქტში მიტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ამ პუნქტში განრიგით მგზავრის ჩასვლის დღისა.

86. მგზავრის მიერ მოუკითხავ ბარგს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია ინახავს დანიშნულების პუნქტში.

30 დღის განმავლობაში მოუკითხავი ბარგი უნდა ჩაბარდეს ადგილობრივ ნავაქრო ორგანიზაციებს იმ წესით გასაყიდად, რაც დადგენილია საქართველოს

სსრ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესებით.

საბარგო ქვეთრის წარმდგენს უფლება აქვს ბარგის რეალიზაციის მომენტიდან 6 თვის განმავლობაში მიიღოს თანხა, რომელიც საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას გადაუხადა სავაჭრო ორგანიზაციამ მასზე გადაცემული მოუკითხავი ბარგისათვის, იმ თანხის დაქვეითებით, რაც ეკუთვნის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას.

87. საერთო დანიშნულების საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ ხელშეკრულებით მიაწოდონ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებს ავტობუსები მუშების გადასაყვანად სამუშაო ადგილას და უკან სატარიფო ფასით. ავტობუსები შეიძლება მიეცეთ აგრეთვე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს ცალკეული დაკვეთებით იმ შემთხვევებში, რაც ვათვალისწინებულა წესებით.

ფოსტის გადაზიდვა

88. ფოსტის გადაზიდვას ახორციელებენ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები სპეციალიზებული ავტომობილებით, აგრეთვე სამარშრუტო ავტობუსებით ან მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც დადებენ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები კავშირგაბმულობის საწარმოებთან.

89. ფოსტის გადასაზიდად სპეციალურად გამოყოფილი საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავე შემადგენლობა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით, ფოსტის გადაზიდვის გეგმისა და განრიგების შესაბამისად.

აქრძალულია სპეციალურად ფოსტის გადაზიდვისათვის გამოყოფილი ავტომობილებით გარეშე პირთა გადაყვანა, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ამ გადაზიდვასთან.

90. ფოსტის დატვირთვა და გადმოტვირთვა, აგრეთვე თანხლება და მისი დაცვა გზაში, ხორციელდება კავშირგაბმულობის საწარმოთა ძალებითა და საშუალებებით.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა და კავშირგაბმულობის საწარმოთა ურთიერთშეთანხმებით ფოსტის თანხლება და დაცვა გზაში შეუძლიათ უზრუნველყონ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

91. ფოსტის გადაზიდვა და თანხლება ნაზღაურდება ტარიფების მიხედვით.

92. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობას გადასაზიდი ფოსტის დაკარგვის, დაზიანების ან დაგვიანებისათვის განსაზღვრავს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის წესდება.

93. საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით ფოსტის გადაზიდვის წესებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო-და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

ნაწილი V

მსუბუქი ავტომობილების გაქირავება

94. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები მიაქირავენ მოქალაქეებს მსუბუქ ავტომობილებს დროებითი სარგებლობისათვის ხელშეკრულებით, იმ ფასით, რაც გათვალისწინებულია ტარიფებით.

95. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები ან ორგანიზაციები ვალდებული არიან გააქირაონ ავტომობილები ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აკმაყოფილებს მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს.

96. ავტომობილების გაქირავების პირობებსა და წესს განსაზღვრავს ტიპობრივი ხელშეკრულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ავტომობილების გაქირავების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო; აღნიშნული ტიპობრივი ხელშეკრულებიდან გადახვევა, რაც შეზღუდავს დამქირაველთა უფლებებს, არ დაიშვება.

ნაწილი VI

გადაზიდვის ტარიფები და ანგარიშსწორება

97. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის, ბარგის, ფოსტის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, გაქირავებული ავტომობილებით სარგებლობის ღირებულების ოდენობა, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესრულებულ გადაზიდვებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და მომსახურებისათვის გამოსაღების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტარიფების საფუძველზე.

ტარიფების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან შეთანხმებით.

98. ანგარიშსწორებას საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ტვირთის გადაზიდვისა და სხვა გადასახდელებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ამ გადაზიდვასთან, ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) აწარმოებს წესებით დადგენილი წესის მიხედვით.

99. ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის დროს ყველა ანგარიშსწორებას საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან გადაზიდვის, ექსპედიციებისა და გადაზიდვასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების და მომსახურებისათვის, აწარმოებს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები. ამასთან ერთად განსაზღვრულ შემთხვევებში, აღნიშნული გადაზიდვისათვის, ოპერაციებისა და მომსახურებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გადახდილ თანხას ან ტვირთგამგზავნი შეიტანს გაცემული პროდუქციის ანგარიშებში, ანდა ტვირთმიმღები დაქვითავს მიღებული პროდუქციისათვის ტვირთგამგზავნის ანგარიშების ანაზღაურების დროს.

100. ტვირთის გადაზიდვის, აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციებისა და სხვა მომსახურების გადასახ-



დელი, რომელიც ერგება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გადაზიდვის დაკვეთის მიღებისას შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ჩეკებით, ბანკის მიერ აქცეპტებული საგადამხდლო დავალებებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში — ნაღდი ფულით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის წესების თანახმად.

სავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წლიურ ხელშეკრულებებში, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ანგარიშსწორება გეგმიანი გადასახდელებით, იმ წესით, რასაც ადგენს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით.

გადაზიდვის გადასახდელის შეტანამდე საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები არ მიიღებენ ტვირთს გადასაზიდად.

გამონაკლისის სახით, გადაზიდვის გადასახდელის შეტანამდე ტვირთის მიღება გადასაზიდად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს ან ორგანიზაციებს შეუძლიათ მათი ზემდგომი ორგანოს ნებართვით. ამ შემთხვევაში ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღებს) გადაზიდვის გადასახდელის დამატებით გადახდება დაგვიანებით შეტანილი გადაზიდვის თანხის 0,5 პროცენტი დღიურად.

თუ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია სამი დღის განმავლობაში არ შეუდგა დაკვეთის შესრულებას, ამ დაკვეთის გაფორმებისას მიღებული გადაზიდვის თანხა უნდა დაუბრუნდეს ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს იმ ვადაში, რაც დადგენილია წესებით.

გადაუზიდავი ტვირთის გადასახდელის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს გადაუხდის ჯარიმას ვადაგადაცილებული გადასახდელი თანხის 0,5 პროცენტს დღიურად.

ტვირთის გადაზიდვის საბოლოო ანგარიშსწორებას აწარმოებს ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის ანგარიშის საფუძველზე. ტვირთის გადაზიდვის ანგარიშის გამოწერის საფუძველს წარმოადგენს სასაქონლო — სატრანსპორტო ზედნადები ან აზომვის, ანდა ტვირთის აწონის აქტები, ხოლო ავტომობილით სარგებლობისა, რაც ნაზღაურდება დროებრივი ტარიფებით, — საგზაო ფურცლების მონაცემები, დამოწმებული ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების მიერ.

101. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ავტობუსებით და მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობისათვის ანგარიშსწორებას საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და კერძო პირები აწარმოებენ იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით.

ნაწილი VII

პირდაპირი შერეული მიმოსვლა სხვა სახეობათა ტრანსპორტის მონაწილეობით.

102. ტვირთისა და პარგის გადაზიდვას, მგზავრთა გადაყვანას საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი ახორციელებს სხვა სახეობათა — სარ-

კინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, პირდაპირი შერეული მიმოსვლის სისტემის შექმნის მეშვეობით: საავტომობილო-სარკინიგზო, საავტომობილო-სანაოსნო, საავტომობილო-სანაოსნო-სარკინიგზო, საავტომობილო-საჰაერო და სხვა მიმოსვლები.

პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვა წარმოებს ერთიანი სატრანსპორტო საბუთის მიღებით, რომელიც შედგენილია მთელი გზისათვის.

103. პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვა წარმოებს წესდების ამ ნაწილის შესაბამისად და პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის წესების საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად.

იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წესდების ამ ნაწილით და ზემოაღნიშნული წესებით, პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს წესდებათა, კოდექსების, წესებისა და ტარიფების ნორმები, რომელთა მიხედვით წარმოებს გადაზიდვათა რეგულირება შესაბამისი სახეობის ტრანსპორტზე.

მგზავრთა გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა პირდაპირი შერეული მიმოსვლით წარმოებს შესაბამის სატრანსპორტო სამინისტროებთან და უწყებებთან საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საგანგებო შეთანხმებათა საფუძველზე.

104. პირდაპირ სატვირთო შერეულ მიმოსვლაში ჩაბმული არიან:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები, — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მიერ დაწესებული ნუსხით, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, — ამ რესპუბლიკათა საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების მიერ დაწესებული ნუსხით;

ბ) რკინიგზის ყველა სადგური, რომლებიც გახსნილია სატვირთო გადაზიდვის ოპერაციებისათვის;

გ) საზღვაო ნავსადგურები — საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიერ დადგენილი ნუსხით;

დ) სამოქალაქო საჰაერო ფლოტის აეროპორტები — სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს მიერ დადგენილი ნუსხით;

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, ნავსადგურები, ნავმისადგომები და აეროპორტები ითვლებიან პირდაპირ შერეულ მიმოსვლაში ჩაბმულად მხოლოდ ამის შესახებ ტელეგრაფით შეტყობინების მომენტიდან (რაც შემდგომ ქვეყნდება სატრანსპორტო სამინისტროებისა და უწყებათა გადაზიდვის წესებისა და ტარიფების კრებულებში).

105. ტვირთი პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვისათვის მიიღება დადგენილი წესით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და სხვა სატრანსპორტო სამინისტროებსა და უწყებებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ

მიიღონ პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადასაზიდი ტვირთი გეგმის გადამტებით.

იმ ტვირთების მიღება გადასაზიდად და მისი გადმოტვირთვა გადასაცლელი პუნქტებიდან, რომელთა გადაზიდვა პირდაპირი შერეული მიმოსვლით ხდება წერილი ვაგზავნით, წარმოებს წარდგენისთანავე, მისი დაზარისხებით იმ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის წესებით, რკინიგზაზე გადაცემის დროს — ტვირთის დამზარისხებელ სადგურში, საავტომობილო, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტზე გადაცემის დროს — შესაბამისად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში.

106. გადასაცლელ პუნქტებში, სატრანსპორტო საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველყონ ავტომობილების, ვაგონებისა და გემების შეუფერხებელი და თანაბარი მიწოდება გადასაცლელი ტვირთის დასატვირთავად, ფართოდ განავითარონ ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეზე ტვირთის გადაცლა პირდაპირი ვარიანტით (საწყობში გადმოუტვირთავად).

ტვირთის გადაცლის გეგმების შედგენა და დამტკიცება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის წესებით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და სხვა სატრანსპორტო სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან ტვირთის წარუდგენლობა ან მისი ნაკლები რაოდენობა, რაც დაშვებულია თვის პირველი ან შესაბამისად მეორე ნახევრის დღეებში, შეავსონ თვის მოცემული ნახევრის მომდევნო დღეებში.

107. ის ტვირთები, რომლებიც საჭიროებენ ტარას პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვისას დაკარგვის, დანაკლისისა და გაფუჭება-დაზიანებისაგან დასაცავად, წარდგენილ უნდა იქნეს ვარგისი ტარით, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის დაცვას გადაცლისას და ავტომობილებით, ვაგონებით, გემებითა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვისას.

პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადასაზიდი ტვირთის შეფუთვის პირობები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სტანდარტებში.

108. ჩასხმული სახით გადასაზიდი ტვირთი, წყალსაველი გზებით გასაგზავნი ტივებად შეკრული ხე-ტყე, აგრეთვე ფეტქებადი და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებანი პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადასაზიდად არ მიიღება.

პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვისათვის მისაღები მალეფუჭადი, საშიში, აალეზადი ტვირთების და იმ ტვირთების ნუსხებს, რომლებიც საჭიროებენ ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთა გამცილებლების თანხლებას, აგრეთვე პირდაპირი შერეული მიმოსვლით გასაგზავნი ჩაყრილი ხე-ტყის გადაზიდვის პირობებს ერთობლივად აწესებენ შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებანი.

109. პირდაპირი შერეული მიმოსვლით ვაგზავნილი ტვირთის აწონა ხდება გადასაცლელ პუნქტებში, საავტომობილო ტრანსპორტიდან რკინიგზის, სანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტზე ან პირიქით გადაცემის დროს, რკინიგზის, ნავსად-



გურების (ნავმისადგომების) ან აეროპორტების საშუალებებით, ტვირთის მიმღები მხარის მოთხოვნით.

ტარიანი და ცალობრივი ტვირთი, რომელიც გადასაზიდად მიღებულია სტანდარტული წონით ანდა იმ წონით, რაც ტვირთგამგზავნის მიერაა მითითებული თვითიულ ტვირთზე, და გადასაცლელ პუნქტში მივიდა ვარგისი ტარიით, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეს გადაეცემა აუწონლად, ნაჭრების და თვლით და ამავე წესით ჩაბარდება ტვირთმიმღებს დანიშნულების პუნქტში.

110. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების კონტინენტებით ტვირთის გადაზიდვა პირდაპირი შერეული მიმოსვლით ხორციელდება იმ პუნქტებს შორის, რომლებსაც დააწესებენ შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებანი.

კონტინენტებით ტვირთის გადაზიდვის წესებსა და კონტინენტების ბრუნვის ვადებს ერთობლივად განსაზღვრავენ შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებანი.

დაწესებული ვადების გადამეტებით კონტინენტების დაგვიანებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რკინიგზები და სანაოსნოები იხდიან ჯარიმას 30 კაპიკის ოდენობით დღე-ღამეში კონტინენტის დაგვიანებისათვის.

111. გადასაცლელ სამუშაოებს ასრულებს:

ა) ვაგონებიდან და საწყობებიდან ავტომობილებზე ტვირთის გადატანის, აგრეთვე ავტომობილიდან ვაგონებსა და საწყობებში გადატანის დროს — რკინიგზა;

ბ) გემებიდან და საწყობებიდან ავტომობილებზე ტვირთის გადატანის, აგრეთვე ავტომობილიდან გემებსა და საწყობებში გადატანის დროს — ნავსადგური (ნავმისადგომი);

გ) თვითმფრინავებიდან და საწყობებიდან ავტომობილებზე ტვირთის გადატანის, აგრეთვე ავტომობილიდან თვითმფრინავებსა და საწყობებში გადატანის დროს — აეროპორტი.

112. გადასაცლელი პუნქტების მუშაობის პირობები განისაზღვრება საკვანძო შეთანხმებით, რომელსაც საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია დებს რკინიგზასთან, სანაოსნოსთან (ნავსადგურთან) და აეროპორტთან სამი წლით.

საკვანძო შეთანხმებათა შემუშავებისა და დადების წესი განისაზღვრება პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის წესებით.

113. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სადგურის უფროსს, ნავსადგურის (ნავმისადგომის) უფროსს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ გაახშირონ ავტომობილებისა და ვაგონების მიწოდება და წარადგინონ ტვირთი იმ ოდენობით, რაც აღემატება გადაცლის სადღეღამისო ნორმას.

114. ტვირთის მიტანის ვადები განისაზღვრება საავტომობილო და სხვა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის მიტანის ვადების ერთობლიობით და გა-



შოიანგარიშება ამ სახეობათა ტრანსპორტზე მოქმედი ტვირთის მიტანის ვადების გამოანგარიშების წესების საფუძველზე.

115. პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის დროს ანგარიშსწორება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს ან ორგანიზაციებს, რკინიგზებსა და სანაოსნოებს შორის ხორციელდება:

— გადაზიდვის დოკუმენტებში შეტანილ გადასახდელთა და გამოსაღებთა მიხედვით — უაქცეპტო წესით;

— ყველა სხვა სახის გამოსაღებთა და ჯარიმების მიხედვით — აქცეპტის წესით ანგარიშებით საერთო საფუძველზე.

116. გადაცლის გეგმიანი ნორმის შესრულების აღრიცხვა წარმოებს ცალკე იმ ტვირთების მიხედვით, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტიდან გადაეცემა სხვა სახეობის ტრანსპორტს, და იმ ტვირთების მიხედვით, რომლებიც სხვა სახეობის ტრანსპორტიდან გადაეცემა საავტომობილო ტრანსპორტს.

სააღრიცხვო ბარათების ფორმებს და მათი შედგენის წესს ერთობლივად დაადგენენ შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებანი.

117. ტვირთის გადაცლის გეგმის შეუსრულებლობისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რკინიგზები და სხვა სახეობის ტრანსპორტის საწარმოები პასუხს აგებენ მატერიალურად.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები პასუხს აგებენ ტვირთის გაზიდვის სადღეღამისო ნორმისა და გადასაცლელად ტვირთის წარდგენის შეუსრულებლობისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები და სხვა სახეობის ტრანსპორტის საწარმოები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ცალკეულ დღეებში ტვირთის გადაცლის საშუალო სადღეღამისო ნორმის შეუსრულებლობისათვის:

ა) თუ თვის წინა დღეებში გადაცლის გაზიარების შედეგად შესაბამისი გადაჭარბებით შეასრულეს გადაცლის ნორმები;

ბ) თუ თვის პირველი ან შესაბამისად მეორე ნახევრის განმავლობაში გადაცლის გეგმით შეავსეს ნაკლებირობა ან ვაგონების მიუწოდებლობა, რაც დაშვებული იყო თვის მოცემული ნახევრის ცალკეულ დღეებში.

118. პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაცლის გეგმის შეუსრულებლობისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, რკინიგზა, ნავსადგურები (ნავმისადგომები) და აეროპორტები იხდიან ჯარიმას 10 კაპიკს ტონაში.

119. პასუხისმგებლობა ტვირთის დაცვა-შენახვისათვის ფაქტიურ გადაცემაზე ეკისრება ჩამბარებელ მხარეს, ხოლო ფაქტიური გადაცემის შემდეგ — მიმღებ მხარეს.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების და ორგანიზაციების, რკინიგზებისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის საწარმოების პასუხისმგებლობა პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადასახიდად მიღებული ტვირთის დაცვა-შენახვისათვის, განისაზღვრება შესაბამისი სახეობის ტრანსპორტზე მოქმედი წესდებებით (კოდექსებით, წესებით).

თუ დადასტურდა, რომ ტვირთის დაკარგვაში, დანაკლისში, გაფუჭება-დაზიანებაში ბრალი მიუძღვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოსა და ორგანიზაციას, რკინიგზას, სანაოსნოს და აეროპორტს, პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოსა და ორგანიზაციას, რკინიგზას, სანაოსნოს და აეროპორტს.

120. საავტომობილო-სარკინიგზო პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის გადასახდელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

ა) საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გაგზავნიან: — გაგზავნის პუნქტში — საავტომობილო გზის მთელი მანძილისათვის, და დანიშნულების პუნქტში — რკინიგზის მთელი მანძილისათვის;

ბ) რკინიგზით გაგზავნიან: გაგზავნის სადგურში — გადაზიდვაში მონაწილე ყველა რკინიგზის სარკინიგზო ხაზის მთელი მანძილისათვის, და დანიშნულების პუნქტში — მთელი საავტომობილო გზის მანძილისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილი გადაზიდვის გადასახდელი და სხვა გამოსაღები გადაზიდვის საბუთებში არ შეიტანება და უნდა გადახდეს ტვირთგამგზავნს ან ტვირთმიმღებს უშუალოდ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოსა და ორგანიზაციის ანგარიშების მიხედვით.

საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ნავსადგურიდან (ნავმისადგომიდან) სადგურში ან პირიქით გადასაცემი ტვირთის გადაზიდვის გამოსაღები სადგურის მიერ შეიტანება რკინიგზის კუთვნილ გადასახდელთა თანხაში, ხოლო ამ გადაზიდვათა ანგარიშსწორებას საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან აწარმოებს რკინიგზა.

პირდაპირი საავტომობილო-სანაოსნო, საავტომობილო-საჰაერო და საავტომობილო-სანაოსნო-საჰაერო შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის გადასახდელი გადახდილ უნდა იქნეს იმ წესით, რაც დადგენილია ამ წესდების 103 მუხლის შესაბამისად დამტკიცებული პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის წესებით.

ნაწილი VIII

სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციები და მომსახურება, რასაც ეწევიან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები

121. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები ასრულებენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის გადაზიდვასთან დაკავშირებულ ოპერაციებსა და მომსახურებას (სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციები და მომსახურება).

მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან გამოუყონ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპე-

დიციო მომსახურებას, მათი საქმიანობისათვის საჭირო საწარმოო და სასაწყობო სადგომები.

122. იმ სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციებისა და მომსახურების ნუხსა, რომლებსაც ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე ამ ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელების წესი დადგინდება ამ წესდების მე-6 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებში გათვალისწინებული წესებით.

ნაწილი IX

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების,

ტვირთვამგზავნთა, ტვირთმიმღებთა და მგზავრთა, აგრეთვე ნაჭირავები ავტომობილებით მოსარგებლე მოქალაქეთა პასუხისმგებლობა, აქტები, პრეტენზიები და სარჩელები

ზოგადი დებულებანი

123. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ტვირთვამგზავნთ, ტვირთმიმღებთ და მგზავრებს, აგრეთვე ნაჭირავები ავტომობილებით მოსარგებლე მოქალაქეებს ამ წესდების საფუძველზე ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა ტვირთისა და ბარგის გადაზიდვის, მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილების გაჭირავების წესებიდან გამომდინარე მოვალეობათა დარღვევისათვის.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ყოველგვარი შეთანხმება ტვირთვამგზავნებთან, ტვირთმიმღებებთან და მგზავრებთან, აგრეთვე მიჭირავებული ავტომობილებით მოსარგებლე მოქალაქეებთან, რომლის მიზანია შეცვალოს ან ააცილოს პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ტვირთვამგზავნთ, ტვირთმიმღებთ და მიჭირავებული ავტომობილებით მოსარგებლე მოქალაქეებს, გაუქმებულად ითვლება და ყოველგვარი ისეთი აღნიშვნები ამის შესახებ სამგზავრო ფურცლებში, სასაქონლო-სატრანსპორტო და სხვა საბუთებში, რაც გათვალისწინებული არ არის ამ წესდებით, ან წესებით, ძალადაკარგულად ითვლება.

პასუხისმგებლობა გადაზიდვის გეგმის შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთის შეუსრულებლობისათვის, დაგვიანებით მიტანისათვის და გადასაზიდი ტვირთისა და ბარგის დაუცველობისათვის

124. გადაზიდვის გეგმისა და შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთის შეუსრულებლობისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, ტვირთვამგზავნნი და ტვირთმიმღებნი ურთიერთ პასუხისმგებლნი არიან მატერიალურად.

გადაზიდვის დეკლარირებული საგეგმო დავალებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინებული რაოდენობით ტვირთის გადაუზიდაობისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები ან ორგანიზაციები გადაუზიდონ ტვირთგამგზავნებს (ტვირთმიმღებთ) ჯარიმას გადაუზიდავი ტვირთის გადაზიდვის ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით.

გადაზიდვის დეკლარირებული საგეგმო დავალებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინებული რაოდენობით ტვირთის გადასაზიდად წარუდგენლობისათვის, ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) გადაუზიდის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას ჯარიმას წარუდგენელი ტვირთის გადაზიდვის ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით.

წარუდგენელი ან გადაუზიდავი ტვირთის გადაზიდვის ღირებულება გამოიანგარიშება ტარიფებისა და გადაზიდვის საშუალო მანძილის საფუძველზე. გადაზიდვის გეგმის შესრულება აღირიცხება სააღრიცხვო ბარათში, რომელსაც ხელს აწერს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია და ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები).

სააღრიცხვო ბარათის ფორმას და მისი შევსების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო.

თვის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია აცნობებს ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) ანგარიშს თუ რა რაოდენობით უნდა გადახადოს ჯარიმა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას და ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის.

სავტომობილო ტრანსპორტის საწარმოზე ან ორგანიზაციაზე და ტვირთგამგზავნზე (ტვირთმიმღებზე) რიცხული ჯარიმის თანხა გადახდილ უნდა იქნეს ხუთი დღის ვადაში.

125. შეთანხმებულ დროსთან შედარებით მოძრავი შემადგენლობის და ტვირთის პუნქტში არადროულად მიწოდებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) გადაუხდის ჯარიმას.

აღნიშნული ჯარიმის გადაადის პირობები და მისი ოდენობა გათვალისწინებულია ტარიფებით.

126. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წლიური ხელშეკრულებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინებული რაოდენობით საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ იმ ავტომობილების მიუწოდებლობისათვის, რომელთა მუშაობა ნახალაურდება დროებრავი ტარიფებით, ან ამ ავტომობილების დაგვიანებით მიწოდებისათვის, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია უხდის ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) ავტომობილებით სარგებლობის ღირებულების 30 პროცენტს ხელშეკრულებაში ან დაკვეთაში მითითებული სარგებლობის დროის ან მიწოდების ვადის მიხედვით.

სავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წლიური ხელშეკრულებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინე-



ბული რაოდენობით ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიერ იმ ავტომობილების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებაზე უარის თქმისათვის, რომელთა მუშაობა ნაზღაურდება დროებრივი ტარიფით, ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას უხდის ავტომობილებით სარგებლობის ღირებულების 30 პროცენტს ხელშეკრულებაში ან დაკვეთაში მითითებული სარგებლობის დროის მიხედვით.

127. რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გამოზიდვის) დროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რკინიგზებს, ნავსადგურებს (ნავმისადგომებს) და აეროპორტებს ეკისრებათ ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობა ურთიერთშორის შეთანხმებული გადაზიდვის სადღეღამისო მოცულობის შეუსრულებლობისათვის, იმ წესითა და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვის (გამოზიდვის) წესებით.

128. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია და ტვირთგამგზავნი თავისუფლდება ჯარიმის გადახდისაგან გადაზიდვის გეგმის ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთის შეუსრულებლობისათვის, იმ შემთხვევაში თუ ეს გამოწვეულია:

ა) სტიქიური ხასიათის მოვლენებით (ნამქერი, წყალდიდობა, ხანძარი და ა. შ.);

ბ) ავარიებით საწარმოში, რის გამოც საწარმოს მუშაობა შეწყვეტილი იყო სულ ცოტა 3 დღე-ღამეს.

129. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები პასუხს აგებენ ტვირთის დაცვა-შენახვისათვის გასაგზავნად მისი მიღებიდან ტვირთმიმღებისათვის ჩაბარებამდე, ანდა წესების თანახმად სხვა საწარმოსა, ორგანიზაციისა, დაწესებულებისათვის გადაცემამდე, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ტვირთის დანაკარგი, დანაკლისი, გაფუჭება ან დაზიანება გამოწვეულია იმ გარემოებათა შედეგად, რომელთა აცილება მათ არ შეეძლოთ და რომელთა აღმოფხვრა მათზე არ იყო დამოკიდებული, კერძოდ, როგორცაა:

ა) ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) დანაშაული;

ბ) გადასაზიდი ტვირთის განსაკუთრებული ბუნებრივი თვისებანი;

გ) ტარის ან შეფუთვის ნაკლოვანებანი, რომელთა შემჩნევა გარეგნულად, გადასაზიდი ტვირთის მიღების დროს შეუძლებელი იყო, ან ტვირთის თვისებებთან ანდა დაწესებულ სტანდარტებთან შეუფერებელი ტარის გამოყენება. ამასთან არაა გზაში ტარის დაზიანების ნიშნები;

დ) გადასაზიდად ტვირთის ჩაბარება სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთებში იმ განსაკუთრებულ თვისებათა აღუნიშნავად, რომლებიც მოითხოვენ გადაზიდვის ან შენახვის დროს საგანგებო პირობების შექმნას ან ფრთხილად მოპყრობას დასაცავად;

ე) გადასაზიდად ტვირთის ჩაბარება, რომლის ტენიანობა დაწესებულ ნორმას აღემატება.

130. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის ან გაფუჭება-დაზიანებისათვის იმ შემთხვევაში, როცა:

ა) ტვირთი მივიდა წესიერული ავტომობილით (კონტეინერით), ტვირთგამგზავნის დაუზიანებელი პლომბებით, ხოლო ცალობრივი ტვირთი — ტვირთგამგზავნის ან დამამზადებლის დაუზიანებელი დამცავი მარკირებით, ბანდეროლით, პლომბებით;

ბ) დანაკლისი, გაფუჭება-დაზიანება გამოიწვია ბუნებრივმა პირობებმა, რაც დაკავშირებულია ღია მოძრავი შემადგენლობით ტვირთის გადაზიდვასთან;

გ) ტვირთის გადაზიდვა ხდებოდა ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ექსპედიტორის თანხლებით;

დ) ტვირთის დანაკლისი არ აღემატება ბუნებრივი კვების ნორმებს. აღნიშნულ შემთხვევებში საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია პასუხს აგებს ტვირთის დაუცველობისათვის, თუ პრეტენზიის წარმდგენი დამტკიცებს, რომ ტვირთის დაკარგვა, დანაკლისი, გაფუჭება-დაზიანება მოხდა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის მიზეზით.

131. თუ ერთი ტვირთგამგზავნის მიერ ერთი ტვირთმიმღების მისამართით, სხვადასხვა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებებით გაგზავნილი დაყრილი, ჩაყრილი ან ჩასხმული მასობრივი ერთგვაროვანი ტვირთები გადაზიდვის დროს გაუპიროვნდება, მაშინ ბუნებრივი კლება გამოიანგარიშება გზაში გაუპიროვნებული მთელი ტვირთის საერთო წონის მიხედვით.

თუ ერთი ტვირთგამგზავნის მიერ ერთი ტვირთმიმღების მისამართით გაგზავნილი დაყრილი, ჩაყრილი ან ჩასხმული და გადაზიდვისას გადასაცემელი ან გადასატვირთი ტვირთი მიტანილია წესიერული მოძრავი შემადგენლობით და არ შეიმჩნევა გზაში დანაკლისის ნიშნები, მაშინ დანაკლისი ან ნამეტი დადგინდება ერთდროულად გაცემული ტვირთის მთელი პარტიის შემოწმების შედეგების მიხედვით.

132. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები ან ორგანიზაციები ტვირთის გადაზიდვისას მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ შემდეგი ოდენობით

ა) ტვირთის დაკარგვის ან დანაკლისისათვის — დაკარგული ან დანაკლისი ტვირთის ნამდვილი ღირებულების ოდენობით;

ბ) ტვირთის გაფუჭება-დაზიანებისათვის — იმ თანხის ოდენობით, რამდენადაც შემციირდა მისი ღირებულება;

გ) იმ ტვირთის დაკარგვისას, რომელიც გასაგზავნად ჩაბარდა გამოცხადებული ფასით — გამოცხადებული ფასის ოდენობით, თუ არ დადასტურდა, რომ ეს მის ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლებია.

გადასაზიდი ტვირთის დაკარგვასთან, დანაკლისთან, გაფუჭება-დაზიანებასთან დაკავშირებით დადგენილი ზარალის ანაზღაურებასთან ერთად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები აბრუნებენ გადაზიდვის თანხას, რაც გადახდევინებულია დაკარგული, დანაკლისი, გაფუჭებული ან დაზიანებული ტვირთის გადაზიდვისათვის, თუ ეს გადასახდელი არ შედის ტვირთის ფასში.

გადასაზიდად მიღებული რაიმე ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტის

საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ თავისი საქიროებისათვის გამოყენების შემთხვევაში, დამნაშავე პირები მიეცემათ პასუხისმგებლობაში დადგენილი წესით, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია ორმაგად აანაზღაურებს ტვირთის ღირებულებას.

133. ტვირთის ღირებულება განისაზღვრება ტვირთგამგზავნათა ანგარიშის საერთო თანხის მიხედვით.

საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია პრეტენზიების მიხედვით აუნაზღაურებს ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) დაკარგული, დანაკლისი, გაფუჭებულ-დაზიანებული ტვირთის ღირებულებას ტვირთგამგზავნის ანგარიშის საფუძველზე, ხოლო თუ ტვირთისათვის ანგარიშსწორება ბანკის მეშვეობით არ წარმოებს, — ანგარიშის შემცვლელი სხვა საბუთის საფუძველზე.

თუ დაკარგული, დანაკლისი, გაფუჭებულ-დაზიანებული ტვირთის მიხედვით ტვირთგამგზავნი (ტვირთმიმღები) მოვალეა გადაიხადოს ბრუნვის გადასახადი, ხოლო ტვირთგამგზავნის ანგარიში გამოწერილია ფასებით გადასახადის გარეშე, პრეტენზიის განმცხადებელი ანგარიშის თანხას დაუმატებს ბრუნვის გადასახადის შესაბამის თანხას, რაც დადასტურებულია საფინანსო ორგანოს ცნობით.

სისტემისშიდა ტვირთზიდვის დროს, რომლის ანგარიშსწორება ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღებს შორის წარმოებს ფასებით ბრუნვის გადასახადის გარეშე და რომელთა რეალიზაციის შემდეგ ბიუჯეტში გადახდებოდა ბრუნვის გადასახადი, ტვირთგამგზავნთ შეუძლიათ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას წარუდგინონ საფინანსო ორგანოს ცნობის ნაცვლად მრეწველობის საბითუმო ფასების პრეისკურანტის ამონაწერი ბრუნვის გადასახადით.

მოქალაქეთა კუთვნილი ტვირთის ღირებულება განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასებით, რომლებიც მოქმედებენ გასაცემი ტვირთის ადგილას და დროს.

134. საქალაქთაშორისო გადაზიდვისას ტვირთის დაგვიანებით მიტანისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები ტვირთმიმღებთ გადაუხდიან ჯარიმას გადაზიდვის ღირებულების 12 პროცენტის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღე-ღამეში, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ დაგვიანება მათი ბრალი არ არის.

ტვირთის მიტანის დაგვიანებისათვის ჯარიმის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადაზიდვის გადასახდელის 60 პროცენტს.

135. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა გადასაზიდად მიღებული ბარგის დაკარგვისა, დანაკლისისა და გაფუჭება-დაზიანებისათვის, აგრეთვე მისი დაგვიანებით მიტანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ბარგის დაკარგვა, დანაკლისი, დაზიანება-გაფუჭება ან დაგვიანებით მიტანა მათი ბრალი არ არის.

ბარგის დაკარგვისა და დანაკლისისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას ეკისრება პასუხისმგებლობა შემდეგი ოდენობით:

ა) გამოცხადებული ფასით — გადასაზიდად მიღებული ბარგისათვის გამო-

ცხადებული ფასის ოდენობით, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს მის ნამდვილ ღირებულებაზე ნაკლებია;

ბ) გამოუცხადებელი ფასით. — გადასაზიდად მიღებული ბარგისათვის დაკარგული ან დანაკლისი ბარგის ღირებულების ოდენობით. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ბარგის ღირებულების დადგენა, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია, პასუხს აგებს ტარიფით გათვალისწინებული ოდენობით.

ბარგის გაფუჭება-დაზიანებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია იხდის იმ თანხას, რომლითაც შემცირდა ბარგის ღირებულება.

ბარგის დაგვიანებით მიტანისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია იხდის ჯარიმას გადაზიდვის გადასახდელის 10 პროცენტის ოდენობით ყოველ დღე-ღამეში, ამასთან არასრულ დღე-ღამეს თვლის სრულად, მაგრამ არა უმეტეს გადაზიდვის გადასახდელის 50 პროცენტისა.

ბარგის დაგვიანებითი მიტანა გამოიანგარიშება იმ დღის 24 საათიდან, რადღესაც უნდა მივიდეს ბარგი.

ბარგის დაგვიანებით მიტანის ჯარიმას საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია გადაიხდის ბარგის ვაქემის დროს მგზავრის მოთხოვნით შედგენილი აქტის საფუძველზე.

იმ ხელბარგის შენახვა-დაცვაზე ზრუნვა, რომელიც თან მიაქვს მგზავრს, თვით მასვე ეკისრება.

136. ტვირთგამგზავნს და ტვირთმიმღებს უფლება აქვს ჩათვალოს ტვირთი დაკარგულად და მოითხოვოს დაკარგულის ანაზღაურება, თუ ეს ტვირთი არ ჩაბარდა ტვირთმიმღებს მისი მოთხოვნისთანავე: საქალაქო და საგარეუბნო გადაზიდვისას — 10 დღის განმავლობაში ტვირთის მიღების დღიდან, საქალაქთაშორისო გადაზიდვისას — 30 დღის განმავლობაში ჩაბარების ვადის გასვლიდან, ხოლო პირდაპირი შერეული მიმოსვლით გადაზიდვისას — 4 თვის შემდეგ ტვირთის გადასაზიდად მიღების დღიდან.

მგზავრს უფლება აქვს ჩათვალოს ბარგი დაკარგულად და მოითხოვოს მისი ღირებულების ანაზღაურება, თუ ბარგი არაა მიტანილი დანიშნულების პუნქტში ბარგის მიტანის ვადის გასვლიდან 10 დღე-ღამის შემდეგ.

137. თუ ტვირთი ან ბარგი, რომლის დანაკლისის ან დაკარგვისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმომ ან ორგანიზაციამ გადაიხადა შესაბამისი თანხა, შემდგომ იქნება ნაპოვნი, ტვირთგამგზავნს (ტვირთმიმღებს) უფლება აქვს მოითხოვოს ამ ტვირთის ან ბარგის მისთვის მიცემა, ამასთან დაუბრუნოს მისი დაკარგვის ან დანაკლისისათვის მიღებული ფული.

პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა მ ო ძ რ ა ვ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს
 მ ო ც დ ე ნ ი ს ა და გ ა დ ა ზ ი დ ვ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს
 შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

138. დადგენილ ვადაზე გადამეტებით ტვირთგამგზავნის ან ტვირთმიმღების მიზეზით ავტომობილების შეფერხებისათვის (მოცდენისათვის), რომლებიც მიწოდებულია გადატვირთვის ან გადმოტვირთვისათვის, ტვირთგამგზავნი ან ტვირთ-

მიმღები საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას უხდის ტარიფით გათვალისწინებულ ჯარიმას.

აღნიშნული ჯარიმა გადახდება ტვირთამგზავნს ან ტვირთმიმღებს აგრეთვე მისი მიზნით ავტომობილის მოცდენისათვის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის გარაჟში ან გზაში.

ავტომობილების მოცდენისათვის ჯარიმა გადახდებათ გადაზიდვის ვეგმის შეუსრულებლობის ჯარიმის მიუხედავად.

ავტომობილების მოცდენისათვის ჯარიმის დარიცხვის საფუძველად ითვლება აღნიშვნები ავტომობილების მოსვლა-გასვლის დროის შესახებ სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთსა და საგზაო ფურცელში, ხოლო გარაჟში მოცდენისა — ექსპლუატაციის სამსახურის მოხსენებითი ბარათი ტვირთამგზავნის (ტვირთმიმღების) გამოუცხადებლობის შესახებ ან ამ უკანასკნელის წერილობითი უარი.

დატვირთვის მოლოდინში ერთი საათის ვასვლის შემდეგ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას უფლება აქვს გარაჟში დააბრუნოს მოძრავი შემადგენლობა ან გამოიყენოს იგი სხვა ტვირთზიდვისათვის. ამ შემთხვევაში გადაზიდვა ჩაშლილად ჩაითვლება, ჯარიმის დარიცხვა მოცდენისათვის შეწყდება და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია პასუხს არ აგებს გადაზიდვის შეუსრულებლობისათვის.

სავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას უფლება არა აქვს გადაახდევინოს ჯარიმა ტვირთამგზავნს (ტვირთმიმღებს) დატვირთვის მოცდენისათვის პირველი სვლის დროს, იმ შემთხვევაში, თუ დატვირთვის პუნქტში ავტომობილი ჩამოაყენეს 30 წუთზე მეტი ხნით დაგვიანებით, ვიდრე ეს მხარეებს შორის იყო შეთანხმებული.

139. დაწესებულ ნორმაზე გადამეტებით კონტეინერების მოცდენისათვის ტვირთამგზავნი და ტვირთმიმღები საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იხდიან ჯარიმას: 5 ტონიანი და მეტი ტვირთამწეობის კონტეინერისათვის 20 კაპიკს ერთ საათში, 2,5 ტონიანი ტვირთამწეობის კონტეინერისათვის 10 კაპიკს საათში და 2,5 ტონაზე ნაკლები ტვირთამწეობის კონტეინერისათვის — 5 კაპიკს საათში.

კონტეინერების მოცდენის ჯარიმა გადახდებათ კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის ვეგმის შეუსრულებლობის ჯარიმის მიუხედავად.

140. ტვირთამგზავნი და ტვირთმიმღები თავისუფლდება მოძრავი შემადგენლობის და კონტეინერების მოცდენის ჯარიმის გადახდისაგან, თუ მოძრავი შემადგენლობის ან კონტეინერების მოცდენა გამოიწვია სტიქიური ხასიათის მოვლენებმა (ნამქერი, წყალდიდობა, ხანძარი და ა. შ.) ან საწარმოში მომხდარმა ავარიებმა, რომელთა შედეგად დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წარმოება აკრძალულია მოკმედი დებულებების თანახმად.

141. თუ ტვირთამგზავნმა წარადგინა გასაგზავნად ტვირთი, რომელიც არაა გათვალისწინებული განაცხადით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთით, ანდა მოითხოვა სხვა პუნქტში გაგზავნა, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს გადაზიდვაზე



და ტარიფების შესაბამისად გადახდევინოს ორივე მიმართულებით ავტომობილის გარბენის ღირებულება.

142. სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთებში ტვირთის დასახელების არასწორად აღნიშვნისათვის, აგრეთვე ისეთი ტვირთის წარდგენისათვის, რომლის გადაზიდვა აკრძალულია, ან ისეთი ტვირთისა, რომლის გადაზიდვისას საჭიროა სიფრთხილის საგანგებო ზომების მიღება და არასწორადაა მითითებული ტვირთის დასახელება ან მისი თვისებანი, ტვირთგამგზავნის, გარდა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოსა ან ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა, გადახდება ჯარიმა ტარიფით გათვალისწინებული ოდენობით.

სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთის, აგრეთვე საგზაო ფურცლის გაფორმებაზე უარის თქმის ან არასწორად გაფორმებისათვის ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები გადაიხდის ჯარიმას 2 მანეთისა და 50 კაპიკის ოდენობით თვითულ სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთის ან საგზაო ფურცლის მიხედვით.

143. რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები (ნავმისადგომები) და აეროპორტები პასუხს აგებენ ავტომობილის მოცდენისა და სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთების გაფორმებაზე უარის თქმისა ან არასწორად გაფორმებისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ წესდების 138 მუხლით და 142 მუხლის მეორე ნაწილით ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთათვის.

144. ავტომობილებსა და კონტეინერების მოცდენისათვის, რაც იმან გამოიწვია, რომ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებს არ დაურთეს საბაჟო, სანიტარული და სხვა ადმინისტრაციული წესების შესასრულებლად საჭირო საბუთები, ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები იხდის ჯარიმას იმ ოდენობით, რაც დაწესებულია ამ წესდების 138 და 139 მუხლებით, და აუნაზღაურებს ამავე მიზეზებით გამოწვეულ ზარალს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას.

145. ამ წესდების 138, 139 მუხლებით, 142 მუხლის მეორე ნაწილით და 144 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდევინება წარმოებს საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით უდავო წესით (წინასწარი აქცეპტის გარეშე).

146. თუ ბარგის ჩაბარებისას მასში აღმოჩნდება საგნები, რომელთა ბაგაჟად გაგზავნა აკრძალულია, ბარგის მფლობელი თვითთული ბარგისათვის იხდის ჯარიმას ტარიფებით გათვალისწინებული ოდენობით.

147. ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღები ვალდებულია აუნაზღაუროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას მის მიერ მიყენებული ზარალი, რაც მან გამოიწვია დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს მოძრავი შემადგენლობის გადამეტვირთვის, დაზიანების, არასწორი დატვირთვის, შეფუთვის ან ტვირთის არასაკმაოდ დამაგრების შედეგად.

148. ტვირთმიმღები, რომელიც ცენტრალიზებული გაზიდვის დროს არ მიიღებს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისაგან რკინიგზის სადგურში, ნავსადგურში (ნავმისადგომზე) და აეროპორტში ტვირთს იმ ვადაში, რაც დადგენილია შესაბამისი სახეობის ტრანსპორტის სატრანსპორტო წესდებებით (ყოდექსებით), ან მათ საფუძველზე გამოცემული წესებით, აუნაზღაურებს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას ამასთან

დაკავშირებულ ზარალს, მათ შორის ტვირთის შესანახად გადახდილ გამოსაღებს და ჯარიმებს.

149. ამ წესდებიდან გამომდინარე მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, ტვირთგამგზავნი, ტვირთმიმღები და მგზავრები მატერიალურად აგებენ პასუხს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამ წესდების შესაბამისი მუხლებით.

მთქალაქეთა პასუხისმგებლობა, რომლებიც სარგებლობენ ნაქირავები მსუბუქი ავტომობილებით

150. სარგებლობისათვის მსუბუქი ავტომობილის მიღებიდან და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისათვის მის ჩაბარებამდე, ავტომობილის დამქირავებელი პირი ითვლება ავტომობილის მფლობელად და სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად მატერიალურად პასუხს აგებს მესამე პირის წინაშე იმ ზიანისათვის, რასაც იგი მიაყენებს ავტომობილით სარგებლობის დროს.

151. ავტომობილის დაზიანებისათვის მანქანის დამქირავებელ პირს გადახდება საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისათვის მიყენებული ზარალი. ზარალის თანხა გამოიანგარიშება ავტომობილის რემონტის ღირებულების მიხედვით ან ავტომობილის და მისი მარაგანაწილების საცალო ფასებით.

152. ავტომობილის დამქირავებლის მიერ ავტომობილის წესიერული დეტალების, კვანძების, აგრეგატების და ავტოსალტეების დაკარგვის ან უწესიერო და გაცვეთილით მათი შეცვლის შემთხვევებში, ამ პირს სამმაგად გადახდება დაკარგული ან შეცვლილი ნაწილების ღირებულება საცალო ფასებში.

153. ნაქირავები ავტომობილებით სარგებლობის წესების და პირობების დამრღვევ პირს ჩამოერთმევა ავტომობილით სარგებლობის უფლება იმ ვადით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში მსუბუქი ავტომობილების გაქირავების ტიპური ხელშეკრულებით.

აქტები, პრეტენზიები, სარჩელები

154. გარემოება, რომელიც გამოდგება საფუძვლად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის, ტვირთგამგზავნის და ტვირთმიმღების მატერიალური პასუხისმგებლობისათვის საავტომობილო გადაზიდვების დროს, უნდა დადასტურდეს ჩანაწერებით სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთებში, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისა და ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღის) შორის წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში, — დაწესებული ფორმის აქტების შედგენით.

გარემოება, რომელიც გამოდგება საავტომობილო გადაზიდვის დროს საფუძვლად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების ან ორგანიზაციების და მგზავრთა მატერიალური პასუხისმგებლობისათვის, დამოწმებული უნდა იქნეს დაწესებული ფორმის აქტების შედგენით.

იმ გარემოებათა ნუსხა, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს ჩანაწერებით სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთებში, აქტების ფორმა და მათი შედგენის წესი დადგინდება წესებით.

გარემოება, რომელიც გამოდგება საფუძვლად რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ტვირთების ცენტრალიზებული შეზიდვის (გამოზიდვის) დროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების, რკინიგზის სადგურების, ნავსადგურების (ნავმისადგომების) და აეროპორტების მატერიალური პასუხისმგებლობისათვის, უნდა დამოწმებულ იქნეს იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სს რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებში, ნავსადგურებში (ნავმისადგომებზე) და აეროპორტებში ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული შეზიდვის (გამოზიდვის) წესებით.

155. ამ წესდებიდან გამომდინარე სარჩელის ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) მიერ ავტოტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისათვის წარდგენამდე, სავალდებულოა მათ წარედგინოს პრეტენზიები.

156. ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრეტენზიები წარედგინება ტვირთის გამცემ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას, ხოლო ტვირთის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში — გადასაზიდად ტვირთის მიმღებ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას.

მგზავრთა გადაყვანის ან ბარგის გადაზიდვისას წამოჭრილი პრეტენზიები შეიძლება წარედგინოს გავზავნის ან დანიშნულების პუნქტის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას პრეტენზიის განმცხადებლის შეხედულებისამებრ.

პირდაპირი შერეული მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვის დროს წამოჭრილი პრეტენზიები წარედგინება:

ა) საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას, თუ საბოლოო პუნქტად ითვლება სატვირთო ავტოსადგური;

ბ) სხვა შესაბამის სატრანსპორტო ორგანოს, თუ გადაზიდვის საბოლოო პუნქტად ითვლება რკინიგზის სადგური, ნავსადგური (ნავმისადგომი) ან აეროპორტი;

157. არ დაიშვება ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის მოთხოვნათა წარდგენა 10 მანეთზე ნაკლებ თანხაზე თვითმულ სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთის მიხედვით, გარდა მოქალაქეთა პრეტენზიებისა.

თუ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ტვირთგამგზავნებსა და ტვირთმიმღებთ შორის არსებობს მუდმივი კავშირითიერთობა, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის წარსადგენი ერთგვაროვანი მოთხოვნები (ტვირთის გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისა, დაკარგვისა, დანაკლისის ან გაფუჭებისათვის, გადახდილი ჯარიმის დაბრუნების შესახებ), მათ შორის 10 მანეთზე ნაკლებ თანხაზე თვითმულ სასაქონლო-სატრანსპორტო საბუთის მიხედვით, შეიძლება გავრთიანებულ

იქნეს მთელი თვის ანგარიშსწორების შემოწმების შედეგების შესაბამისად დისე წარედგინოს.

158. დაუშვებელია პრეტენზიებისა და სარჩელების წარდგენის უფლების გადაცემა სხვა ორგანიზაციებისა ან მოქალაქეებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ უფლებას გადასცემს ტვირთამგზავნი ტვირთმიმღებს ან ტვირთმიმღები ტვირთამგზავნს, აგრეთვე ტვირთამგზავნი ან ტვირთმიმღები — ზემდგომ ორგანიზაციას ან სატრანსპორტო — საქისპედიციო ორგანიზაციას.

პრეტენზიისა და სარჩელის წარდგენის უფლების გადაცემა დამოწმებულ უნდა იქნეს საბუთზე გადათმობითი ხელმოწერით.

159. საპრეტენზიო განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული პრეტენზიის დამადასტურებელი საბუთები.

ტვირთის დანაკარგის, დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების შესახებ პრეტენზიებს, პრეტენზიის წარდგენის უფლების დამადასტურებელი საბუთების გარდა, თან უნდა დაერთოს გაგზავნილი ტვირთის რაოდენობისა და ღირებულების დამადასტურებელი საბუთი.

160. პრეტენზიები საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას შეიძლება წარედგინოს 6 თვის განმავლობაში, ხოლო პრეტენზიები ჯარიმის გადახდაზე — 45 დღის განმავლობაში.

აღნიშნული ვადები გამოიანგარიშება:

ა) ბარგის დაზიანების, გაფუჭების ან დანაკლისის ანაზღაურების პრეტენზიისა — ტვირთის ან ბარგის გაცემის დღიდან;

ბ) დაკარგული ტვირთის ანაზღაურების პრეტენზიისა — საქალაქთაშორისო გადაზიდვის ტვირთის მიტანის ვადის გასვლიდან 30 დღე-ღამის შემდეგ და საქალაქო და საგარეუბნო გადაზიდვის ტვირთისა — 10 დღე-ღამის შემდეგ გასაგზავნად ტვირთის მიღებიდან;

გ) ბარგის დაკარგვის პრეტენზიისა — ბარგის მიტანის ვადის გასვლიდან 10 დღე-ღამის შემდეგ;

დ) ტვირთის ან ბარგის დაგვიანებით მიტანის პრეტენზიისა — ტვირთის ან ბარგის გაცემის დღიდან;

ე) პირდაპირი შერეული მიმოსვლისას დაკარგული ტვირთის ანაზღაურების პრეტენზიისა — 4 თვის შემდეგ გასაგზავნად ტვირთის მიღებიდან;

ვ) გადაზიდვის შეთანხმებული დავალებით ან ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინებული ტვირთის გაუზიდველობისათვის ჯარიმის გადახდის პრეტენზიისა — დღიდან იმ ვადის გასვლისა, რაც წესებით არის დადგენილი გადაზიდვის გეგმის და შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი დაკვეთის შესრულების შესამოწმებლად სააღრიცხვო საბუთებში ჩანაწერების შეჭვებისათვის;

ზ) ავტომობილებისა და კონტეინერების მოცდენისათვის უაქცეპტო წესით გადახდევინებული ჯარიმის დაბრუნების პრეტენზიისა — იმ დღიდან, როცა პრეტენზიის განმცხადებელმა მიიღო საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის საგადამხდლო მოთხოვნის (ანგარიშის) ასლი ჯარიმის დაბრუნების შესახებ;

თ) ყველა დანარჩენ შემთხვევაში — იმ გარემოების შექმნის დღიდან, რაც გამოიწვია პრეტენზიის წარდგენა.

161. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო ან ორგანიზაცია ვალდებულია განიხილოს წარდგენილი პრეტენზია და განმცხადებელს შეატყობინოს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ შემდეგ ვადებში დღიდან პრეტენზიის მიღებისა:

ა) 3 თვის განმავლობაში — საავტომობილო მიმოსვლის გადაზიდვების დროს წამოჭრილ პრეტენზიებზე;

ბ) 6 თვის განმავლობაში — პირდაპირი შერეული მიმოსვლის გადაზიდვების დროს წამოჭრილ პრეტენზიებზე;

გ) 45 დღის განმავლობაში — ჩარიმის გადახდასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე.

პრეტენზიის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის დროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმომ ან ორგანიზაციამ ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მოტივები და განმცხადებელს დაუბრუნოს პრეტენზიასთან დართული საბუთები.

162. ტვირთამგზავნთა და ტვირთმიმღებთა სარჩელი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციისადმი, რომელიც ამ წესდებიდან გამომდინარეობს, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმომ ან ორგანიზაციამ მთლიანად ან ნაწილობრივ უარი განაცხადა პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე, ანდა პასუხი არ გაცა განმცხადებელს იმ ვადაში, რაც აღნიშნულია ამ წესდების 161 მუხლში.

აღნიშნული სარჩელები წარდგინება დაწესებულ საუწყებო და სასამართლო დაქვემდებარების შესაბამისად არბიტრაჟს ან სასამართლოს იმ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციას ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლისადმიც წარდგენილია პრეტენზია, ორი თვის ვადაში დღიდან საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს ან ორგანიზაციის პასუხის მიღებისა, ან პასუხისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

პრეტენზიებისა და სარჩელების წარსადგენად აუცილებელი ვადების გამოანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დრო, რომელიც სჭირდება კავშირგაბმულობის ორგანოებს საბუთების მისატანად (პრეტენზიები, პასუხები პრეტენზიებზე).

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების და ორგანიზაციებისადმი წარდგენილ პრეტენზიებს 100 მანეთამდე თანხაზე დადგენილი წესით გადაწყვეტს მოპასუხის ზემდგომი ორგანოები, ამასთან საავტომობილო ტრანსპორტის ტრესტის მმართველის (სამმართველოს უფროსის) გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ.

163. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოს და ორგანიზაციის სარჩელო ტვირთამგზავნთა, ტვირთმიმღებთა და მგზავრთა მიმართ, რომელიც ამ წესდებიდან გამომდინარეობს, შეიძლება წარდგენილ იქნეს დაწესებულ საუწყებო და სასამართლო დაქვემდებარების შესაბამისად არბიტრაჟში ან სასამართლოში 6 თვის განმავლობაში.

აღნიშნული ექვსთვიანი ვადა იანგარიშება:

ა) დღიდან იმ ვადის გასვლისა, რაც წესებით არის დადგენილი გადაზიდვის გეგმის და ერთჯერადი დაკვეთის შესრულების შესამოწმებლად სააღრიცხვო სა.

ბუთში ჩანაწერების შეჯერებისათვის — გადაზიდვის შეთანხმებული დავალებით ან ერთჯერადი დაკვეთით გათვალისწინებული ტვირთის წარუდგენლობისათვის ჯარიმისა;

ბ) იმ გარემოების შექმნის დღიდან, რამაც გამოიწვია სარჩელის წარდგენა, — ყველა დანარჩენ შემთხვევებში.

164. საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების და მოქალაქეთა სარჩელები ავტომობილების გაქირავებასთან დაკავშირებით შეიძლება წარდგენილ იქნეს დაწესებული სასამართლო დაქვემდებარების შესაბამისად 3 წლის განმავლობაში იმ გარემოების შექმნის დღიდან, რამაც გამოიწვია სარჩელის წარდგენა.

165. პრეტენზიის აღიარებულ თანხაზე ან იმ თანხაზე, რომლის გადახდა წარმოებს არბიტრაჟის ან სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით, საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები იხდიან 3 პროცენტს წლიურად.

პრეტენზიების დარიცხვა ხდება ფულის გადარიცხვის ან გადახდის დღემდე, დაწყებული დღიდან პრეტენზიის წარდგენისა.

ამავე ოდენობით იხდიან პროცენტებს ტვირთგამგზავნი და ტვირთმიმღებნი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოთხოვის წარდგენილი მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც წარმოიშვა ტვირთის გადაზიდვის დროს.

ამ შემთხვევებში პროცენტების დარიცხვა ხდება სათანადო თანხის გადასახდელად საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების წერილობითი მოთხოვნების წარდგენის დღიდან გადახდის დღემდე.

ჯარიმების გამო პრეტენზიებისა და სარჩელების მიხედვით პროცენტების დარიცხვა არ ხდება არცერთ შემთხვევაში.

ნაწილი X

კონტროლი საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობისადმი

166. კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ ამ წესდებიდან გამომდინარე მოთხოვნებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, სამინისტროებისა და უწყებათა საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები და ორგანიზაციები, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახური.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის დებულება შემუშავდება დაინტერესებულ სამინისტროებისა და უწყებათა მონაწილეობით და მას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

89 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტით:

— „103. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო „საქმონტაჟსპეცმშენი“ და მისი საწარმოები და დაწესებულებები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 15 აგვისტო, № 496.

90 „ქართული ღვინოების ასორტიმენტისა და მათი სახელწოდების დაუზუსტების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 იანვრის № 9 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 იანვრის № 9 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაცვლელად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამტრესტს გამოიმუშაოს სუფრის ღვინო სახელწოდებით „სუფრის თეთრი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წ. 20 აგვისტო, № 507.

91 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის № 428 დადგენილება „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მამბრელიძე.

ქ. თბილისი, 1969 წლის 28 აგვისტო, № 518.

დ ა შ ტ ა რ ი ე მ ბ უ ლ ი ა
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1969 წლის 28 აგვისტოს № 518
 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს ზოგად საშუალო განათლებას, სკოლამდელ აღზრდას და სკოლისგარეშე დაწესებულებებს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია სახალხო განათლების სისტემის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

ახალგაზრდობის უზრუნველყოფა მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, მაღალი კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბება ახალგაზრდობაში, მისი ზნობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური განვითარება;

საყოველთაო სავალდებულო რეაწლიანი სწავლების და ბავშვთა და ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველყოფა; სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის განვითარება რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად;

ზოგადი, საშუალო, პოლიტექნიკური განათლების შინაარსის და მოსწავლეთა შრომითი მომზადების გაუმჯობესება;

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გაუმჯობესება ტიპობრივი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე მეცნიერებათა საფუძვლების მიხედვით; სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა მათ ბაზაზე დადგენილი წესით;

მსწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაცია და გაუმჯობესება; განათლების დაწესებულებების კადრებით დაკომპლექტების სისტემის გაუმჯობესება;

მეცნიერული გამოკვლევების განვითარება რესპუბლიკის პედაგოგიკურ მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე ამ მეცნიერების მიღწევების გამოყენება სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში;

სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღჭურვა მოწყობილობით და სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, რომლებიც აკმაყოფილებენ სასწავლო პროცესის მოთხოვნებს და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეს;

მასწავლებელთა და სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების სხვა მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური პედაგოგიური და სხვა კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესაბამისად:

ა) შეიმუშავეს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ბავშვთა სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში;

ბ) სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო მომზადებას, უზრუნველყოფს სამხედრო ხელმძღვანელების შერჩევასა და მომზადებას, შექმნის სასწავლო-მატერიალურ ბაზას დაწეებითი სამხედრო მომზადებისათვის, კონტროლს გაუწევს ამ მოზადების მოწყობასა და გატარებას;

გ) შეიმუშავეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგენს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ განათლების საკითხებზე შისაღებ დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს და უზრუნველყოფს ძილებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

დ) შეიმუშავეს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებების წინადადებათა საფუძველზე, რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს;

ე) სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი დებულებების საფუძველზე შეიმუშავეს და დამტკიცებს დებულებებს სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი, სკოლისგარეშე და განათლების სხვა დაწესებულებების შესახებ;

ვ) შეადგენს და შეიმუშავებს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა დაფინანსების გეგმებს, ხელმძღვანელობას გაუწევს სტატისტიკურ ანგარიშგებას განათლების დარგში;

ზ) გახსნის და დადგენილი წესით დახურავს დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლებს, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

განიხილავს საკითხებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოდგენს დასკვნას სკოლა-ინტერნატების გახსნისა და დახურვის შესახებ;

თ) სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს და დაამტკიცებს სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, ინსტრუქციებს, მითითებებს სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის საკითხებზე და ძირითადი დოკუმენტაციის ფორმებს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, საბავშვო სახლებისა, სპეცსკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებისათვის;

ი) მოაწყობს სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლებისათვის სასწავლო-მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებას და დაამტკიცებს მათ გამოსაცემად სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით. შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცებს საერთო-საკავშირო, ნათარგმნი, რესპუბლიკური სასკოლო სახელმძღვანელოების, აგრეთვე მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმებსა და ტირაჟებს;

კ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს სკოლების სავამოცდო დოკუმენტაციას;

ლ) განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკაში ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობისადმი, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, სასწავლო-აღზრდელობითი და მეთოდური მუშაობის საკითხებზე;

მ) დადგენილი წესით მოაწყობს საქართველოს სსრ დაინტერესებულ ორგანოებთან და უწყებებთან ერთად რესპუბლიკურ სასკოლო სპორტულ შეჯიბრებებს, ტურისტთა შეჯიბრებებს, ტექნიკური შემოქმედების დათვალიერებას, სასკოლო ოლიმპიადებს და სასწავლო-აღზრდელობითი ხასიათის სხვა ღონისძიებებს;

ნ) დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამუშაოდან გაათავისუფლებს განათლების მუშაკებს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) ხელმძღვანელობას გაუწევს მასწავლებელთა, აღზრდელთა და განათლების სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;



ბ) დააჯილდოებს ან დადგენილი წესით წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს „საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდებით, სახელობითი მედლებით, სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დასაჯილდოებლად მოწინავე მასწავლებლებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებაში;

ე) მოაწყოებს მოქალაქეთა წერილების (საჩივრებისა და განცხადებების) დროულად განხილვას, ეცდება რა მიაღწიოს ამ წერილებში დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიიღებს ზომებს, რათა აღმოიფხვრას მოქალაქეთა წერილებში აღნიშნული ნაკლოვანებანი, რომლებიც მოიპოვება სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სამინისტროს სისტემის სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში;

რ) საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად კონტროლს გაუწევს ისეთი პირობების დაცვას და ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას სკოლებსა და სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში;

ს) დამტკიცებს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი ქვესაუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების ხარჯთაღრიცხვას და სტრუქტურას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

დააფინანსებს სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც რესპუბლიკურ ბიუჯეტზე იმყოფებიან, და შეამოწმებს მათს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას;

კონტროლს გაუწევს სახალხო განათლების იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან;

დამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტისა და სამინისტროს სამეურნეო ორგანოების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;

ტ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს ქვესაუწყებო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, საბავშვო სახლების, სპეცსკოლების, სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების და სამინისტროს სხვა ქვესაუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მომარაგებას სახელმძღვანელოებით, სასწავლო და დიდაქტიკური დამხმარე სახელმძღვანელოებით, სასკოლო ინვენტარით, აგრეთვე სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

უ) საპროექტო ორგანიზაციების მეშვეობით მოამზადებს განათლების ობიექტების მშენებლობის, გაფართოება-რეკონსტრუქციის ტექნიკურ დოკუმენტაციას;

ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სახალხო განათლების ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის მიმდინარეობას;

ფ) ხელმძღვანელობას გაუწევს უღედამოდ ღირსეულ ბავშვთა მეურვეობის, მზრუნველობის, პატრონაჟის, უფლებათა დაცვის საკითხებს;

ქ) შექმნის დაწყებით, რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, აგრეთვე მუშა დ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, დაუსწრებელ სკოლებში ახალი სტაბილური სასკოლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ფონდს;

ღ) მოაწყობს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (კინო, რადიო, ტელევიზია და სხვ.) დანერგვასა და გამოყენებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;

ყ) დადგენილი წესით შექმნის სამინისტროს სკოლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოწინავე მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა დაჯილდოების ფონდს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს სახალხო განათლებას, როგორც წესი, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებების მეშვეობით, აგრეთვე განაგებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებები, სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სასწავლებლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებები და სხვა ქვესაუწყებო დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები შეადგენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთიან სისტემას.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობის შესრულებისათვის, იგი აწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსების და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაობისათვის.

10. საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის განათლების მინისტრის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების მიერ შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებები და ინსტრუქციები განათლებისადმი ხელმძღვანელობის მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სახალხო განათლების დაწესებულებებისათვის, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სახალხო განათლების განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სა-

ხალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

**СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР**

№ 4 1969 год

განმარტველი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ქალაქის ფორმატი 70 × 108¹/₁₆,
ნაბეჭდი თაბახი 10,5, სააღრიცხვო თაბახი 10,56.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.